საქართველო და ევროკავშირი

განვითარებისა და რეფორმების კვალდაკვალ

საქართველო და ევროკავშირი

განვითარებისა და რეფორმების კვალდაკვალ

2016 წელი

პუბლიკაცია მომზადებულია განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) მიერ პროექტის „საქართველო და ევროკავშირი“ ფარგლებში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე პუბლიკაციაში თავმოყრილი დოკუმენტების შინაარსზე პასუხისმგებელია განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD). პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ ასახავს საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს თვალსაზრისს.

© განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), 2016

ვ. პეტრიაშვილის ქ. N 13, 0179, თბილისი
www.CDD.ge | info@CDD.ge
ტელ: +995 790 333 111

სარჩევი

ევროკავშირის შესახებ 8

მოკლე ისტორია 8

ევროკავშირის სიმბოლოები 14

ევროკავშირის ინსტიტუტები 16

ევროკავშირში გაწევრიანება 30

ევროკავშირთან „ასოცირების შეთანხმება“ 34

ევროპის საინვესტიციო გეგმა 37

ევროპა 2020 - გონივრული, მდგრადი და ინკლუზიური ზრდის სტრატეგია 42

მნიშვნელოვანი თარიღები ევროპული ინტეგრაციის ისტორიაში 48

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები 56

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება 57

კანონმდებლობის ჰარმონიზაცია 59

თანამშრომლობა “პარტნიორობა მობილურობისათვის” 63

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები 65

მნიშვნელოვანი თარიღები ევროკავშირთან ურთიერთობის ისტორიაში 70

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა 78

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ 82

„აღმოსავლეთ პარტნიორობის” სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი 87

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ 90

შეთანხმების მიზანი, არსი და სტრუქტურა 90

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ დადებითი მხარეები 95

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი 95

შეთანხმების როლი კონფლიქტის მოგვარების პროცესში 96

მიგრაცია და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია 97
დემოკრატიული რეფორმების განხორციელება 105
უმცირესობათა უფლებების გათვალისწინება 106
შეთანხმების გავლენა დარგობრივი პოლიტიკის სფეროებზე 106
ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება 112
პერსპექტივები განათლებისა და მეცნიერების სფეროში 115
პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება 116
სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა 117
შეთანხმების ამოქმედება და გავრცელების არეალი 118
ასოცირების დღის წესრიგი 119

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება 122
შეთანხმების არსი 122
შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების წინა მოსამზადებელი პერიოდი 123
DCFTA-ზე მოლაპარაკების პროცესი 124
DCFTA-სთან დაკავშირებული საკითხები 125

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია 140

მითები და ფაქტები 143

ბიბლიოგრაფია 162

ევროკავშირის შესახებ

მოკლე ისტორია

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის კონტინენტი წარმოადგენდა კონფლიქტების თეატრს. ევროპამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა, რამაც ყველა ქვეყანაში დატოვა კვალი – ათეულ მილიონობით მსხვერპლი, განადგურებული ქალაქები, დანგრეული ეკონომიკა, მოშლილი კომუნიკაციები. მარტო საფრანგეთმა და გერმანიამ, 1870 წლიდან 1945 წლამდე პერიოდში, სამჯერ იომეს. ამ პერიოდში ევროპა დანაწევრებული იყო, მაგრამ იდეა მისი გაერთიანების შესახებ მუდამ არსებობდა.

ევროპელი ლიდერები საბოლოოდ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქვეყნებს შორის მშვიდობის უზრუნველყოფა მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის შედეგად არის შესაძლებელი. დასახული მიზნების განხორციელების გზაზე ევროპის სახელმწიფოებმა შეძლეს გვერდი აევლოთ სერიოზული კრიზისებისა და დაბრკოლებებისათვის, შეენარჩუნებინათ იდეების ხელშეუხებლობა და ურღვევობა.

1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რობერტ შუმანმა, წამოაყენა დასავლეთ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის ინდუსტრიების ინტეგრაციის წინადადება, რამაც შედეგად გამოიღო 1952 წელს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობის შექმნა, რომელიც არის დღევანდელი ევროკავშირის წინაპარი.

არსებობდა ევროპის სამომავლო ინტეგრაციის ორი ძირითადი მიდგომა: ფედერალური და ფუნქციონალური. ფედერალური მიდგომის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ადგილობრივმა, რეგიონულმა, ეროვნულმა და ევროპის ხელისუფლებამ შეთანხმებით ითანამშრომლონ ერთმანეთთან.

ფუნქციონალური მიდგომა კი ითვალისწინებს ეროვნული სუვერენიტეტის ეტაპობრივ გადასვლას თანამეგობრობის დონეზე.

ეს ორივე მიდგომა გაერთიანდა იმ მოსაზრების გარშემო, რომ ეროვნული და რეგიონული ხელისუფლება უნდა მართავდეს დამოუკიდებლად, თუმცა ამავდროულად უნდა ექვემდებარებოდეს დემოკრატიული ევროპის ინსტიტუტებს.

ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობა (1951)

თავდაპირველად ევროპული ინტეგრაციისაკენ მიმართული ღონისძიებანი იფარგლებოდა ექვს დამფუძნებელ ქვეყანას შორის (ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები) ქვანახშირისა და ფოლადის საერთო ბაზრის შექმნით. იმდროინდელი ომის შემდგომ პერიოდში ეს კავშირი ითვლებოდა მშვიდობის უზრუნველყოფის საშუალებად და მიზნად ისახავდა გამარჯვებულთა და დამარცხებულთა გაერთიანებას ინსტიტუციონალურ სტრუქტურაში, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა ეთანამშრომლათ როგორც თანასწორებს.

არსებობდა ოთხი ევროპული ინსტიტუტი:

- უმაღლესი ხელისუფლება - წევრი ქვეყნებისა და მათი კომპანიების აღმასრულებელი ორგანო, რომელიც შედგებოდა ცხრა წევრისაგან;
- საბჭო - როგორც საკანონმდებლო ორგანო;
- საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც შედგებოდა წევრი ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციებისაგან და ზედამხედველობას უწევდა უმაღლეს ხელისულებას;
- სასამართლო.

აღნიშნული თანამეგრობის ხელშეკრულებას მოქმედების ვადა გაუვიდა ძალაში შესვლიდან 50 წლის შემდეგ, 2002 წლის ივლისში.

ევროპის ეკონომიკური კავშირი, ევრატომი (1957)

1957 წელს ექვსმა დამფუძნებელმა ქვეყანამ მიიღო გადაწყვეტილება შეექმნათ ევროპის ატომური თანამეგობრობა - ევრატომი, რათა შესწავლილიყო ბირთვული ენერგიის გამოყენება. აგრეთვე შეიქმნა ეკონომიკური თანამეგობრობა, რომელიც საფუძვლად ედო მუშახელის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალ მომოქცევას. გაუქმდა საბაჟო გადასახადები წარმოებულ საქონელზე და დაფუძნდა საერთო სამეურნეო და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა.

რომის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შევიდა 1958 წლის იანვარში, არის ზოგადად ფორმულირებული ჩარჩო-ხელშეკრულება. იგი განსხვდებოდა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობის დეტალურად ფორმულირებული ხელშეკრულებისაგან.

ინსტიტუტების შერწყმა (1967)

ზემოთაღნიშნულმა სამმა ევროპულმა ხელშეკრულებამ, რომელთაც საერთო საპარლამენტო ასამბლეა და სასამართლო ჰქონდათ, 1967 წლიდან ჩამოყალიბა საერთო კომისია (როგორც აღმასრულებელი და უმაღლესი ხელისუფლების შემცვლელი) და საერთო საბჭო.

პირველი გაფართოება (1973)

ექვსი დამფუძნებელი ქვეყნის წარმატებამ ბიძგი მისცა დანიას, ირლანდიას და გაერთიანებულ სამეფოს, რომ შეეტანათ განაცხადი, რათა გაწევრიანებულიყვნენ ევროპულ თანამეგობრობაში (როგორც მას მაშინ ეძახდნენ). ისინი 1972 წელს იქნენ მიღებულნი, რაც გახლდათ შედეგი რთული მოლაპარაკებებისა, რომლის დროსაც საფრანგეთმა, პრეზიდენტ დეგოლის მეთაურობით, ორჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება (1961 წელს და 1967 წელს). 1973 წელს მომხდარი პირველი გაფართოება, რომელმაც წევრი ქვეყნების რიცხვი ექვსიდან ცხრამდე გაზარდა, უკავშირდებოდა მოვალეობების გაღრმავებას. კავშირის მოვალეობები შეეხო სოციალურ, რეგიონულ და გარემოს დაცვის საკითხებს.

მეორე (1981) და მესამე (1986) გაფართოებები

თანამეგობრობა გაფართოვდა სამხრეთის მიმართულებითაც, რაც განაპირობა 1981 წელს საბერძნეთის, ხოლო 1986 წელს ესპანეთისა და პორტუგალიის შეერთებამ. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნებმა მოიშორეს დიქტატურა და გადავიდნენ დემოკრატიულ სისტემაზე. 70-80-იან წლებში, ევროპულმა თანამეგობრობამ დაიწყო მნიშვნელოვანი როლის თამაში საერთაშორისო არენაზე. ხელი მოეწერა ახალ ხელშეკრულებებს ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხრეთ ქვეყნებთან, ისევე როგორც

აფრიკის, კარიბისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებთან, რომლებიც თანამეგობრობას დაუკავშირდნენ ოთხი თანმიმდევრული ,,ლომეს კონვენციით (1975, 1979, 1984 და 1989 წლებში) და რომლეთაც სახელი ტოგოს დედაქალაქის მიხედვით დაერქვათ. 1994 წლის აპრილში, ქ. მარაკეჩში GATT-ის ყველა წევრის მიერ ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა WTO-ს - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას. მსოფლიო ვაჭრობა ახალ ფაზაში შევიდა. ევროკავშირმა, როგორც მსოფლიოს ყველაზე დიდმა სავაჭრო პარტნიორმა გაითავისა, რომ საერთაშორისო დონეზე აქტიური მუშაობა შემდეგ მიზანსაც მოიცავდა - საერთაშორისო ასპარეზზე მოძებნილიყო საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა, როგორც ერთი ევროპული ხმა და სახე.

1986 წლის ერთიანი აქტი

1980-იანი წლების დასაწყისის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ,,ევროპესიმიზმის ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი. ამან გზა გაუხსნა 1985 წლიდან დაწყებულ გაცილებით იმედისმომცემ შეხედულებებს გაერთიანების გაძლიერების პერსპექტივებზე. ,,თეთრი წიგნის საფუძველზე, რომელიც 1985 წელს ჟაკ დელორის თავმჯდომარეობით არსებულმა კომისიამ ჩამოაყალიბა, გაერთიანებამ აიღო მოვალეობა 1993 წლის 1 იანვრისათვის შეექმნა საერთო ბაზარი. ერთობლივმა აქტმა, რომელსაც ხელი მოეწერა 1986 წელს და რომელიც ძალაში 1987 წლის ივლისიდან შევიდა, დაამტკიცა ეს ამბიციური მიზანი და დაიწყო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ახალი პროცედურები. სახელდობრ: შიდა ბაზრის პოლიტიკის საკითხებზე წევრ ქვეყნებს ჩამოერთვათ ვეტოს უფლება და შემოვიდა ე.წ. ,,კვალიფიცირებული უმრავლესობა.აღნიშნული ძალაში შევიდა 1987 წლის 1 ივლისიდან.

მაასტრიხტის ხელშეკრულება (1991)

ბერლინის კედლის დანგრევამ (რასაც 1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიის გაერთიანება მოჰყვა), ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საბჭოთა კონტროლიდან გათავისუფლებამ და დემოკრატიზაციამ, აგრეთვე 1991 წლის დეკემბერს საბჭოთა კავშირის დაშლამ განაპირობა ევროპის პოლიტიკური სტრუქტურის შეცვლა. წევრმა ქვეყნებმა მიზნად დაისახეს გაეძლიერებინათ კავშირი და მოილაპარაკეს ახალი ხელშეკრულების შესახებ, რომლის მთავარ საკითხებზე შეთანხმება 1991 წლის დეკემბრის მაასტრიხტის ევროპის საბჭოს სხდომაზე მოხდა.

მეოთხე გაფართოება (1995)

1995 წლის 1 იანვარს, კიდევ სამი ქვეყანა შეუერთდა ევროკავშირს. ავსტრიამ, ფინეთმა და შვედეთმა გააფართოვეს კავშირი, დაუმატეს რა მას საკუთარი თავისებურებები, ახალი სივრცეები ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში. უკვე 15-ის კავშირი ორი ძირითადი პრობლემის წინ იდგა: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყნის, მალტისა და კვიპროსის დაფარვა სავალუტო კავშირის დინამიკის გამოყენებას, 1998 წლის 2 მაისს შექმნილი ევროს საფუძველზე, უნდა უზრუნველეყო წევრი ქვეყნების ეკონომიკისათვის უკეთესი მიმოქცევა და უკეთესი პირობები დასაქმების მუდმივი ზრდისათვის.

ამსტერდამის ხელშეკრულება (1997)

მაასტრიხტის ხელშეკრულების დებულების თანახმად, წევრმა ქვეყნებმა მოილაპარაკეს მომდევნო ხელშეკრულების შესახებ, რომელსაც 1997 წლის ოქტომბერს ქ. ამსტერდამში მოეწერა ხელი და ძალაში შევიდა 1999 წლის მაისში. ამ ხელსეკრულებით ადაპტირებულ და გაძლიერებულ იქნა კავშირის პოლიტიკური კურსი და ძალაუფლება, განსაკუთრებით იურიდიული თანამშრომლობის, მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების, საგარეო საქმეებისა და ჯანდაცვის საკითხებში. ევროპარლამენტს, როგორც გაერთიანების უპირველეს დემოკრატიულ ხმას, მიეცა დამატებითი ძალაუფლება. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებდა მისი, როგორც ერთიანი კანონმდებლის მნიშვნელობას.

ნიცას შეთანხმება (2000)

ნიცას ხელშეკრულება შეიმუშავეს 2000 წლის დეკემბერში, ხელი მოაწერეს 2001 წლის თებერვალში და ძალაში შევიდა 2003 წლის თებერვალს. მისი ძირითადი მიზანი იყო გაფართოვების ახალი ტალღისათვის ინსტიტუციონალური საფუძვლის მომზადება. ნიცას სამიტის ერთ-ერთი შედეგი იყო ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის ერთსულოვანი მიღება. ეს გახლდათ 50 პუნქტისაგან შემდგარი კრებული ევროპის სამართალში ადამიანის თავისუფლების, ეკონომიკური და სოციალური უფლებების შესახებ.

მეხუთე გაფართოვება (2004)

2004 წლის 1 მაისიდან ევროკავშირში 25 წევრი ქვეყანა შედის. ახალი წევრები არიან საქართველოს მეგობარი და პარტნიორი ქვეყნები: ესტონეთი, ლატვია და ლიტვა, აგრეთვე პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და სლოვაკეთი, უნგრეთი, სლოვენია, კვიპროსი და მალტა. რაც შეეხება თურქეთის ჩრდილოეთ კვიპროსს, იქ უნდა ჩატარებულიყო განსაზღვრული სამუშაოები, რადგან სამხრეთის ბერძნულმა მხარემ უარი განაცხადა გაეროს შემოთავაზებაზე კუნძულის კვლავ გაერთიანების თაობაზე. თუმცა, ჩრდილოეთი ამ გეგმაზე თანახმა იყო.

ევროკავშირის კონსტიტუცია (მიღებული 2004 წლის 18 ივნისს)

მოსამზადებელი ფაზის შემდეგ, 2002-2003 წლების სპეციალურ კონფერენციაზე ე.წ. კონვენტზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროკავშირის ქვეყნების პარლამენტისა და მთავრობათა წევრები, აგრეთვე ევროკომისია, რომელსაც მეთაურობდა საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დესტენი, ევროკავშირის მთავრობა თავდაპირველად ერთსულოვანდ არ უჭერდა მხარს ევროკავშირის კონსტიტუციის ჩარჩო დოკუმენტს, რომელსაც უნდა უზრუნველეყო გრძელი ვადით ერთიან სამართლებრივ ჩარჩოში მუშაობა. ევროკავშირის კონსტიიტუცია მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს სესიაზე ქ. დუბლინში (ირლანდია) 2003 წლის დეკემბდრიდან 2004 წლის ივნისამდე ჩატარებული დისკუსიების შემდეგ. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირმა რამოდენიმე წლის მანძილზე იხელმძღვანელოს ამ კონსტიტუციით, რომელიც შეიცავს ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიას.

მეექვსე გაფართოვება (2007)

2007 წლიდან ევროკავშირს შეემატა ორი ახალი ქვეყანა ბულგარეთი და რუმინეთი. შესაბამისად ევროკავშირის შემადგენლობა 27 წევრით განისაზღვრა.

მეექვსიდე გაფართოვება (2013)



2012 წლის 22 იანვარს ხორვატიაში რეფერენდუმი გაიმართა, რომელშიც მოსახლეობის 66,25 %-მა ხმა მისცა ხორვატიის ევროკავშირში გაწევრიანებას. 2013 წლის 1 ივლისიდან ხორვატია ევროკავშირის წევრი, რიგით 28-ე სახელმწიფო გახდა.

ევროკავშირის სიმბოლოები

ევროკავშირის დროშა

ევროპული დროშა არა მარტო ევროკავშირის, არამედ ევროპის ერთიანობისა და იდენტურობის სიმბოლოა. ოქროსფერი ვარსკვლავების წრე წარმოადგენს ევროპის ხალხებს შორის სოლიდარობასა და ჰარმონიას. ვარსკვლავების რიცხვი, ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, გამოხატავს არა ევროკავშირის წევრი ქვეყნების რაოდენობას, არამედ სრულყოფილებას, სისრულესა და ერთობას.

ევროკავშირის დროშის ისტორია იწყება 1955 წლიდან, როდესაც მხოლოდ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობა არსებობდა, მისი ექვსი წევრით. ევროსაბჭო რამოდენიმე წლით ადრე იქნა დაფუძნებული საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში და აქტიურად იცავდა ადამიანის უფლებებს და ქომაგობდა და ხელს უწყობდა ევროპულ კულტურას. ევროსაბჭო ფიქრობდა თუ რა სიმბოლო შეექმნა გამოსაყენებლად.

ბევრი განხილვის შემდეგ მიიღეს დღევანდელი დიზაინი - ლურჯ ფონზე გამოსახული თორმეტი ოქროს ვარსკვლავის წრე, რომელიც შეთავაზებულ იქნა ირლანდიის წარმომადგენლების არსენ ჰეიტცისა და პოლ ლევის მიერ. სხვადასხვა ტრადიციებში, თორმეტი წარმოადგენს სიმბოლოს, როგორც წელიწადის თვეების რაოდენობის, საათზე ნაჩვენები დღის საათების რაოდენობის, ზოდიაქოს ნიშნების რაოდენობის, ქრისტეს მოციქულების რაოდენობის, აგრეთვე ოლიმპიური ღმერთების რაოდენობისა. მაგრამ, როგორც აღინიშნა, აქ რიცხვი 12 არის ერთობის სიმბოლო.

შემდგომში ევროსაბჭომ, სხვა ევროპული ინსტიტუტებიც წაახალისა, რომ მათაც მიეღოთ ეს დროშა და 1986 წლიდან მოყოლებული ევროკავშირის ყველა ინსტიტუტი იყენებს მას. აღნიშნული დროშა ევროკომისიის, როგორც ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოს, ერთადერთი ემბლემაა, თუმცა კავშირის სხვა ორგანოებსა და ინსტიტუტებს შეუძლიათ დროშასთან ერთად სხვა ემბლემებიც გამოიყენონ.

ევროკავშირის ჰიმნი - ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის უკანასკნელი ნაწილი. ბეთჰოვენმა ჰიმნი შექმნა ფრიდრიხ შილერის ლირიკული პოემის „ოდა სიხარულს“ მიხედვით. იგი ევროპულ ჰიმნად აღიარებულ იქნა 1972 წელს ევროპის საბჭოს მიერ ჰერბერტ ფონ კარაიანის ოფიციალური საორკესტრო არანჟირებით. ევროკავშირის ენებს შორის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად ჰიმნს ოფიციალური ტექსტი არ აქვს და მაშასადამე არ იმღერება.

ევროკავშირის ვალუტა - ევრო (სიმბოლო: €; საბანკო კოდი: EUR) ერთადერთი ფულადი ერთეულია 337 მილიონი ევროპელისთვის. ევრო ოფიციალური ვალუტაა ევროკავშირის წევრ 19 ქვეყანაში (რომელსაც კოლექტიურად ევროზონასაც უწოდებენ) და ასევე ორმხრივი შეთანხმებების შედეგად სხვა არა-წევრ ქვეყნებში, მათ შორის მონაკოში, სან-მარინოში, ვატიკანში და სხვა.

ევრო მსოფლიო სავაჭრო ბაზრებზე როგორც სააღრიცხვო ვალუტა შემოვიდა 1999 წელს, ფიზიკური ბანკნოტები და მონეტები კი შემოღებულ იქნა 2002 წელს. ევროგაერთიანების ყველა ქვეყანას აქვს უფლება შეუერთდეს ევროზონას იმ შემთხვევაში თუ ისინი პასუხობენ გარკვეულ მონეტარულ მოთხოვნებს, ევროს გამოყენება ვალდებულებაა ევროკავშირის ყველა ახალი წევრისთვისაც.

ევროს მართავს და ადმინისტრირებას უწევს ფრანკფურტში მდებარე ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროპის ცენტრალურ ბანკთა სისტემა (რომელშიც წევრ ქვეყანათა ცენტრალური ბანკები შედის). როგორც დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი, მას ერთპიროვნული უფლება აქვს მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრის. ევროპის ცენტრალური ბანკი მონაწილეობს პანკნოტების ბეჭდვაში, მონეტების ჩამოსხმაში და მათ სისტემაში გავრცელებაში ყველა წევრ ქვეყანაში, ისევე როგორც ევროზონის საგადამხდელო სისტემის ფუნქციონირებაში.

ევროკავშირის ინსტიტუტები

ევროკავშირი, როგორც 28 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება, მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას მისი 500 მილიონზე მეტი მოქალაქისთვის, უფრო სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში. იგი მუდმივად განავითარებს სტრუქტურას, რომელსაც ისტორიული პრეცედენტი არ გააჩნია.

ევროკავშირის ძირითად კანონმდებლობას წარმოადგენს წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები. ეს ხელშეკრულებები საფუძველს უყრის ევროკავშირის პოლიტიკას, აფუძნებს მის ინსტიტუციონალურ სტრუქტურას, საკანონმდებლო პროცედურებს და უფლებამოსილებებს.

ევროკავშირის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში უდიდეს როლს ასრულებენ ევროკავშირის ინსტიტუტები, კერძოდ:

ევროკომისია

ევროკომისია ევროკავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოს და შედგება 28 ევროკომისრისაგან. ამ ეტაპზე ევროკავშირის თითოეულ წევრ ქვეყანას ერთი ევროკომისარი ჰყავს. კომისრებს ევალებათ იმოქმედონ არა წევრი ქვეყნების, არამედ ევროკავშირის ინტერესების შესაბამისად. უფრო ფართო გაგებით, ევროკომისია არის ევროკავშირის დაახლოებით 20 ათასი მოხელისაგან შემდგარი ადმინისტრაციული აპარატი, რომელთაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ევროკავშირის ყოველდღიურ საქმიანობაში.

კომისიის წევრებს საერთო თანხმობის საფუძველზე ნიშნავენ წევრი სახელმწიფოები 5 წლის ვადით. ევროკომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ევროპის პარლამენტი. ამსტერდამის ხელშეკრულების თანახმად, ევროკომისიის პრეზიდენტი ინიშნება წევრი სახელმწიფოების მთავრობათა საერთო თანხმობის საფუძველზე და ესეც ევროპარლამენტის მიერ დამტკიცებას საჭიროებს. ამასთან, პრეზიდენტთან ერთად ინიშნება და მტკიცდება კომისიის სხვა წევრებიც.

კომისიის საქმიანობა განისაზღვრება შემდეგი მიმართულებებით:

1. ევროკომისია სთავაზობს ევროპარლამენტს და ევროკავშირის საბჭოს ახალ კანონპროექტებს;
2. მართავს ბიუჯეტს და კოორდინირებას უწევს ფულად სახსრებს;
3. იცავს ევროკავშირის კანონმდებლობას (სასამართლოსთან ერთად);
4. საერთაშორისო არენაზე წარმოადგენს ევროკავშირს.

ევროკომისიას მინიჭებული აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება (ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხების გარდა, სხვა სტრატეგიულ სფეროებში, ისეთებში, როგორებიცაა მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები, ევროკავშირის წევრ ქვეყნებსაც აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება). თუმცა, ევროკომისია ამ უფლებას იყენებს მხოლოდ მაშინ, როცა გარკვეული საკითხების გადაწყვეტა ვერ ხერხდება ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე (რაც მოიაზრებს სუბსიდირების პრინციპს, მუხლი 5, §1 და §3, TEU). კომისიის დეპარტამენტები კომისრებს წარუდგენენ ახალ კანონპროექტს. თუ 28-დან 15 კომისარი მოიწონებს ამ პროექტს, ის გადაეგზავნება საბჭოს და პარლამენტს. დებატების, განხილვებისა და პროექტში ცვლილებების შეტანის შემდეგ საბჭო და პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას მოცემული კანონპროექტის დამტკიცების შესახებ.

საკუთარ მოვალეობათა შესრულებისას ევროკომისია დიდი დამოუკიდებლობით სარგებლობს. იგი გამოხატავს თანამეგობრობის ინტერესებს და არ იღებს ინსტრუქციებს ცალკეული წევრი სახელმწიფოებისაგან.

როგორც ''ხელშეკრულებების მცველი" ("Guardian of Treaties"), ევროკომისია ამოწმებს იმას, თუ რამდენად სწორად ახორციელებენ წევრი ქვეყნები ევროკავშირის კანონმდებლობას. იმ შემთხვევაში, თუ ირღვევა კანონი, კომისია წევრ ქვეყანას უგზავნის ოფიციალურ წერილს და სთხოვს პრობლემის მოგვარებას. უკიდურესი ზომის სახით კომისია მიმართავს სასამართლოს. ხოლო სასამართლოს შეუძლია, დამრღვევ მხარეს დააკისროს ჯარიმა. სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ინსტიტუტებისათვის.

საბჭოსთან და პარლამენტთან ერთად კომისია განსაზღვრავს ევროკავშირის ფინანსების ხარჯვის გრძელვადიან პრიორიტეტებს. ევროკომისია ადგენს ევროკავშირის ბიუჯეტის პროექტებს (მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩო და ყოველწლიური ბიუჯეტი) და განკარგავს ბიუჯეტის 97%. გარდა ამისა, კომისია კოორდინირებას უწევს ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკის (სოფლის მეურნეობა და განვითარება) და პროგრამების (მაგ., სტუდენტური გაცვლითი პროგრამა "ერასმუსი") დაფინანსების საკითხებს.

ევროკომისია კურირებს ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების საკითხებს: მოლაპარაკებები საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ; მოლაპარაკებების წარმოება ევროკავშირის გაფართოებაზე.

ევროკომისიის მუშაობაში დიდ როლს თამაშობს მისი ტექნიკური ექსპერტიზა. გარკვეულწილად, მას შეუძლია ახალი საკითხების ინიცირება (მაგალითად, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, კლიმატური ცვლილებები და სხვა).

ევროკომისიას ზურგს უმაგრებს სამოქალაქო სამსახური, რომელიც ბრიუსელსა და ლუქსემბურგში მდებარეობს.

ეს სამსახური შედგება 38 დეპარტამენტისაგან, რომლებსაც გენერალური დირექტორატები ეწოდება (მასში შედიან ადმინისტრატორები, იურისტები, ეკონომისტები, თარჯიმნები, სამდივნოს თანამშრომლები და სხვა). ყოველი დირექტორატი პასუხისმგებელია ერთიანი პოლიტიკისა და ადმინისტრირების განხორციელებაზე გარკვეულ სფეროში. გარდა ამისა, კომისიას აქვს წარმომადგენლობები ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში და ჰყავს დელეგაციები დედაქალაქებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ევროკომისიის, ამჟამინდელი რიგით მეცამეტე, პრეზიდენტია ჟან-კლოდ იუნკერი.

ევროკავშირის საბჭო

ევროკავშირის საბჭო გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ ინსტიტუტს წარმოადგენს. იგი თავს უყრის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს სხვადასხვა დონეებზე. (მას ასევე ხშირად მოიხსნებენ „მინისტრთა საბჭოს“ სახელწოდებით).

ის ჰიბრიდული ინსტიტუტია, რადგანაც გააჩნია როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი უფლებამოსილებები. ევროკავშირის მთელი კანონმდებლობა, ევროკავშირის ბიუჯეტის ჩათვლით, მის ხელში გადის. ის არის ევროკავშირის ინსტიტუციური სამკუთხედის (ევროკომისია, ევროკავშირის საბჭო და ევროპარლამენტი) ყველაზე გავლენიანი წევრი.

წევრი ქვეყნების მინისტრების დონეზე საბჭო იკრიბება 9 სტრუქტურული ერთეულის სახით (ზოგადი საკითხების საბჭო; ეკონომიკისა და ფინანსების საბჭო; მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა საბჭო; დასაქმების, სოციალური პოლიტიკის, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა საკითხების საბჭო; კონკურენციის საკითხთა საბჭო; ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციებისა და ენერგეტიკის საბჭო; გარემოს დაცვის საბჭო; სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის საბჭო; განათლების, ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის საბჭო.

საბჭო ასევე იკრიბება 10 სტრუქტურული ერთეულის სახითაც. ეს არის საგარეო საქმეთა საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში.

საბჭოს მოსამზადებელი სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოა მუდმივი წარმომადგენლობების კომიტეტი (COREPER) რომელიც ორი სხვადასხვა შემადგენლობით ათანხმებს საბჭოს დღის წესრიგის ყველა საკითხს (კანონმდებლობა, ხელშეკრულებები, საგარეო პოლიტიკა) და ამზადებს საბჭოს შეხვედრებს მინისტრების დონეზე.

საბჭო ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებს (რეგლამენტებს, დირექტივებსა და გადაწყვეტილებებს), კენჭისყრის საფუძველზე იღებს. განასხვავებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით ან კვალიფიციური უმრავლესობით. მეორე შემთხვევაში საბჭოში ხმები ნაწილდება წევრ სახელმწიფოთა მოსახლეობის შესაბამისად გამოყოფილი კვოტების მიხედვით, კერძოდ:

- გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, საფრანგეთი - 29 ხმა,
- ესპანეთი, პოლონეთი - 27 ხმა,
- ნიდერლანდი - 13 ხმა,
- საბერძნეთი, ბელგია, ჩეხეთი, პორტუგალია, უნგრეთი - 12 ხმა,
- შვედეთი, ავსტრია - 10 ხმა,
- სლოვაკეთი, დანია, ფინეთი, ირლანდია, ლიტვა - 7 ხმა,
- ლატვია, სლოვენია, ესტონეთი, კვიპროსი , ლუქსემბურგი - 4 ხმა,
- მალტა - 3 ხმა.

საბჭოში საკითხთა უდიდესი უმრავლესობა მიიღება ხმების კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპით (თუმცა საგარეო პოლიტიკის ან გადასახადების ჰარმო-ნიზაციის საკითხების შემთხვევაში-ერთხმად). იმისათვის, რომ დაცული იქნას მცირე ქვეყნების ინტერესი, გადაწყვეტილების მიღება ეფუძნება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის მეთოდს და გამოიყენება ორმაგი უმრავლესობის პრინციპი: საკითხის გადაწყვეტა ხდება წევრი ქვეყნების 55%-ის მიერ (ამჟამად ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნიდან-15) რომელიც უნდა წარმოადგენდეს ევროკავშირის მოსახლეობის 65%-ს. საკითხის დაბლოკვა შეუძლიათ ევროკავშირის მინიმუმ 4 წევრ ქვეყანას. ევროკავშირის საბჭოს უფლებამოსილებების ფარგლებში საკანონმდებლო აქტების მიღების, ზოგადი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების, საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმებისა და ევროკავშირის

ბიუჯეტის განხილვის გარდა, საბჭო, ასევე, კოორდინირებას უწევს წევრი ქვეყნების ეროვნულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას.

საბჭოს ხელმძღვანელობა ყოველ ექვს თვეში იცვლება - როტაციის წესით მას ხელმძღვანელობს ყველა წევრი სახელმწიფო (როგორც წესი საგარეო საქმეთა მინისტრის სახით). საბჭოს აქვს გენერალური სამდივნო, რომელიც ბრიუსელში მდებარეობს.

ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნების განრიგი:

ირლანდია – 2013 წლის წლის იანვარი-ივნისი

ლიტვა – 2013 წლის ივლისი-დეკემბერი

საბერძნეთი – 2014 წლის წლის იანვარი-ივნისი

იტალია – 2014 წლის ივლისი-დეკემბერი

ლატვია – 2015 წლის წლის იანვარი-ივნისი

ლუქსემბურგი – 2015 წლის ივლისი-დეკემბერი

ჰოლანდია – 2016 წლის წლის იანვარი-ივნისი

სლოვაკეთი – 2016 წლის ივლისი-დეკემბერი

ევროპული საბჭო

ევროპული საბჭო წარმოადგენს ევროკავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოს და აერთიანებს წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს.

ევროპული საბჭო ხშირად შეცდომით გაიგივებულია ევროკავშირის საბჭოსთან. მართალია, ეს ორი საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს, მაგრამ მათი მიზნები და როლები განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული საბჭო დღესდღეობით მართლაც არის ევროკავშირის ინსტიტუტი, ის ძირითადად ასრულებს წევრი ქვეყნების მეთაურებისა (პრემიერ-მინისტრი ან პრეზიდენტი მოცემული ქვეყნის კონსტიტუციური წყობიდან გამომდინარე) და საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტის როლს. ევროკომისია ასევე მონაწილეობს ევროპული საბჭოს მუშაობაში, საბჭოს შემადგენლობაში შედის ევროკომისიის პრეზიდენტი.

ევროპული საბჭო იკრიბება სულ მცირე წელიწადში ორჯერ. იგი ასრულებს პლატფორმის როლს წევრი ქვეყნების უმაღლესი რანგის წარმომადგენლებს შორის გამართული კონსულტაციებისა და ევროპული ინტეგრაციის პროექტის საჭირბოროტო და მნიშვნელოვანი სამომავლო გეგმების შესახებ დებატების უზრუნველსაყოფად. ზოგადად, ევროპულ საბჭოში არ გამოიყენება კენჭისყრის რომელიმე სისტემა (გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), გადაწყვეტილების მიღება ხდება კონსენსუსის გზით. ევროპული საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობა შემოღებულია ლისაბონის ხელშეკრულებით (2,5 წლით, მაქსიმუმ ორი ვადით) და მისი ძირითადი ფუნქციაა ევროპული საბჭოს სხდომების მომზადება.

ევროპულ საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე („პრეზიდენტი“), რომელსაც ირჩევენ 1990 წლიდან. ეს არის თანამდებობრივი როლი ე.წ. primus inter pares ანუ „პირველი თანასწორთა შორის“. ამ ადგილს ექვსი თვით იკავებს იმ ქვეყნის სახელმწიფოს (ან მთავრობის) მეთაური, რომელი ქვეყანაც ამ პერიოდში თავმჯდომარეობს ევროკავშირის საბჭოს.

ევროპულმა საბჭომ პირველ პრეზიდენტად აირჩია ჰერმან ვან რომპეი (მისი პირველი ვადა ამოიწურა 2012 წლის 31 მაისს). პრეზიდენტს ირჩევს ევროპული საბჭო ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

ევროპულ საბჭოს არ გააჩნია ნორმატიული აქტების მიღების უფლება, თუმცა წარმოადგენს ევროკავშირის ლიდერთა შეხვედრების პლატფორმას. აქ ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს ზოგად პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, მიმართულებებსა და ძირეულ ინიციატივებზე. მიუხედავად ამისა, ევროპულ საბჭოს შეუძლია, არა-ოფიციალურად დავალებები მისცეს ევროკომისიასა და ევროკავშირის საბჭოს, რასაც ის ხშირად აკეთებს კიდეც.

ევროპული საბჭო ხშირად განიხილავს კომპლექსურ და მგრძნობიარე საკითხებს. 2011 წელს, მაგალითად, მისი დისკუსიების უდიდესი ნაწილი ევროკავშირის ეკონომიკური მმართველობის გაძლიერებასა და ევროპის საბანკო კრიზისის დაძლევის მცდელობას დაეთმო. ევროპული საბჭოს სხდომები დახურულ კარს მიღმა იმართება.

ევროპული საბჭოს ადგილსამყოფელია ბელგია, ქალაქი ბრიუსელი.

ევროპის პარლამენტი

ევროპის პარლამენტი ევროკავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. ევროპის პარლამენტი 751 წევრს ითვლის და მსოფლიოში ყველაზე დიდი დემოკრატიულად არჩეული პარლამენტია.

ევროპის პარლამენტი წარმოადგენს ერთადერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის წევრებიც პირდაპირი საყოველთაო კენჭისყრით არიან არჩეულნი (პირველი პირდაპირი არჩევნები 1979 წელს ჩატარდა), რაც ამაღლებს მის ლეგიტიმურობას, თუმცა ეს ლეგიტიმურობა ხშირი დავების საგნად იქცა ევროპის პარლამენტის არჩევნებში მოსახლეობის მონაწილეობის დაბალი პროცენტული მაჩვენებლისა და ეროვნული საკითხების დომინირების გამო. დღემდე ჩატარებულია 6 არჩევნები.

ევროპის პარლამენტი აირჩევა 5 წლის ვადით. მისი დანიშნულებაა, წარმოადგინოს ევროკავშირის მოქალაქეების ინტერესები. იგი არის ევროკავშირის ყველაზე ღია ინსტიტუტი ადვოკატირებისა და აქტიური ჩართულობის თვალსაზრისით. თუმცა, ეს ინსტიტუტი ყველაზე სუსტი რგოლია ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის. მიუხედავად დროთა განმავლობაში მისი უფლებამოსილებების გაძლიერებისა (მაგალითად, ლისაბონის ხელშეკრულების შემდეგ), ევროპარლამენტის გავლენა ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე ეს მის წევრებს სურთ.

დღეისათვის ევროპარლამენტის უფლებამოსილებისა და კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება: კანონმდებლობა, ბიუჯეტი და აღმასრულებელ ორგანოებზე კონტროლი. ჩვეულებრივი პარლამენტებისაგან განსხვავებით ევროპარლამენტის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ იგი არ ახდენს მთავრობის ფორმირებას, რამდენადაც მთავრობა, ჩვეულებრივი გაგებით, ევროკავშირში არ არსებობს.

ევროპარლამენტის სხდომები სტრასბურგში მიმდინარეობს, საჭიროების შემთხვევაში ბრიუსელში ინიშნება დამატებითი პლენარული და კომისიების სხდომები. სხდომები მიმდინარეობს სინქრონული თარგმანის დახმარებით. სხდომები და ყველა ოფიციალური დოკუმენტი ევროკავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე ითარგმნება.

ევროპის პარლამენტის მუშაობა ხორციელდება კომიტეტებისა და პლენარული სხდომების მეშვეობით. ევროპის პარლამენტი ევროკავშირის ყველაზე პოლიტიზირებული ორგანოა პარტიული პოლიტიკის თვალსაზრისით. ის მოწყობილია საკუთარი წევრებისა და არჩეული პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით. ევროპის პარლამენტში თავს იყრიან მწვანეები, სოციალ-დემოკრატები, ლიბერალები, ქრისტიან-დემოკრატები, კონსერვატორები, რეფორმისტები და უკიდურესი მემარჯვენეები. გარდა ამისა ევროპარლამენტში კიდევ არიან დამოუკიდებელი დეპუტატები, რომლებიც არც ერთ საპარლამენტო ფრაქციაში არ არიან გაერთიანებულნი.

ევროპარლამენტში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს გამოყოფილი აქვთ ადგილები მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისი კვოტებით.

დეპუტატთა ეროვნული წარმომადგენლობა ევროპარლამენტში





- გერმანია- 96 (12.8%)
- საფრანგეთი - 74 (9.9%)
- დიდი ბრიტანეთი, იტალია - 73 (9.7%)
- ესპანეთი - 54 7 (7.2%)
- პოლონეთი - 51 (6.8%)
- რუმინეთი - 32 (4.3%)
- ნიდერლანდები - 26 (3.5%)
- პორტუგალია, უნგრეთი - 21 (2.8%)
- საბერძნეთი, ჩეხეთი, ბელგია - 21 (2.8%)
- შვედეთი - 20 (2.7%)
- ავსტრია - 18 (2.4%)
- ბულგარეთი - 17 (2.3%)
- სლოვაკეთი, დანია - 13 (1.7%)
- ფინეთი - 13 (1.7%)
- ირლანდია, ლიტვა - 11 (1.5%)
- ხორვატია - 11 (1.5%)
- ლატვია, სლოვენია - 8 (1.1%)
- ესტონეთი, ლუქსემბურგი , კვიპროსი, მალტა - 6 (0.8%)

ევროპარლამენტის მთელ საქმიანობას წარმართავს პარლამენტის ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობს ევროპარლამენტის პრეზიდენტი. ბიუროს შემადგენლობაში შედიან აგრეთვე ვიცეპრეზიდენტები, ადმინისტრაციული და ფინანსური მოვალეობის მქონე კვესტორები.

ევროპარლამენტს ჰყავს გენერალური სამდივნო, რომელიც ლუქსემბურგში მდებარეობს.

ევროპარლამენტის მოქმედი, რიგით მეშვიდე მოწვევის, პრეზიდენტი არის მარტინ შულცი (ქვეყანა გერმანია).

ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახური

ლისაბონის ხელშეკრულებამ ბიძგი მისცა ევროპის საგარეო ურთიერთობის სამსახურის ჩამოყალიბებას. იგი პრაქტიკულად ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიპლომატიური კორპუსის ფუნქციას ასრულებს; ამასთან, ახორციელებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას და მუშაობს საგარეო პოლიტიკისა და წარმომადგენლობის სხვა სფეროებშიც. ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახური ექვემდებარება და დახმარებას უწევს უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში. გარდა ამისა, მას მოეთხოვება ევროსაბჭოს პრეზიდენტისა და კომისიის პრეზიდენტის მხარდაჭერაც.

ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახურმა სრული დატვირთვით მუშაობა 2010 წელს დაიწყო. ის თანამშრომლობს წევრი ქვეყნების დიპლომატიურ სამსახურებთან და თავს უყრის გენერალური სამდივნოსა და ევროკავშირის საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტების მოხელეებს, ისევე, როგორც ეროვნული დიპლომატიური სამსახურების დამხმარე კადრებს.

უმაღლესი წარმომადგენლისათვის დახმარების გაწევა ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ძირითადი ფუნქციაა. რეალურად, ეს განსაზღვრავს ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მუშაობის ზუსტ მასშტაბებს.

უმაღლეს წარმომადგენელს უწყებებსა და ინსტიტუტებთან მუდმივი კონტაქტი სჭირდება, თუმცა ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა რიგ ასპექტებზე ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახურს ხელი არ მიუწვდება. ისეთი საკითხები, როგორებიცაა გაფართოება და ევროპის სამეზობლო სტრატეგია, კომისიის პასუხისმგებლობის ქვეშ არის, თუმცა ნაწილობრივ მაინც ექვემდებარება უმაღლეს წარმომადგენელს, როგორც კოორდინატორს, რომელიც, ამავდროულად, კომისიის ერთ-ერთი ვიცეპრეზიდენტია. უმაღლესი წარმომადგენელი და ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახური ახორციელებენ სტრატეგიებს, რომლებიც შეთანხმებულია წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის საბჭოსთან. ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახური ამ შეზღუდვების ფარგლებში მოქმედებს.

ევროპის საგარეო პოლიტიკის დელეგაციების (ევროკავშირის დელეგაციები) როლი ტრადიციული ეროვნული საელჩოების როლის მსგავსია. ისინი განლაგებულია მესამე ქვეყნებში, ისევე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების სათაო ოფისებში, მაგალითად, გაეროს ოფისებში ნიუ-იორკსა და ჟენევაში. ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, დელეგაციების ფუნქცია პოლიტიკური და ეკონომიკური ინფორმაციის შეგროვება და ანალიზია (მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება). გარდა ამისა, ისინი ასრულებენ შუამავლის როლს მესამე ქვეყნების მთავრობებსა და ევროკავშირს შორის, უზრუნველყოფენ მესამე ქვეყნებთან მოლაპარაკებებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას, უტარებენ კონსულტაციებს ევროკავშირის მოხელეებს მასპინძელი ქვეყნების თანამდებობის პირებთან შეხვედრამდე და სხვა.

ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლო

ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლო ევროკავშირის ერთ-ერთი ინსტიტუტია, რომელიც დაარსდა 1952 წელს. იგი შედგება 28 მოსამართლისა და 11 გენერალური ადვოკატისაგან, რომლებიც ინიშნებიან წევრ სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე 6 წლის ვადით. სასამართლო მდებარეობს ლუქსემბურგში და მისი ფუნქციაა, უზრუნველყოს თანამეგობრობის აქტების ინტერპრეტაცია და განხორციელება სადამფუძნებლო ხელშეკრულებათა შესაბამისად.

ევროპულ თანაბეგობრობათა სასამართლო ერთადერთი ორგანოა, რომელსაც უფლება აქვს, გამოიტანოს დასკვნა თანამეგობრობის კანონმდებლობის სწორი ინტერპრეტაციის თაობაზე. სასამართლო იღებს და იხილავს შემდეგი ტიპის სარჩელებს:

- სარჩელი ქვეყნის მიერ თანამეგობრობის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ;
- სარჩელი თანამეგობრობის აქტის ბათილობის შესახებ;
- სარჩელი თანამეგობრობის რომელიმე ორგანოს უმოქმედობის შესახებ;
- სარჩელი ზიანის მიყენების შესახებ;
- ეროვნული სასამართლოს მოთხოვნა თანამეგობრობის კანონმდებლობის ნორმის ინტერპრეტაციის თაობაზე.

ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლოს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა თანამეგობრობის მოსამართლეთა მიერ 3 წლის ვადით. ამავე ვადით აირჩევა ვიცე პრეზიდენტიც. საბჭოს შეუძლია დანიშნოს მოსამართლეთა თანაშემწეები. ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლო უშუალოდ იხილავს მხოლოდ იმ სარჩელებს, რომელიც ევროკომისიის ან წევრ სახელმწიფოთა მიერ არის შეტანილი.

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ წარადგინონ სარჩელები თანამეგობრობის აქტის ბათილობის, თანამეგობრობის ორგანოს უმოქმედობის და ზიანის ანაზღაურების შესახებ თანამეგობრობათა პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებათა გასაჩივრება ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლოში შეიძლება. თუ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს სურს დააყენოს საკითხი წევრი ქვეყნის მიერ თანამეგობრობის კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე, მას შეუძლია მიმართოს ევროკომისიას, რომელიც ვალდებულია შეისწავლოს ფაქტები, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს ქვეყანას ვადა მათ გამოსასწორებლად და თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა აღძრას საქმე თანამეგობრობათა სასამართლოში.

ევროპის აუდიტორთა სასამართლო

ევროპის აუდიტორთა სასამართლო დაარსდა 1975 წლის 22 ივლისს, თუმცა სრულფასოვან ორგანოდ მაასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ იქცა. იგი შედგება 15 წევრისაგან, რომლებიც წევრ სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე და ევროპარლამენტთან მოთათბირების შემდეგ ინიშნებიან 6 წლის ვადით.

სასამართლოს ფუნქციაა შემოსავლებისა და ხარჯების კანონიერად და რეგულარულად მიღებისა და მოხმარების შემოწმება, აგრეთვე თანამეგობრობის ფინანსური საქმეების სათანადო წარმართვის ზედამხედველობა. მისი მთავარი მიზანია, გააუმჯობესოს ევროკავშირის ფინანსური მართვა და მოამზადოს ანგარიში სახელმწიფო ფონდებიდან თანხების ხარჯვის პროცესზე.

აუდიტორთა სასამართლო ასევე ვალდებულია, გამოთქვას თავისი მოსაზრება ევროკავშირის ფინანსურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით და თაღლითობასთან ბრძოლის მიმართულებით.

აუდიტორთა სასამართლოს უფლება აქვს, შეამოწმოს ნებისმიერი პიროვნება თუ ორგანიზაცია, რომელიც დაფინანსებას იღებს ევროკავშირისაგან. სასამართლო ხშირად ახორციელებს ადგილზე შემოწმებას. შემოწმების შედეგად მომზადებულ დასკვნებს აუდიტორები წარუდგენენ კომისიას და ევროკავშირის ეროვნულ მთავრობებს. აღსანიშნავია, რომ აუდიტორთა სასამართლოს არა აქვს იურიდიული უფლებამოსილება და რაიმე სახის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მან ევროპის თაღლითობასთან ბრძოლის ოფისს (the European Anti-Fraud Office – OLAF) უნდა აცნობოს.სასამართლოს წევრები თავიანთი შემადგენლობიდან სამი წლის ვადით ირჩევენ პრეზიდენტს.

აუდიტორთა სასამართლოს ჰყავს დაახლოებით 800 თანამშრომელი, მათ შორის აუდიტორები, თარჯიმნები და ადმინისტრატორები. აუდიტორები დაყოფილნი არიან აუდიტორულ ჯგუფებად. ისინი ამზადებენ ანგარიშებს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ამსტერდამის ხელშეკრულება აღიარებს აუდიტორთა სასამართლოს უფლებას, თავისი პრეროგატივების დასაცავად საქმე აღძრას მართლმსაჯულების სასამართლოში და განავრცობს მის უფლებას თანამეგობრობის იმ სახსრების გაკონტროლებაზე, რომლებსაც გარეშე ორგანიზაციები განაგებენ.

იმისათვის, რომ სასამართლომ თავისი მოვალეობა ჯეროვნად შეასრულოს, აუცილებელია ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებისაგან სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ამავე დროს, მუდმივი კავშირი მათთან.

ნიცის ხელშეკრულების თანახმად, გაფართოების შემდეგ აუდიტორთა სასამართლოს შემადგენლობა გაიზრდება იმავე რაოდენობით, რამდენითაც ევროკავშირი.

ევროკავშირში გაწევრიანება

რამდენიმე გაფართოების შედეგად ევროკავშირი მნიშვნელოვნად გაიზარდა: თავდაპირველი ექვსის ნაცვლად დღეს მასში 28 წევრი შედის. კიდევ რვა სახელმწიფო აწარმოებს მოლაპარაკებას წევრობაზე ან მომზადების სხვადასხვა ეტაპზეა. ნებისმიერი ახალი წევრის მიღებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება საჭიროებს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ ერთსულოვან დამტკიცებას. გარდა ამისა, ყოველ ახალ გაფართოებამდე ევროკავშირმა უნდა შეაფასოს თავისი უნარი, მიიღოს ახალი წევრი (წევრები), ასევე თავისი ინსტიტუტების შესაძლებლობა, გააგრძელონ სათანადო ფუნქციონირება.

ევროკავშირის გაფართოებამ ხელი შეუწყო ევროპაში დემოკრატიისა და უსაფრთხოების განმტკიცებას და სტაბილიზებას და გააძლიერა კონტინენტის პოტენციალი ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

გაწევრიანების პირობები:

- ✓ სამართლებრივი მოთხოვნები. ევროპული ინტეგრაცია პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესია. მასში მონაწილეობა შეუძლია ევროპის ყველა იმ ქვეყანას, რომელიც მზად არის, შეუერთდეს ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებებს და სრულად გაიზიაროს ევროკავშირის კანონმდებლობის ყველა მოთხოვნა. ლისაბონის ხელშეკრულების 49-ე მუხლის თანახმად, ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლება, შეიტანოს განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანებაზე, თუკი იგი იცავს თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის და კანონის უზენაესობის პრინციპებს.
- ✓ „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“. 1993 წელს, მას შემდეგ, რაც უწინ კომუნისტური რეჟიმის მქონე ქვეყნებმა ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი გამოთქვეს, ევროპულმა საბჭომ შეიმუშავა სამი კრიტერიუმი, რომლებიც ამ ქვეყნებს ევროკავშირში გაწევრიანებისათვის უნდა დაეკმაყოფილებინათ.

იმისათვის, რომ ევროკავშირში გაწევრიანდნენ, სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ:

- სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყანაში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის არსებობას და ადამიანის უფლებების და უმცირესობათა უფლებების დაცვას;
- მოქმედი საბაზრო ეკონომიკა და უნარი, გაუძლონ ევროკავშირის ბაზარზე არსებულ კონკურენციას და ბაზრის წესებს;
- უნარი, შეასრულონ ევროკავშირის წევრობით დაკისრებული ვალდებულებები და მხარი დაუჭირონ ევროკავშირის საერთო მიზნების განხორციელებას. ამ ქვეყნებში უნდა იყოს ისეთი სახელმწიფო ადმინისტრაცია, რომელიც შეძლებს ევროკავშირის კანონმდებლობის გამოყენებას და მის განხორციელებას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

✓ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი. ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკება იმართება ყოველ კანდიდატ ქვეყანასა და ევროკომისიას შორის, რომელიც ევროკავშირს წარმოადგენს. მოლაპარაკების დასრულების შემდეგ ამა თუ იმ ქვეყნისათვის ევროკავშირში გაწევრიანების უფლების მინიჭება ევროკავშირის ყველა წევრის (რომლებიც ევროპულ საბჭოზე შეიკრიბებიან) ერთსულოვანი გადაწყვეტილებით უნდა მოხდეს. თავისი დადებითი დამოკიდებულება წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ევროპარლამენტმაც უნდა გამოხატოს. შემდეგ უნდა მოხდეს ევროკაშირის ყველა ქვეყნისა და კანდიდატი ქვეყნის მიერ გაწევრიანების თითოეული ხელშეკრულების რატიფიცირება იმ საკონსტიტუციო პროცედურების შესაბამისად, რომლებიც თითოეულ ამ ქვეყანაში მოქმედებს.

მოლაპარაკების პროცესში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნები იღებენ ფინანსურ დახმარებას ევროკავშირისაგან, რაც უადვილებს მათ, ეკონომიკურად დაეწიონ ევროკავშირის ქვეყნებს. ჩვეულებრივ, ისინი აფორმებენ ასევე „სტაბილიზებისა და ასოცირების შესახებ ხელშეკრულებებს“ ევროკავშირთან. ამ ხელშეკრულებათა საფუძველზე ევროკავშირი უშუალო მონიტორინგს აწარმოებს იმ ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ რეფორმებზე, რომლებიც კანდიდატმა ქვეყნებმა უნდა განახორციელონ იმისათვის, რომ შეასრულონ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის დაწესებული პირობები.

ევროკავშირში ახალი წევრების მიღების პროცედურა შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

- გაწევრიანების მსურველი სახელმწიფო წარადგენს განაცხადს ევროკავშირის საბჭოში;
- საბჭო მიმართავს ევროკომისიას, რათა მან მოამზადოს დასკვნა განაცხადის თაობაზე;
- ევროკომისია ამზადებს დასკვნას წევრობს კანდიდატი სახელმწიფოს სამართლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის დეტალური ანალიზის საფუძველზე;
- საბჭო განიხილავს კომისიის დასკვნას და იღებს გადაწყვეტილებას გაწევ-რიანების შესახებ მოლაპარაკების დაწყების თაობაზე;
- მიმდინარეობს მოლაპარაკებები კანდიდატთან გაწევრიანების შესახებ;
- ევროკავშირის საბჭო ამტკიცებს მოლაპარაკებების შედეგებს;
- ევროპარლამენტი ეთანხმება საბჭოს გადაწყვეტილებას;
- წევრობის კანდიდატი ქვეყანა ახდენს გაწევრიანების ხელშეკრულების რატიფიცირებას;
- ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ახდენენ გაწევრიანების ხელშეკრულების რატიფიცირებას;
- გაწევრიანების ხელშეკრულება შედის ძალაში. ევროკავშირს ახალი წევრი ემატება.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოები: თურქეთი, მაკედონია, ისლანდია, სერბეთი, ჩერნოგორია და ალბანეთი.

ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის პასუხისმგებლობა ნაწილდება შემდეგნაირად:

ევროკავშირია პასუხისმგებელი შემდეგ საკითხებზე:

- საბაჟო კავშირი;
- ერთიან ბაზარზე კონკურენციის მარეგულირებელი წესები;
- მონეტარული პოლიტიკა იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც შემოღებულია ევრო;
- ზღვის ბიოლოგიური რესურსების კონსერვაცია თევზის რეწვის საერთო პოლიტიკის ფარგლებში;
- საერთო კომერციული პოლიტიკა;
- საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმება, როდესაც ამას ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს.

ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები იზიარებენ პასუხისმგებლობას შემდეგ საკითხებზე:

- ერთიანი ბაზარი;
- სოციალური პოლიტიკის ასპექტები, როგორც ეს ლისაბონის ხელშეკრულებაშია განსაზღვრული;
- ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია;
- სოფლის მეურნეობა და თევზის რეწვა, გარდა ზღვის ბიოლოგიური რესურსების კონსერვაციისა;
- გარემოს დაცვა;
- მომხმარებელთა დაცვა;
- ტრანსპორტი;
- ტრანსევროპული ქსელები;
- ენერგეტიკა;
- თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნა;
- საერთო უსაფრთხოებისთვის არსებული გამოწვევების ასპექტები, რომლებიც ეხება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას, როგორც ეს ლისაბონის ხელშეკრულებაშია განსაზღვრული;
- კვლევა, ტექნოლოგიური განვითარება და კოსმოსი;
- თანამშრომლობა განვითარების სფეროში და ჰუმანიტარული დახმარება.

სფეროები, რომლებზე პასუხისმგებლობას ინარჩუნებენ წევრი სახელმწიფოები და რომლებშიც ევროკავშირს შეუძლია შეასრულოს დამხმარე ან მაკოორდინირებელი როლი:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება;
- ინდუსტრია;
- კულტურა;
- ტურიზმი;
- განათლება, პროფესიული სწავლება, ახალგაზრდები და სპორტი;
- მოქალაქეების დაცვა;
- ადმინისტრაციული თანამშრომლობა.

ევროკავშირთან „ასოცირების შეთანხმება“

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება (შემოკლებით ასოცირების შეთანხმება) არის ხელშეკრულება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოს შორის, რომელიც მათ შორის თანამშრომლობის სტრუქტურას ქმნის. შეთანხმების არეალი მოიცავს პოლიტიკის, ვაჭრობის, სოციალური საკითხების განვითარებას, კულტურისა და უსაფრთხოების სფეროებს. ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების სამართლებრივი საფუძველია ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულების (TFEU) 217-ე თავი (რომის ხელშეკრულების ყოფილი 310-ე და 238-ე თავები).

ასოცირების შეთანხმება ფართო ჩარჩო ხელშეკრულებებია ევროკავშირსა და მის წევრ ან არაწევრ სახელმწიფოებს შორის. ასოცირების ხელშეკრულების დებულება თავის დროზე შესული იყო რომის ხელშეკრულებაში, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, როგორც თანამშრომლობის საშუალება გაერთიანებულ სამეფოსთან, რომელმაც 1955 წლის მესინის კონფერენციაზე ხელშეკრულების მოლაპარაკებები დატოვა.

ასოცირების შეთანხმებას მრავალგვარი სახელი აქვს (ასოცირებაზე დაფუძნებული ევრო-ხმელთაშუაზღვიური ხელშეკრულება, ასოცირებაზე დაფუძნებული ევროპული ხელშეკრულება და ა. შ.). ასოცირების ზოგიერთ ხელშეკრულებაში დევს კონტრაქტორი სახელმწიფოს სამომავლოდ ევროკავშირში გაწევრიანების პირობა.

პირველი სახელმწიფოები, რომლებმაც მსგავს ხელშეკრულებებს ხელი მოაწერეს, იყვნენ საბერძნეთი (1961) და თურქეთი (1963).

დღეისათვის, ევროკავშირი ამა თუ იმ ქვეყანასთან ასოცირების შეთანხმებას ძირითადად დებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო ან ადამიანის უფლებათა რეფორმების ვალდებულების სანაცვლოდ. სანაცვლოდ, ქვეყანას შესაძლოა შესთავაზონ ტარიფებისგან თავისუფალი წვდომა ზოგიერთ ევროპულ ბაზარზე და ფინანსური თუ ტექნიკური დახმარება. ბოლო დროს დადებული ხელშეკრულებები ასევე მოიცავს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას ევროკავშირსა და მესამე ქვეყანას შორის. ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოახდინოს ევროკავშირის წევრმა ყველა სახელმწიფომ.

ბოლო პერიოდში, მსგავს ხელშეკრულებები მიეკუთვნება ევროკავშირის ორი პოლიტიკას: სტაბილიზაციისა და ასოცირების პროცესს და ევროპის სამეზობლო პოლიტიკას. დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები (ოფიციალური კანდიდატები — მაკედონია, ჩერნოგორია და სერბეთი, აპლიკანტი — ალბანეთი და პოტენციური კანდიდატები — ბოსნია და ჰერცეგოვინა და კოსოვო) ჩართულია სტაბილიზაციისა და ასოცირების პროცესში და ევროკავშირმა მათთან ხელი მოაწერა სტაბილიზაციისა და ასოცირების ხელშეკრულებას.

ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელმწიფოები (ალჟირი, მაროკო, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, პალესტინის ეროვნული ადმინისტრაცია, სირია, ტუნისი) და ევროპის აღმოსავლეთი სამეზობლო (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ბელარუსი, მოლდოვა და უკრაინა) კი ჩართულია ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში. ხმელთაშუაზღვიურ შვიდ სახელმწიფოს გაფორმებული აქვს „ასოცირებაზე დაფუძნებული ევრო-ხმელთაშუაზღვიური ხელშეკრულება“. ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის რამდენიმე სახელმწიფოსთან. 2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში, ევროკავშირმა ასოცირების შეთანხმებას ხელი მოაწერა საქართველოსთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან.

გარდა ამ ორი პოლიტიკისა, ასოცირების შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასთან ერთად ხელმოწერილია ასევე სხვა სახელმწიფოებთან და სავაჭრო ბლოკებთან.



- ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები
- ევროპის ეკონომიკური ზონა
- სტაბილიზაციისა და ასოცირების ხელშეკრულება
- სტაბილიზაციისა და ასოცირების ხელშეკრულების მიმდინარე რატიფიკაცია ან მოლაპარაკებები
- ასოცირებაზე დაფუძნებული ევრო-ხმელთაშუა ზღვიური ხელშეკრულება
- ასოცირებაზე დაფუძნებული ევრო-ხმელთაშუა ზღვიური დროებითი ხელშეკრულება
- თანამშრომლობის ხელშეკრულება, ასოცირების დაწყების ევრო-ხმელთაშუაზღვიური ხელშეკრულება
- ასოცირებაზე დაფუძნებული ხელშეკრულება
- პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირების, მოლაპარაკებების, ან ხელმოწერის დაწყების პროცესში
- პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება
- პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიცირების პროცესი
- ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სხვა სახელმწიფოები

2014 წლის ნოემბერში ევროკომისიამ გამოაქვეყნა ევროპის საინვესტიციო გეგმა[1], რომელიც ეფუძნება 3 ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას:

- 2015-2017 წლებში 315 მილიარდი ევროს მობილიზება, სახელმწიფო რესურსების ზეგავლენის მაქსიმიზაცია და კერძო ინვესტიციებისათვის გზის გახსნა;
- მიზანმიმართული ინიციატივები იმაში დასარწმუნებლად, რომ აღნიშნული დამატებითი ინვესტიციები აკმაყოფილებს რეალური ეკონომიკის საჭიროებებს;
- ზომები უფრო მეტი მარეგულირებელი პროგნოზირებადობის უზრუნველსაყოფად და საინვესტიციო ბარიერების აღმოსაფხვრელად, რაც ევროპას უფრო მიმზიდველს გახდის და გეგმის ზეგავლენის მულტიპლიკაციას მოახდენს.

პირველი 2 პრიორიტეტის შესრულებაში ევროკომისია ითანამშრომლებს ევროპის საინვესტიციო ბანკთან, ხოლო მესამე მიმართულების წინადადებებს წარმოადგენს სამუშაო პროგრამაში.

საინვესტიციო გეგმას აქვს 3 ძირითადი მიზანი:

- შეცვალოს დაღმავალი საინვესტიციო ტენდენცია, დაეხმაროს სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკურ გაჯანსაღებას სახელმწიფო ფინანსებზე „ჩამოკიდების“ ან ახალი ვალების აღების გარეშე;
- გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები ევროკავშირის ეკონომიკის გრძელვადიანი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად;
- გააძლიეროს ადამიანური კაპიტალის ევროპული განზომილება, პროდუქტიული უნარები, ცოდნა და ფიზიკური ინფრასტრუქტურა

1 ევროპის საინვესტიციო გეგმა - ინგლისურ ენაზე http://ec.europa.eu/priorities/jobs-growth-investment/plan/index_en.htm

315 მილიარდი ევროს ოდენობის დამატებითი ინვესტიციის მობილიზება

ევროკომისიისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის პარტნიორობით დაარსდება სტრატეგიული ინვესტიციების ევროპული ფონდი, რომელიც სტრუქტურულად ევროპის საინვესტიციო ბანკის შემადგენლობაში შევა. მას ექნება მმართველობის საკუთარი სტრუქტურა და მენეჯმენტი განხორციელდება შეთანხმებული საინვესტიციო სახელმძღვანელოების შესაბამისად. ფონდის მთავარი მიზანი იქნება გრძელვადიანი ინვესტიციების მხარდაჭერა და მცირე და საშუალო საწარმოებისათვის დაფინანსების მზარდი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ფონდი დააფინანსებს მაღალი საზოგადოებრივი და ეკონომიკური ღირებულების მქონე პროექტებს, ასევე შეავსებს და მხარს დაუჭერს მიმდინარე პროექტებს, რომლებიც ფინანსდება ევროპის საინვესტიციო ბანკის ან ევროკავშირის პროგრამების მიერ.

ფონდის დაარსების და მხარდაჭერის მიზნით ევროკავშირის ბიუჯეტის ქვეშ შეიქმნება 16 მილიარდი ევროს ოდენობის გარანტია, რომლისთვისაც ევროპის საინვესტიციო ბანკი გაიღებს 5 მილიარდ ევროს. წევრ ქვეყნებს ასევე ექნებათ ფონდში კაპიტალის ინვესტირების საშუალება. კონკრეტული პროექტები მათ სიცოცხლისუნარიანობაზე დაყრდნობით დამტკიცდება დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტის მიერ.

უზრუნველყოფილი იქნება, რომ სახელმწიფო მხარდაჭერა არ გამორიცხავს ან განდევნის კერძო ინვესტიციებს. ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი უზრუნველყოფს პროფესიულ რჩევებს, გამოცდილებას და მხარდაჭერას, ასევე დახმარებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა პროდუქტების განვითარება, მომზადების პროცესი და სტრუქტურირება, ტექნიკური დახმარება, დაფინანსების უნარები, ხაზინის მენეჯმენტი, აქტივების და ვალდებულებების მენეჯმენტი, პორტფელის მენეჯმენტი, აღრიცხვა და ანგარიშგება.

სტრატეგიული ინვესტიციების ევროპული ფონდი მხარს დაუჭერს ევროპული მნიშვნელობის სტრატეგიულ ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, განსაკუთრებით ფართოხაზოვან და ენერგეტიკულ ქსელებში, ასევე ინდუსტრიული ცენტრების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, განათლებაში, კვლევებში და ინოვაციებში, განახლებად ენერგიაში და ენერგოეფექტურობაში. ზემოთჩამოთვლილ სფეროებში

ფონდის აქტივობები შეავსებს ევროპის საინვესტიციო ბანკის ტრადიციულ საქმიანობას და ევროკავშირის მიმდინარე პროგრამებს, როგორებიცაა ევროპის დაკავშირების პროგრამა (Connecting Europe Facility) ინფრასტრუქტურული ინვესტიციებისათვის და „Horizon 2020“ ინოვაციების, კვლევისა და განვითარებისათვის. ფონდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინდივიდუალური პროექტების, არამედ ევროპის გრძელვადიანი კერძო საინვესტიციო ფონდების დაფინანსება.

ევროპის მასშტაბით ფონდი ასევე მხარს დაუჭერს სარისკო დაფინანსებას მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და საოპერაციო განხორციელებისათვის დაეყრდნობა ევროპის საინვესტიციო ფონდს, რაც დაეხმარება კაპიტალის ნაკლებობის პრობლემის მოგვარებას პირდაპირი სახსრების უფრო მეტი თანხით. ეს არის ეფექტური გზა სამუშაო ადგილების შექმნის (ახალგაზრდა ადამიანების დასაქმების ჩათვლით) და ზრდის სტიმულირებისათვის.

ევროპის სტრატეგიული ინვესტიციების ფონდის მიერ მობილიზებული 315 მილიარდ ევროსთან ერთად, ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდების ზეგავლენა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს. ფონდების ზეგავლენის გაზრდის ეფექტურ გზას წარმოადგენს ტრადიციული გრანტების მაგივრად ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება სესხების, ფასიანი ქაღალდების და გარანტიების ფორმით. აღნიშნულ ინსტრუმენტებს გააჩნიათ დიდი პოტენციალი და შედეგიანობის დადასტურებული უნარი. წევრმა ქვეყნებმა უნდა აიღონ ვალდებულება მნიშვნელოვნად გაზარდონ ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ისეთ საკვანძო საინვესტიციო სფეროებში, როგორებიცაა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, ენერგოეფექტურობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ტრანსპორტი და კვლევებისა და განვითარების მხარდაჭერა.

საინვესტიციო ფინანსების რეალურ ეკონომიკამდე მიღწევა

აღნიშნული მიმართულების ძირითადი მიზანია ევროპის მასშტაბით საინვესტიციო პროექტების იდენტიფიკაციისა და მომზადების პროცესში სრულიად ახალი მიდგომის შემუშავება კერძო ინვესტორებისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ საინვესტიციო პროექტებისადმი მიდგომის და ინფორმაციის წვდომის გზის გაუმჯობესებით.

შეიქმნება ევროპული მნიშვნელობის დინამიური საინვესტიციო პროექტების ბაზა, რომელიც დაეფუძნება მარტივ და აღიარებულ ეკონომიკურ კრიტერიუმებს. აღნიშნული საშუალებას მიცემს სახელმწიფო და კერძო ინვესტორებს შეაფასონ რელევანტური და გამჭირვალე ინფორმაცია. შეფასებული და შეუფასებელი პროექტების ჩამონათვალი ხელმისაწვდომი იქნება ვებ-გვერდზე და თავის მხრივ შესაძლოა დაუკავშირდეს ანალოგიურ ჩამონათვალს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე.

შეიქმნება საინვესტიციო რჩევების ჰაბი, რომელიც თავს მოუყრის საექსპერტო წყაროებს და ყველა დონეზე გააძლიერებს ტექნიკურ დახმარებას, რაც გულისხმობს პროექტის სტრუქტურირების პროცესში მხარდაჭერას, ეროვნულ და ევროპულ დონეზე ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებას და სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობას. საინვესტიციო რჩევების ჰაბის მომხმარებლები იქნებიან პროექტების მარკეტოლოგები, ინვესტორები და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები.

ეროვნული და რეგიონული ხელისუფლების მხარდაჭერით, კომისია და ევროპის საინვესტიციო ბანკი შეხებაში იქნება ინვესტორებთან, პროექტების მარკეტოლოგებთან და ინსტიტუციურ დაინტერესებულ პირებთან საკვანძო საინვესტიციო პროექტების ხელშეწყობის და შესაფერისი პროექტებისათვის დაფინანსების შესაბამის წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ევროპის საინვესტიციო ბანკთან ერთად ეროვნულ, ტრანსნაციონალურ და რეგიონულ დონეზე ჩატარდება სამუშაო შეხვედრები „ინვესტირება ევროპაში“, რომლებზეც განხილული იქნება სპეციფიური გამოწვევები. ღონისძიებები ფოკუსირებული იქნება პროექტების სახელმწიფო და კერძო მარკეტოლოგების, ასევე კერძო ინვესტორების მოზიდვაზე, ევროკავშირის ფინანსურ ინსტრუმენტებზე გათვითცნობიერების და ეროვნულ და ევროკავშირის სქემებს შორის სინერგიების გაზრდაზე.

ბიზნესგარემოს გაუმჯობესება

მესამე მთავარი მიმართულება გულისხმობს უფრო მარტივ, უკეთეს და პროგნოზირებად რეგულაციებს ყველა დონეზე, რაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების და ევროკავშირის ინსტიტუტების ერთობლივი პასუხისმგებლობაა. ეს ნიშნავს არა დერეგულაციას, არამედ გონივრულ რეგულაციებს, რომლებიც თანაბარ სარგებელს მოუტანს მოქა-

ლაქეებს და საწარმოებს. აღნიშნული მოიცავს არასაჭირო მარეგულირებელი ტვირთის შემცირებას და მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ბიზნესის წარმოების პირობების გაუმჯობესებას, აუცილებელი რეგულაციის სიმარტივის და მიზნის შესაბამისობის უზრუნველყოფას. ეს ასევე ნიშნავს ეროვნული ხარჯების, საგადასახადო სისტემის ეფექტურობის და სახელმწიფო ადმინისტრირების ხარისხის გაუმჯობესებას ყველა დონეზე. წევრი ქვეყნები ასევე პასუხისმგებელი არიან ევროკავშირის კანონმდებლობის დროულ და სრულ გამოყენებაზე. ევროკავშირის კანონმდებლობის ეროვნულ კანონებში ასახვა საჭიროებს დანერგვის ზომების სიმარტივეს, რამაც თავიდან უნდა აიცილოს დამატებითი ტვირთის შექმნა.

აღნიშნული მიმართულება ასევე მოიცავს გრძელვადიანი დაფინანსებისათვის ახალი წყაროების შექმნას, კაპიტალური ბაზრების კავშირის შექმნისკენ გადადგმული ნაბიჯების ჩათვლით, რომელიც დროთა განმავლობაში შეამცირებს ფრაგმენტაციას ევროკავშირის ფინანსურ ბაზრებზე. ამ მიმართულებით გეგმა ითვალისწინებს რეგულაციის დამტკიცებას ევროკავშირის გრძელვადიანი საინვესტიციო ფონდებისათვის, ფასიანი ქაღალდების (securitization) მაღალხარისხიანი ბაზრის აღდგენას, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სტანდარტიზებული საკრედიტო ინფორმაციის არარსებობის პრობლემის მოგვარების გზების ძიებას, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ადმინისტრაციული წნეხის შემსუბუქებას, რაც გაუადვილებს მათ ვალდებულებების შესრულებას.

ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს საერთო ბაზარზე საინვესტიციო ბარიერების აღმოფხვრა. აღნიშნული გულისხმობს რეფორმების განხორციელებას ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორებში, ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში და სისტემებში საინვესტიციო ბარიერების აღმოფხვრის სტრუქტურულ რეფორმებს, საერთო ციფრული ბაზრის განვითარებას (საკანონმდებლო ნაბიჯები მონაცემთა დაცვის, ტელეკომის რეგულაციების მიმართულებით, „ონლაინ“ და ციფრული შესყიდვებისათვის საავტორო უფლების და მომხმარებელთა წესების მოდერნიზება და გამარტივება), პირობების გაუმჯობესებას მომსახურებისა და პროდუქციის ბაზრებზე, კვლევების და ინოვაციების მხარდაჭერას და აქტიურ ურთიერთობებს საერთაშორისო პარტნიორებთან ღია საინვესტიციო ნაკადების უზრუნველსაყოფად.

ევროპა 2020 – გონივრული, მდგრადი და ინკლუზიური ზრდის სტრატეგია

„ევროპა 2020“-ის მიზანია ევროკავშირის გადაქცევა გონიერ, მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკად, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმების, პროდუქტიულობის და სოციალური ერთობის (Social Cohesion) მაღალ დონეს[2].

სტრატეგიაში საუბარია სამ ძირითად პრიორიტეტზე:

- გონივრული ზრდა (Smart Growth), რომელიც გულისხმობს ცოდნაზე და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას;მდგრადი ზრდა, რომელიც გულისხმობს რესურსების უფრო ეფექტურად მოხმარებას, ასევე მწვანე და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის წახალისებას;
- ინკლუზიური ზრდა, რაც ითვალისწინებს მაღალი დასაქმების მქონე ეკონომიკის სტიმულირებას, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ და ტერიტორიულ ერთობას.

სტრატეგია 2020 წლისათვის შემდეგი ძირითადი მიზნების მიღწევას ითვალისწინებს:

- 20-დან 64 წლამდე ასაკის მოსახლეობის დასაქმების დონის ზრდა 69%-დან მინიმუმ 75%-მდე;
- მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ის კვლევასა და განვითარებაში (R&D) ინვესტირების კრიტერიუმის უცვლელად დატოვება, კერძო სექტორისათვის კვლევისა და განვითარების პირობების გაუმჯობესება, კვლევისა და განვითარების, ასევე ინოვაციების ინტენსივობის ამსახველი ინდიკატორის შემუშავება;
- სათბურის გაზების (greenhouse gas) ემისიის 20%-ით ან შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში 30%-ით შემცირება (1990 წლის დონესთან შედარებით); ენერგიის საბოლოო მოხმარებაში განახლებადი ენერგიის წყაროების წილის 20%-მდე გაზრდა და ენერგო ეფექტურობის 20%-ით ზრდა;

2 ევროპა 2020“ სრული ვერსია ინგლისურ ენაზე http://ec.europa.eu/europe2020/index_en.htm

- სკოლის ადრე მიტოვების მაჩვენებლის 15%-დან 10%-მდე შემცირება, ამავე დროს 2020 წლამდე 30-დან 34 წლამდე ასაკის ადამიანებს შორის უმაღლესი განათლების მქონეთა წილის 31%-დან არანაკლებ 40%-მდე გაზრდა;
- სიღარიბის ზღვარზე მცხოვრებ ევროპელთა რაოდენობის 25%-ით შემცირება, რაც დაახლოებით ოც მილიონ ადამიანს მისცემს სიღარიბიდან თავის დაღწევის საშუალებას.

გონივრული ზრდის - ცოდნაზე და ინოვაციაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებისათვის მოქმედებს სამი ფლაგმანი ინიციატივა:

„ინოვაციების კავშირი“, რომელიც მიზნად ისახავს კვლევისა და განვითარების, ასევე საინოვაციო პოლიტიკის მიმართულების შეცვლას ევროკავშირის საზოგადოების ისეთი პრობლემების გადასაჭრელად, როგორებიცაა კლიმატის ცვლილებები, ენერგიისა და რესურსების გამოყენების ეფექტურობა, ჯანმრთელობის დაცვა და დემოგრაფიული ცვლილებები. აღნიშნული ფლაგმანი ინიციატივის ფარგლებში ევროკომისია მუშაობს შემდეგი მიმართულებით: სტრატეგიული კვლევის დღის წესრიგის განვითარება; ბიზნესისათვის საინოვაციო საქმიანობის წარმოების გარემოს გაუმჯობესება; ტექნოლოგიების განვითარებისა და ეფექტურად გამოყენებისათვის ევროკავშირსა და ეროვნულ დონეებს შორის „ევროპის საინოვაციო პარტნიორობის“ ამოქმედება; ევროკავშირის ინოვაციების მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება და შემდგომი განვითარება; ცოდნაზე დაფუძნებული პარტნიორობის წახალისება და განათლების, ბიზნესის, კვლევისა და ინოვაციების სფეროებს შორის კავშირების გაძლიერება. ეროვნულ დონეზე წევრი ქვეყნები მუშაობენ ეროვნული (და რეგიონული) კვლევისა და განვითარების, ასევე საინოვაციო სისტემების რეფორმირების, მეცნიერების, მათემატიკისა და საინჟინრო სპეციალობების კურსდამთავრებულების საკმარისი რაოდენობის მიწოდების უზრუნველყოფის, სასკოლო საგნების კრეატიულობის, ცოდნაზე გაწეული დანახარჯების პრიორიტეტად გადაქცევის (მათ შორის საგადასახადო შეღავათებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით) მიმართულებით.

ფლაგმანი ინიციატივის „ახალგაზრდობა მოძრაობაში“ მიზანია ევროპის უმაღლესი განათლების ინსტიტუტების საქმიანობისა და საერთაშორისო მიმზიდველობის წახალისება, ევროკავშირის განათლების სისტემის ზოგადი დონის და ტრეინინგის ხარისხის ამაღლება. ევროკომისია მუშაობს ევროკავშირის მობილურობის, საუნივერსიტეტო და კვლევითი პროგრამების (Erasmus, Erasmus Mundus, Tempus,

Marie Curie) ინტეგრირებაზე, გაძლიერებასა და მათ ეროვნულ პროგრამებთან და რესურსებთან დაკავშირებაზე, უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგის გაფართოებაზე, ახალგაზრდა პროფესიონალების მობილურობის პროგრამების საშუალებით მეწარმეობის სტიმულირების გზებზე, არაფორმალური სწავლების აღიარების წახალისებაზე, ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის შემცირებაზე. ეროვნულ დონეზე წევრი სახელმწიფოები მუშაობენ განათლების და ტრეინინგის სისტემებში ეფექტური ინვესტირების უზრუნველყოფაზე, განათლების შედეგების გაუმჯობესებაზე, განათლების სისტემის გახსნილობის და რელევანტურობის წახალისებაზე და ახალგაზრდების სამუშაო ბაზარზე მარტივად ინტეგრირებაზე.

ფლაგმანი ინიციატივის „ციფრული დღის წესრიგი ევროპისათვის“ მიზანია მდგრადი ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მიწოდება ერთიანი ციფრული ბაზრის საშუალებით, რაც ეფუძნება ზესწრაფ ინტერნეტსა და თავსებად პროგრამებს (interoperable applications), ასევე 2020 წლისათვის ინტერნეტის უფრო მაღალი სიჩქარის საყოველთაო ხელმისაწვდომობას (30 Mbps ან მეტი). ევროკომისია აქტიურად მუშაობს სტაბილური საკანონმდებლო ჩარჩოს უზრუნველყოფაზე ღია, კონკურენტუნარიანი მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ინფრასტრუქტურაში და მასთან დაკავშირებულ მომსახურებაში ინვესტიციების მოსაზიდად, სპექტრის (დიაპაზონის) ეფექტური პოლიტიკის განვითარებაზე, აღნიშნული დღის წესრიგის შესრულებისათვის ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების გამოყენების წახალისებაზე, ონლაინ შინაარსის (online content) და მომსახურებისათვის ნამდვილი ერთიანი ბაზრის შექმნაზე, კვლევის და ინოვაციების ფონდების რეფორმაზე და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მხარდაჭერის გაზრდაზე, ყველა ევროპელი მოქალაქისათვის ინტერნეტის ხელმისაწვდომობის წახალისებაზე. ეროვნულ დონეზე წევრი ქვეყნები მუშაობენ მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის საოპერაციო სტრატეგიების შემუშავებაზე და სახელმწიფო დაფინანსების (სტრუქტურული ფონდების ჩათვლით) იმ სფეროებზე მიმართვაზე, რომელთა დაფარვაც სრულად არ ხდება კერძო ინვესტიციებით, სახელმწიფო სამუშაოების კოორდინაციისათვის საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნაზე და თანამედროვე „ონლაინ“ სერვისების გაშლის და გამოყენების წახალისებაზე.

მდგრადი ზრდის - რესურსების უფრო ეფექტურად ამთვისებელი, მწვანე და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის წახალისებისათვის მოქმედებს 2 ფლაგმანი ინიციატივა:

„რესურსების ეფექტურად ამთვისებელი ევროპის“ მიზანია რესურსების ეფექტურად ამთვისებელ და დაბალი ნახშირბადის შემცველ ეკონომიკაზე გადასვლა. აღნიშნული ითვალისწინებს ეკონომიკური ზრდის პროცესში რესურსების და ენერგიის ნაკლებ გამოყენებას, CO2-ის გამონაბოლქვის შემცირებას, კონკურენტუნარიანობის და უფრო მეტი ენერგოუსაფრთხოების წახალისებას. ევროკავშირის დონეზე ევროკომისია მუშაობს ფინანსური ინსტრუმენტების მობილიზებაზე, ბაზარზე დაფუძნებული ინსტრუმენტების გამოყენების ჩარჩოს გაუმჯობესებაზე, ტრანსპორტის სექტორის მოდერნიზების და „დეკარბონიზაციის“ წინადადებების წარდგენაზე, მაღალი ევროპული დამატებული ღირებულების მქონე სტრატეგიული პროექტების განხორციელების დაჩქარებაზე, შიდა ენერგეტიკული ბაზრის შექმნის დასრულებაზე და სტრატეგიული ენერგეტიკული ტექნოლოგიების გეგმის განხორციელებაზე, ევროპის ქსელების განახლების ინიციატივის წარდგენაზე, ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის კორექტირებული ვერსიის დამტკიცებაზე და განხორციელებაზე და რესურსების ეფექტურობის მყარი პროგრამის მხარდაჭერაზე, 2050 წლისათვის რესურსების ეფექტურად ამთვისებელი, ნახშირბადის დაბალი შემცველობის და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრად (climate resilient) ეკონომიკაზე გადასასვლელად საჭირო სტრუქტურული და ტექნოლოგიური ცვლილებების ხედვის შემუშავებაზე.

აღნიშნული ფლაგმანი ინიციატივის შესასრულებლად, წევრი ქვეყნები ეროვნულ დონეზე მუშაობენ გარემოსათვის მავნებელი სუბსიდიების გაუქმებაზე, ბაზარზე დაფუძნებული ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებაზე, როგორებიცაა ფისკალური შეღავათები და შესყიდვები წარმოების და მოხმარების მეთოდების ადაპტირებისათვის, გონივრული, განახლებული და სრულად ურთიერთდაკავშირებული ტრანსპორტის და ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ევროკავშირის სატრანსპორტო სისტემის ეფექტურობაში მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი ინფრასტრუქტურული პროექტების კოორდინირებულად განხორციელების უზრუნველყოფაზე, ტრანსპორტის ურბანულ განზომილებაზე ფოკუსირებაზე, ენერგიის და რესურსების გამოყენების შესამცირებლად რეგულაციების, საქმიანობის სტანდარტების და ბაზარზე დაფუძნებული ინსტრუმენტების (გადასახადებით დაბეგვრა, სუბსიდიები და შესყიდვები) გამოყენებაზე, ენერგოდამზოგი ინსტრუმენტების გამოყენების სტიმულირებაზე.

ფლაგმანი ინიცატივა **„ინდუსტრიული პოლიტიკა გლობალიზაციის ეპოქისათვის“** გულისხმობს ჩარჩოს შემუშავებას თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკისათვის, რომელიც მხარს დაუჭერს მეწარმეობას, დაეხმარება მეწარმეებს გაუმკლავდნენ

არსებულ გამოწვევებს, წაახალისებს ევროპის პირველადი, მრეწველობის და მომსახურების ინდუსტრიების კონკურენტუნარიანობას და დაეხმარება მათ გამოიყენონ გლობალიზაციის და მწვანე ეკონომიკის მიერ შეთავაზებული საშუალებები. ევროკავშირის დონეზე ევროკომისია მუშაობს ისეთი ინდუსტრიული პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, რომელიც შექმნის საუკეთესო გარემოს ძლიერი, კონკურენტუნარიანი და დივერსიფიცირებული ინდუსტრიული ბაზის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, ინდუსტრიული პოლიტიკის ჰორიზონტალური მიდგომის განვითარებაზე, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე, პრობლემური სექტორების მომავალზე ორიენტირებული საქმიანობის მიმართულებით რესტრუქტურირებაზე, ბუნებრივი რესურსების გამოყენების შემამცირებელი ტექნოლოგიების და წარმოების მეთოდების წახალისებაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციაზე, კერძო სექტორისათვის ერთიან და საერთაშორისო ბაზარზე ეფექტური წვდომის უზრუნველმყოფი სატრანსპორტო და ლოგისტიკური ქსელების განვითარებაზე, ეფექტური კოსმოსური პოლიტიკის განვითარებაზე, ევროპის ტურიზმის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებაზე, მრეწველობის და მომსახურების სექტორების რესურსების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით რეგულაციების გადახედვაზე, ევროკავშირის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მხარდაჭერის სტრატეგიის განახლებაზე.

ეროვნულ დონეზე წევრი სახელმწიფოები მუშაობენ ბიზნეს გარემოს სრულყოფაზე (განსაკუთრებით ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოებისათვის), ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პირობების გაუმჯობესებაზე, კომპანიებზე ადმინისტრაციული წნეხის შემცირებაზე და ბიზნესთან დაკავშირებული კანონმდებლობის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ძლიერი ინდუსტრიული და ცოდნის ბაზის შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენის და ერთობლივი ანალიზის განსახორციელებლად წევრი ქვეყნები თანამშრომლობენ სხვადასხვა სექტორების დაინტერესებულ პირებთან.

ინკლუზიური ზრდის მიღწევა მოითხოვს დასაქმებასთან დაკავშირებული განათლების და ტრეინინგის პოლიტიკის, ასევე სოციალური დაცვის სისტემების მოდერნიზებასა და განახლებას სამუშაო ძალის მონაწილეობის გაზრდით და სტრუქტურული უმუშევრობის შემცირებით, ასევე ბიზნეს საზოგადოებაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდას. აღნიშნული პრიორიტეტის მიზნების შესასრულებლად მოქმედებს 2 ფლაგმანი ინიციატივა:

„ახალი უნარების და სამუშაო ადგილების დღის წესრიგის“ მიზანია სამუშაო ძალის ბაზრების მოდერნიზაციისათვის პირობების შექმნა, რათა მოხდეს დასაქმების ზრდა და სოციალური მოდელების მდგრადობის მიღწევა. ევროკავშირის დონეზე ევროკომისია მუშაობს სოციალური დაცვის დღის წესრიგის მეორე ფაზის განსაზღვრასა და განხორციელებაზე, საკანონმდებლო ჩარჩოს ადაპტაციაზე, ევროკავშირის შიგნით სამუშაო ძალის მობილურობის და სამუშაო ძალის მიწოდება/მოთხოვნის უკეთესი შესაბამისობის მხარდაჭერაზე და წახალისებაზე, სამუშაო ძალის მიგრაციის მომავალზე ორიენტირებული და ყოვლისმომცველი პოლიტიკის მხარდაჭერაზე, სოციალური პარტნიორების უნარების ამაღლებაზე და სამუშაო ძალის ბაზრის ინსტიტუტების გაძლიერებული თანამშრომლობის მხარდაჭერაზე, განათლებისა და ტრეინინგის სფეროში სტრატეგიული თანამშრომლობის ჩარჩოსათვის ძლიერი სტიმულის მიცემაზე.

ეროვნულ დონეზე წევრი სახელმწიფოები მუშაობენ სოციალური დაცვის ეროვნული მიმართულებების განხორციელებაზე, საგადასახადო და სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ეფექტურობის მიმოხილვაზე და რეგულარულ მონიტორინგზე, სამუშაოსადასიცოცხლისბალანსისახალიფორმებისმხარდაჭერაზე და სქესთა თანასწორობის გაზრდაზე, სოციალური დიალოგის შედეგების ეფექტური განხორციელების მხარდაჭერაზე და მონიტორინგზე, ევროპის კვალიფიკაციის ჩარჩოს განხორციელების სტიმულირებაზე, განათლების/ტრეინინგის და სამუშაო ადგილებს შორის პარტნიორობის განვითარებაზე.

ფლაგმანი ინიციატივის **„ევროპული პლატფორმა სიღარიბის წინააღმდეგ“** მიზანია ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული ერთიანობა, სიღარიბის და სოციალური გარიყულობის დამარცხება. ევროკავშირის დონეზე ევროკომისია მუშაობს სოციალური გარიყულობის და სოციალური დაცვის კოორდინაციის ღია მეთოდის თანამშრომლობის, ექსპერტიზის და საუკეთესო გამოცდილების გაცვლის პლატფორმად ტრანსფორმაციაზე, ყველაზე უფრო დაუცველებისათვის სოციალური ინოვაციის პროგრამების შემუშავების და განხორციელების წახალისებაზე, სოციალური დაცვის და საპენსიო სისტემების ადექვატურობის და მდგრადობის შეფასებაზე.

ეროვნულ დონეზე წევრი ქვეყნები მუშაობენ განაწილებული კოლექტიური და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მხარდაჭერაზე სიღარიბის და სოციალური გარიყულობის დასამარცხებლად, განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების სპეციფიკური პირობების გადასაჭრელად ზომების განსაზღვრაზე და მათ განხორციელებაზე, ადექვატური შემოსავლის მხარდასაჭერად და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სოციალური უზრუნველყოფის და საპენსიო სისტემების სრულ გამოყენებაზე.

მნიშვნელოვანი თარიღები ევროპული ინტეგრაციის ისტორიაში

1950 წელი

9 მაისი - ჟან მონეს იდეებით შთაგონებულ სიტყვაში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანმა წამოაყენა წინადადება, რომ საფრანგეთმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და ევროპის ნებისმიერმა ქვეყანამ, რომელსაც სურს მათთან შემოერთება, გააერთიანონ თავიანთი ქვანახშირისა და ფოლადის რესურსები ახალ ორგანიზაციაში.

1951 წელი

18 აპრილი - პარიზში ექვსმა სახელმწიფომ – ბელგიამ, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, იტალიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა – ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება. ხელშეკრულება 1952 წლის 23 ივლისს შევიდა ძალაში 50 წლიანი პერიოდით.

1955 წელი

1-2 ივნისი - ექვსი დამფუძნებელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვდნენ ერთმანეთს მესინაში და გადაწყვიტეს ევროპული ინტეგრაციის გავრცელება ეკონომიკის ყველა სფეროზე.

1957 წელი

25 მარტი - რომში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე დაარსდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობა („ევროატომი“). ეს ხელშეკრულებები 1958 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში.

1960 წელი — **4 იანვარი** - გაერთიანებული სამეფოს ინიციატივით ხელმოწერილი იქნა სტოკჰოლმის კონვენცია, რომლის საფუძველზე დაარსდა ევროპაში თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია. ამ ასოციაციაში შევიდნენ ის ქვეყნებიც, რომლებიც არ წარმოადგენენ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრებს.

1963 წელი — **20 ივლისი** - იაუნდეში ხელმოწერილი იქნა ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროგაერთიანებასა და აფრიკის 18 სახელმწიფოს შორის.

1965 წელი — **8 აპრილი** - ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოხდა სამი თანამეგობრობის (ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ატომური ენერგიის თანამეგობრობის) აღმასრულებელ ორგანოთა შერწყმა და ერთი საბჭოსა და ერთი კომისიის ჩამოყალიბება. ეს ხელშეკრულება ძალაში 1967 წლის 1 ივლისს შევიდა.

1966 წელი — **29 იანვარი** - მიღწეულია „ლუქსემბურგის კომპრომისი“: პოლიტიკური კრიზისის შემდეგ საფრანგეთმა კვლავ დაიკავა თავისი ადგილი საბჭოში, სანაცვლოდ კი შენარჩუნებული იქნა გადაწყვეტილების ერთხმად მიღების პროცედურა, როდესაც საფრთხე ემუქრება „სასიცოცხლო მნიშვნელობის ეროვნულ ინტერესებს“.

1968 წელი — **1 ივლისი** - განრიგით გათვალისწინებულზე 18 თვით ადრე გაუქმდა შემორჩენილი საბაჟო გადასახადები წევრ სახელმწიფოებს შორის სამრეწველო საქონლით ვაჭრობაში და შემოღებული იქნა საერთო ტარიფი გარე საზღვრებზე.

1969 წელი — **1 და 2 დეკემბერი** - ჰააგის სამიტზე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების პოლიტიკურმა ლიდერებმა გადაწყვიტეს ევროპული ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება და მისი პირველი გაფართოება.

1970 წელი — **22 აპრილი** - ლუქსემბურგში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმად ევროპულ გაერთიანებებს თანდათანობით უნდა შემოეღოთ „საკუთარი რესურსების“ სისტემა. გარდა ამისა, ხელშეკრულებამ გააფართოვა ევროპარლამენტის საზედამხედველო უფლებამოსილება.

1973 წელი

1 იანვარი - დანია, ირლანდია და გაერთიანებული სამეფო შეუერთდა ევროგაერთიანებას, რომლებშიც ცხრა წევრი სახელმწიფო შედიოდა. რეფერენდუმის შემდეგ ნორვეგიამ უარი თქვა გაწევრიანებაზე.

1974 წელი

10 დეკემბერი - პარიზის სამიტზე ცხრა წევრი სახელმწიფოს პოლიტიკურმა ლიდერებმა გადაწყვიტეს, ევროპული საბჭოს სახით შეიკრიბონ წელიწადში სამჯერ; გარდა ამისა, მათ დაადგინეს ევროპის პარლამენტის პირდაპირი არჩევნების ჩატარება საყოველთაო კენჭისყრის საშუალებით და შეთანხმდნენ ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის დაარსებაზე.

1975 წელი

28 თებერვალი - ლომეში ხელმოწერილი იქნა პირველი კონვენცია ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და აფრიკის, კარიბისზღვისპირეთისა და წყნარი ოკეანის აუზის 46 სახელმწიფოს შორის.

22 ივლისი - ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ევროპარლამენტს უფრო ფართოსაბიუჯეტო უფლებამოსილება მიენიჭა და დაარსდა აუდიტორთა სასამართლო.

1979 წელი

7-10 ივნისი - ჩატარდა 410 ადგილიანი ევროპარლამენტის პირველი პირდაპირი არჩევნები.

1981 წელი

1 იანვარი - ევროგაერთიანებას უერთდება საბერძნეთი და გაერთიანებაში ახლა უკვე ათი წევრი სახელმწიფო შედის.

1984 წელი

14 და 17 ივნისი - მეორედ ჩატარდა ევროპარლამენტის წევრთა პირდაპირი არჩევნები.

1985 წელი

7 იანვარი - ევროკომისიის პრეზიდენტი გახდა ჟაკ დელორი (1985-95). ამავე წლის 14 ივნისს ხელი მოეწერა შენგენის შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავდა ევროგაერთიანებათა წევრ სახელმწიფოებს შორის სასაზღვრო შემოწმებების გაუქმებას.

1986 წელი

1 იანვარი - ევროგაერთიანებას უერთდებიან ესპანეთი და პორტუგალია. წევრთა რაოდენობა 12 ხდება. ამავე წლის 17 და 28 თებერვალს ლუქსემბურგში და ჰაგაში ხელი მოეწერა ერთიან ევროპულ აქტს, რომელიც ძალაში შევიდა 1987 წლის 1 ივლისს.

1989 წელი

15 და 18 ივნისი - მესამედ ჩატარდა ევროპარლამენტის წევრთა პირდაპირი არჩევნები. ამავე წლის 9 ნოემბერს ინგრევა ბერლინის კედელი.

1990 წელი

3 ოქტომბერი - გაერთიანდა გერმანია.

1991 წელი

9-10 დეკემბერი - ევროპული საბჭოს მაასტრიხტის სხდომაზე მოწონებული იქნა ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკას, უფრო მჭიდრო თანამშრომლობას მართლმსაჯულებასა და შინაურ საქმეებში და ეკონომიკური და მონეტარული კავშირის, მათ შორის საერთო ფულადი ერთეულის, შექმნას.

1992 წელი

7 თებერვალი - მაასტრიხტში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ, რომელიც ძალაში 1993 წლის 1 ნოემბერს შევიდა.

1993 წელი

1 იანვარი - დაარსდა ერთიანი ბაზარი.

1994 წელი

9 და 12 ივნისი - მეოთხედ ჩატარდა ევროპარლამენტის წევრთა პირდაპირი არჩევნები.

1995 წელი

1 იანვარი - ევროკავშირს შეუერთდა ავსტრია, ფინეთი და შვეცია. წევრთა რაოდენობა 15 გახდა.რეფერენდუმის შემდეგ ნორვეგია კვლავ უარს ამბობს გაწევრიანებაზე.

23 იანვარი - მუშაობას იწყებს ახალი ევროკომისია, რომლის პრეზიდენტი ხდება ჟაკ სანტერი (1995-99).

27-28 ნოემბერი - ბარსელონაში ჩატარდა ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების კონფერენცია, რომელზეც სათავე დაედო ევროკავშირისა და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროზე განლაგებულ ქვეყნებს შორის პარტნიორობას.

1997 წელი

2 ოქტომბერი - ხელი მოეწერა ამსტერდამის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში 1999 წლის 1 მაისს შევიდა.

1998 წელი

30 მარტი - დაიწყო ახალი კანდიდატი ქვეყნების გაწევრიანების პროცესი, რომელშიც ჩაერთვნენ კვიპროსი, მალტა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყანა.

1999 წელი

1 იანვარი - ევროკავშირის 11-მა ქვეყანამ მიიღო ევრო, რომელმაც შეცვალა მათ ფულადი ერთეულები უნაღდო ანგარიშსწორებისათვის ფინანსურ ბაზრებზე. ევროპის ცენტრალურ ბანკს ეკისრება პასუხისმგებლობა მონეტარულ პოლიტიკაზე.

10-13 ივნისი - ჩატარდა ევროპარლამენტის წევრთა მეხუთე პირდაპირი არჩევნები.

15 სექტემბერი - მუშაობას იწყებს ახალი ევროკომისია, რომლის პრეზიდენტი ხდება რომანო პროდი (1999-2004).

15-16 ოქტომბერი - ევროპული საბჭოს ტამპერეში გამართულ სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ევროკავშირის თავისუფლების, უშიშროებისა და მართლმსაჯულების სივრცედ გადაქცევის შესახებ.

2000 წელი

23-24 მარტი - ევროპული საბჭოს ლისაბონში გამართულ სხდომაზე შემუშავდა ახალი სტრატეგია ევროკავშირში დასაქმების ხელშეწყობის, ეკონომიკის მოდერნიზებისა და სოციალური ერთობის განმტკიცების შესახებ ცოდნაზე დამყარებულ ევროპაში.

2000 წელი

7-8 დეკემბერი - ნიცაში ევროპულმა საბჭომ მიაღწია შეთანხმებას ახალი ხელშეკრულების ტექსტთან დაკავშირებით. ეს ხელშეკრულება ცვლის ევროკავშირის გადაწყვეტილებათა მიღების სისტემას საიმისოდ, რომ კავშირი მზად იყოს გაფართოებისათვის. ევროპარლამენტის, ევროპული საბჭოსა და ევროკომისიის პრეზიდენტებმა საზეიმოდ გამოაქვეყნეს ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია.

2001 წელი

1 იანვარი - საბერძნეთი გახდა მე-12 ქვეყანა, რომელმაც მიიღო ევრო.

2001 წელი

26 თებერვალი - ხელი მოეწერა ნიცის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში 2003 წლის 1 თებერვალს შევიდა.

14-15 დეკემბერი - გაიმართა ევროპული საბჭოს ლიკენის სხდომა: შეთანხმებული იქნა დეკლარაცია ევროკავშირის

მომავლის თაობაზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა ევროკავშირის მომავალ მნიშვნელოვან რეფორმირებას და კონვენტის ჩამოყალიბებას (რომლის თავმჯდომარე ვალერი ჟისკარ დესტენი გახდა) ევროპის კონსტიტუციის ტექსტის მოსამზადებლად.

2002 წელი

1 იანვარი - ევროს სივრცეში შემავალ 12 ქვეყანაში ბრუნვას იწყებენ ევროს მონეტები და ბანკნოტები.

2003 წელი

10 ივლისი - ევროპის მომავლის კონვენტი ასრულებს ევროპის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობას.

2004 წელი

1 მაისი - ევროკავშირს შეუერთდნენ ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა.

10 და 13 ივნისი - ჩატარდა ევროპარლამენტის წევრთა მეექვსე პირდაპირი არჩევნები.

29 ოქტომბერი - რომში 25 წევრი ქვეყნის სახელმწიფოს თუ მთავრობის მეთაურებმა ხელი მოაწერეს ევროპის კონსტიტუციას.

22 ნოემბერი - მუშაობას იწყებს ახალი ევროკომისია, რომლის პრეზიდენტი ხდება ხოსე მანუელ ბაროზო.

2005 წელი

29 მაისი და 1 ივნისი - საფრანგეთის ამომრჩევლებმა რეფერენდუმზე კონსტიტუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა, სამი დღის შემდეგ კი იგივე გააკეთეს ნიდერლანდების ამომრჩევლებმა.

3 ოქტომბერი - დაიწყო გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკება თურქეთსა და ხორვატიასთან.

2007 წელი

1 იანვარი - ევროკავშირს ბულგარეთი და რუმინეთი შეუერთდნენ. სლოვენია ხდება მე-13 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.

13 დეკემბერი - ხელი მოეწერა ლისაბონის ხელშეკრულებას.

2008 წელი

1 იანვარი - კვიპროსი და მალტა გახდნენ მე-14 და მე-15 ქვეყანა, რომლებშიც შემოღებულია ევრო.

2009 წელი

1 იანვარი - სლოვაკეთი გახდა მე-16 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.

2009 წელი

4-7 ივნისი - გაიმართა ევროპ არლამენტის წევრთა მეშვიდე პირდა-პირი არჩევნები.

2 ოქტომბერი - ირლანდიაში ჩატარებულ რეფერენდუმზე მოწონებულ იქნა ლისაბონის ხელშეკრულება, რომელიც 1 დეკემბერს შევიდა ძალაში. ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპუი გახდა.

2010 წელი

9 თებერვალი - ევროპარლამენტი თანხმობას გასცემს ახალი ევრო-კომისიის შემადგენლობაზე, რომლის პრეზიდენტი მეორე ვადით ხოსე მანუელ ბაროზო ხდება.

9 მაისი - ყალიბდება „ევროპის სტაბილურობის მექანიზმის“ წინამორბედი 750 მილიარდი ევროს თანხით. ეს არის ერთ-ერთი იმ მრავალ ნაბიჯთაგან, რომელთა მიზანი იყო ევროპისთვის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის დაძლევაში დახმარების გაწევა.

2011 წელი

1 იანვარი - ესტონეთი ხდება მე-17 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.

2012 წელი

2 მარტი - ევროკავშირის 25 წევრი ქვეყანა ხელს აწერს ხელშეკრულებას ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში სტაბილურობის, კოორდინაციისა და მმართველობის შესახებ. ეს ხელშეკ-რულება 2013 წლის 1 იანვარს შედის ძალაში.

2013 წელი

1 ივლისი - ევროკავშირის წევრი ხორვატია გახდა.

2014 წელი

1 იანვარი - ლატვია ხდება მე-18 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.

22-25 მაისი - გაიმართა ევროპარლამენტის წევრთა მერვე პირდაპირი არჩევნები.

2015 წელი

1 იანვარი - ლიტვა ხდება მე-19 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები

ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის ურთიერთობები ამ უკანასკნელის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ დაიწყო. 1990-იან წლებში ევროგაერთიანება ნაკლებ ყურადღებას უთმობდა სამხრეთ კავკასიას, რადგანაც ეს რეგიონი გეოგრაფიულად მისგან შორს მდებარეობდა და ევროკავშირიც არ იყო გლობალური მოთამაშე. 2004 წელს ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებამ და 2007 წელს მასში რუმინეთისა და ბულგარეთის გაერთიანებამ ევროკავშირი სამხრეთ კავკასიის რეგიონს დაუახლოვა. საქართველოსა და ევროკავშირს შორის კი საზღვაო საზღვარი გაჩნდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ხელისუფლება აქტიურად შეეცადა საერთაშორისო პარტნიორებთან კავშირების დამყარებას. ერთ-ერთი ასეთი პარტნიორი ევროგაერთიანება იყო, თუმცა ამ უკანასკნელის მხრიდან საქართველოს მიმართ დიდი ინტერესი არ ჩანდა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა:

პირველი: საქართველოს ევროგაერთიანების შიგნით არ ჰყავდა ბევრი ლობისტი ქვეყანა, მაგალითად, ისეთი, როგორიც გახლდათ ფინეთი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ჩრდილოეთ განზომილების შექმნის საქმეში, ან ესპანეთი, რომელმაც ხელი შეუწყო ე.წ. „ბარსელონას პროცესის“ შექნას, რომელიც ევროკავშირის ხმელთაშუაზღვის ქვეყნებთან ურთიერთობას განსაზღვრავდა.

მეორე: გეოგრაფიული დაშორების გათვალისწინებით საქართველოში მიმდინარე სისხლიანი კონფლიქტები ევროგაერთიანებისთვის პირდაპირ საფრთხეს არ წარმოადგენდა.

მესამე: ევროგაერთიანება არ იყო გლობალური მოთამაშე. ამასთან, ევროპას არ გააჩნდა საქართველოსთან პოლიტიკური ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება.

ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობის შემდგომი ეტაპი იყო პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება

1992 წელს ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო და მასთან აქტიური თანამშრომლობა დაიწყო.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიის პრეზიდენტმა და საქართველოს პრეზიდენტმა 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ხელი მოაწერეს საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მოიცავს მრავალ სფეროს, სადაც მხარეები იღებენ ვალდებულებას ერთობლივად იმუშაონ გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად. მართალია, შეთანხმება არ განსაზღვრავს კრიტერიუმებს თანამშრომლობის შუალედური ან საბოლოო მიზნებისთვის (მაგალითად, ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელ კრიტერიუმებს), მაგრამ იგი ითვალისწინებს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის უწყვეტ პროცესს. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მამოძრავებელი ძალაა ევროკავშირსა და საქართველოს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარების სურვილი, რომელიც დაფუძნებულია მათ შორის არსებულ ისტორიულ კავშირებზე და საერთო ფასეულობებზე.

ზოგადად, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მთავარი მიზნებია:

- მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგისთვის სათანადო სტრუქტურის შემუშავება, რაც პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების საშუალებას უზრუნველყოფს;
- საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერა დემოკრატიის გაძლიერებაში, ეკონომიკის განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკაზე საბოლოოდ გადასვლაში;
- მხარეებს შორის ვაჭრობისა და ინვესტირების, აგრეთვე ჰარმონიული ეკონომიკური ურთიერთობების მხარდაჭერა და ამ გზით მათი მყარი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
- სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური, ფინანასური, სამოქალაქო, სამეცნიერო, ტექნოლოგიური და კულტურული თანამშრომლობისთვის საფუძვლის ჩაყრა.

შეთანხმება ათწლიანი პერიოდით დაიდო, შემდგომში კი ავტომატურად გაგრძელდება, თუკი საქართველო ან ევროკავშირი არ მოინდომებს მის შეწყვეტას.

შეთანხმებამ ხელი შეუწყო ინსტიტუციურ თანამშრომლობას და სამი საერთო ინსტიტუციის, ე.წ. „ინსტიტუციური სამკუთხედის“ ჩამოყალიბებას. ესენი იყო: თანამშრომლობის საბჭო (რომელიც აერთიანებდა მინისტრებს და იკრიბებოდა მინიმუმ წელიწადში ერთხელ); თანამშრომლობის კომიტეტი (აერთიანებდა მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეებს, რომლებიც ამზადებდნენ თანამშრომლობის საბჭოს შეხვედრებს) და საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი, რომელიც პოლიტიკური დიალოგის ფორუმს წარმოადგენდა და თავს უყრიდა ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებს. ყველა ეს ინსტიტუტი ხელს უწყობდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების შესრულებას.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ერთ-ერთი სუსტი მხარე ის იყო, რომ მასში არასრულყოფილად იყო ასახული საქართველოს შიდა პრობლემები და მათი გადაჭრის ქმედითი მექანიზმები.

საქართველოს ევროინტეგრაციის იდეამ ახალი ძალა 2003 წელს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის დაწყების შემდეგ შეიძინა, რაც მოგვიანებით ევროკავშირ-საქართველოს შორის მჭიდროდ დაახლოების მიზეზი გახდა. ევროპულმა სამეზობლო პოლიტიკამ დიდი როლი შეასრულა ქვეყნის მოდერნიზების, ეკონომიკური რეფორმების გატარებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების საქმეში. მოგვიანებით, 2008 წელს, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანამ, საფრანგეთმა, და მისმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ დიდი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ომის შეჩერებასა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაში. ომის შემდგომ ევროკავშირმა აქტიური ფინანსური დახმარება აღმოუჩინა საქართველოს და კონფლიქტის დასარეგულირებლად ჩამოაყალიბა ევროკავშირის მონიტორინგის მისია, რომელიც დღემდე ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან მონიტორინგს უწევს კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სიტუაციას.

მიუხედავად იმისა, რომ სრულად არ სრულდება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება და მისიას არ აქვს წვდომა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე, ამ დრომდე

ევროკავშირის მონიტორინგის მისია ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმია, რომელიც კონფლიქტის ზონაში მოქმედებს. ევროკავშირი აქტიურად არის ჩართული კონფლიქტის დარეგულირების პროცესში, რომელიც ჟენევის მოლაპარაკებების სახელით არის ცნობილი.

კანონმდებლობის ჰარმონიზაცია

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავში-რის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. შეთანხმების 43-ე მუხლის თანახმად საქართველო უნდა ეცადოს ეტაპობრივად მიუახლოვოს საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირისას. ამავე მუხლში ჩამოთვლილია ის სფეროები, რომლებიც უნდა მოიცვას საკანონმდებლო ჰარმონიზაციამ, ესაა კომპანიათა ინვესტიციები, საბაჟო სამართალი, სამეწარმეო სამართალი, საბანკო სამართალი, კომპანიათა ანგარიშები და გადასახადები, ინტელექტუალური საკუთრება, დასაქმებულთა დაცვა სამუშაო ადგილებზე, ფინანსური მომსახურება, კონკურენციის წესები, სახელმწიფო შესყიდვები, ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არაპირდაპირი დაბეგვრა, ტექნიკური წესები და სტანდარტები, ბირთვული კანონმდებლობა და ტრანსპორტი. გარდა ამისა, შეთანხმების 44-ე მუხლი საგანგებოდ საუბრობს კანონმდებლობის დაახლოებაზე კონკურენციის სფეროში.

შეთანხმების დადების შემდგომ საქართველოს ხელისუფლებამ მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით. 1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება N828-Iს, რომლის თანახმადაც, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს. კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით ევროკავშირმა ვალდებულება იკისრა ტექნიკური დახმარება გაუწიოს საქართველოს შეთანხმებით გათვალისწინებულ სფეროებში.

2000 წლიდან შეიქმნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობის და თანამშრომლობის ხელშემწყობი სამთავრობო კომისია, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ხელშეწყობა დაევალა. კომისიის მიერ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შემუშავებულ იქნა ‹საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგია, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს პრეზიოდენტის 2001 წლის 14 ივნისის N613 განკარგულებით.

შემდგომ ეტაპს **‘საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის”** შემუშავება წარმოადგენდა. პროგრამაზე მუშაობა 2001-2003 წლებში მიმდინარეობდა. 2004 წლის 8 მაისის განკარგულებით საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა და მთავრობის წევრებს დაევალათ ეროვნული პროგრამის განხორციელების ინდივიდუალური (სექტორული) სამოქმედო გეგმების შემუშავება.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესს ახალი ბიძგი მისცა 2006 წლის ნოემბერში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში **ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის (ENP AP)** მიღებამ. აღნიშნული გეგმით დაისახა მხარეთა შორის თანამშრომლობის ახალი პრიორიტეტები, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოების არეალი უფრო ფართოა, ვიდრე პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების 43-ე მუხლის მოქმედების სფერო. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კანონმდებლობის დაახლოებას არა მარტო ეკონომიკური სამართლის სფეროში, არამედ მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებში, აგრეთვე ენერგეტიკის

სექტორში. ამასთან, სამოქმედო გეგმა შეთანხმების 43-ე მუხლით გათვალისწინებულ სფეროებში ჰარმონიზაციის პრიორიტეტების დასახვის საშუალებას იძლევა, იგი თითოეულ ამ სექტორში კონკრეტული საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური რეფორმის ღონისძიებებს ადგენს. სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული რეფორმები ფაქტობრივად იმ რეფორმების გაგრძელება, რომელსაც "საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის" ფარგლებში ჩაეყარა საფუძველი. ყველა ამ სექტორში ეტაპობრივად და სისტემურად მიმდინარეობს კანონმდებლობის შემდგომი დახვეწისა და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოვების სამუშაო.

2004 წლის აგვისტოში შემუშავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონ-მდებლობასთან დაახლოების 2004-2006 წლების ერთიანი სამოქმედო გეგმა.

ეროვნული პროგრამის განხორციელება სხვადასხვა სექტორში განსხვავებული წარმატებით მიმდინარეობდა. ამ მიმართულებით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საბაჟო კანონმდებლობის სფეროში ჩატარებული რეფორმა. ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც 2006 წლის ივლისში იქნა მიღებული, ძირითადად შეესაბამება ევროგაერთიანების საბაჟო კოდექსს (რეგლამენტი 2913/92) და მეორად საბაჟო კანონმდებლობას (რეგლამენტი 2454/93). 2008 წელს გადაიდგა პირველი ნაბიჯები ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისი რისკზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის მექანიზმების შემოღების მიმართულებით.

საკანონმდებლო დაახლოების კუთხით აღსანიშნავია აგრეთვე სანიტარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროს რეფორმა. 2005 წლის დეკემბრის კანონმა "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" გაითვალისწინა სურსათის უვნებლობის ევროკავშირის რეგლამენტის 178/2002 ძირითადი პრინციპები. 2006-2008 წლებში მიერ მიღებულ იქნა ევროკავშირის რეგლამენტების შესაბამისი მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტებისა როგორც სურსათის უვნებლობის, ისე მცენარეთა დაცვის სფეროში.

ჰარმონიზაციის მნიშვნელოვანი დონე იქნა მიღწეული საგადასახადო სფეროშიც. 2004 წლის საგადასახადო კოდექსით უცვლელი დარჩა 1997 წლის კოდექსის ის დებულებები რომლებიც ჰარმონიზებული იყო ევროკავშირის დღგ-სა და აქციზის შესახებ დირექტივებთან და მეტიც, გადაიდგა ახალი ნაბიჯები ჰარმონიზაციისაკენ, მათ შორის, აღმოიფხვრა დღგ-ს დაბრუნებასა და ჩასათვლელ დღგ-სთან დაკავშირებული ნაკლოვანებები, გაუქმდა მთელი რიგი საგადასახადო შეღავათები.

ევროკავშირის სტანდარტებთან შემდგომი დაახლოების მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელმა კანონმდებლობამ. 2005 წლის ივნისში ცვლილებები და დამატებები შევიდა «საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» კანონში. აღნიშნული ცვლილებებით კანონში აისახა ევროკავშირის რამოდენიმე დირექტივის (91/250/EEC, 92/100/EEC, 93/98/EEC, 2001/29/EC, 2001/84/EC, 93/83/EEC, 96/9/EC) მოთხოვნები. საბჭოს პირველი დირექტივის 89/104/EEC პრინციპებთან დაახლოვების მიზნით 2005 წლის დეკემბერში ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი საქართველოს კანონში «სასაქონლო ნიშნების შესახებ». 2005 წლის დეკემბერის ცვლილებებით საქართველოს კანონში «ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ»მიღწეულ იქნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის TGIPS–ის მოთხოვნებთან შემდგომი ჰარმონიზაცია.

საფინანსო მომსახურების სექტორში, განსაკუთრებით აღსანიშნავია საბანკო კანონმდებლობა, რომელიც ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საკმაოდ მაღალი დონით ხასიათდება. ევროკავშირის სტანდარტებს მნიშვნელოვანწილად შეესაბამება ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობაც.

2005 წელს განხორციელდა ტექნიკური რეგულირებისა და სტანდარტების სფეროს ძირეული რეფორმა. ქვეყანა საბოლოოდ გადავიდა სტანდარტების ნებაყოფლობითობის სისტემაზე, მიღწეულ იქნა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის ფუნქციების გამიჯვნა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში. „პროდუქციის და მომსახურებისსერტიფიცირებისშესახებ» კანონშიშეტანილიცვლილებებისშედეგად, კანონში ასახულ იქნა საქონლის უვნებლობის შესახებ ევროკავშირის დირექტივის 2001/95/ EC ძირითადი პრინციპები. 2006-2007 წლებში ეკონომიკური განვითარების სამინიტროს მიერ მიღებულ იქნა ტექნიკური რეგლამენტები მეტროლოგიის სფეროში. 2007 წელს აგრეთვე მიღებულ იქნა ევროკავშირის დირექტივის 96/96/EC შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტები ტრანსპორტის უსაფრთხოების სფეროში.

2007 წლიდან კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გაგრძელდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველო ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) შესაბამისად.

თანამშრომლობა „პარტნიორობა მობილურობისათვის“

„პარტნიორობა მობილურობისათვის“ (Mobility Partnership) ფარგლებში თანამშრომლობა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლას და ლეგალური მიგრაციის წახალისებას, მათ შორის «ცირკულარული მიგრაციის» შესაძლებლობების გამოყენებით.

2007 წლის 16 მაისს ევროკომისიამ გამოაქვეყნა კომუნიკაცია «ცირკულარული მიგრაცია და პარტნიორობა მობილურობისათვის ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის (Circular migration and mobility partnerships between the European Union and third countries), რომელიც მიზნად ისახავდა მიგრაციის საკითხებზე ევროკავშირთან პარტნიორი ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებას, მიგრაციის ნაკადების მართვისა (აღრიცხვა, მონიტორინგი, ანალიზი, პოლიტიკის ჩამოყალიბება) და ლეგალური მიმოსვლის შესაძლებლობების გაუმჯობესებას, ასევე არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდას.

ევროკავშირის მიერ საქართველოსთან მობილურობის საკითხებზე კონსულტაციების დაწყების თაობაზე გადაწყვეტილება 2008 წლის 5-6 ივნისს, სამართლისა და შინაგან საქმეთა საკითხებისადმი მიძღვნილი ევროკავშირის საბჭოს სხდომაზე იქნა მიღებული.

2009 წელს „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივის თაობაზე გამართული კონსულტაციების შედეგად საბოლოოდ შეთანხმდა ერთობლივი დეკლარაციის ტექსტი, რომელსაც ხელი მოეწერა 2009 წლის 30 ნოემბერს, ბრიუსელში.

2010 წლის 16 საქართველოში თებერვალს ევროკომისიის წარმომადგენლების დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში ოფიციალურად გაიხსნა თანამშრომლობა «პარტნიორობა მობილურობისათვის» ფარგლებში.

ერთობლივი დეკლარაციის თანახმად “პარტნიორობა მობილურობისათვის” ფარგლებში საქართველოსთან აქტიური თანამშრომლობის სურვილი ევროკომისიასთან ერთად ევროკავშირის 16 წევრმა სახელმწიფომ გამოთქვა.

„პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივა ითვალისწინებს თანამშრომლობას მიგრაციასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მიგრაციის მართვა, შრომითი მიგრაცია, რეადმისია, რეინტეგრაცია, დიასპორა, დოკუმენტაციის უსაფრთხოება, მიგრაციის ერთიანი საინფორმაციო ბაზა და ინფორმაციის გაცვლა ევროკავშირთან, შრომის ბაზარი და პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების საკითხები.

აღსანიშნავია, რომ „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების ლეგალურ დასაქმებას, მათ შორის ე.წ. “ცირკულარული მიგრაციის” საშუალებით. ეს სქემა იძლევა საქართველოს მოქლაქეებისათვის ევროკავშირის ქვეყნებში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლეგალურად დასაქმების, სწავლის, ტრეინინგების გავლის შესაძლებლობას და შემდგომ მათ დაბრუნებას საქართველოში. აღნიშნული სქემა ასევე ითვალისწინებს მჭიდრო თანამშრომლობას ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

თანამშრომლობის განვითარების მიზნით შემუშავდა “პარტნიორობა მობილურობისათვის” თანამშრომლობის სქემა და განხორციელების გეგმა, რომელშიც ასახულია წევრი ქვეყნების მიერ შემოთავაზებული კონკრეტული ღონისძიებები და განსაზღვრულია პასუხისმგებელი უწყებები მასში ჩართული ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და საქართველოს მხრიდან.

„პარტნიორობა მობილურობისათვის“ განხორციელების გეგმა ითვალისწინებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ყოველწლიური შეხვედრების გამართვას, სადაც განისაზღვრება თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები. მხარეებს შორის პირველი შეხვედრა 2010 წლის 15 სექტემბერს ბრიუსელში გაიმართა.

„პარტნიორობა მობილურობისათვის“ თანამშრომლობის ფარგლებში 2013 წლის 12 ნოემბერს ხელი მოეწერა საფრანგეთთან ცირკულარული მიგრაციის შესახებ ორმხრივ ხელშეკრულებას.

ამ ეტაპზე, „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში დასრულებულია თოთხმეტი და მიმდინარეობს ოთხი პროექტი (მათ შორის დასრულების ფაზაში 3 პროექტი), რომელთა ძირითადი მიზანია ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებების განხორციელებაში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა, ასევე სამშობლოში დაბრუნებული ქართველი იმიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობა.

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები

საქართველოს და ევროკავშირს შორის ვაჭრობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) ევროკავშირის ქვეყნებთან 3 165 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5,7 %-ით მეტია. ექსპორტი 3,6%-ით გაიზარდა და 646 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 6,3%-ით გაიზარდა და 2 518 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 29,3% გავიდა, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებიდან მთლიანი იმპორტის 32,6 % შემოვიდა.



2010-2015 წლებში ევროკავშირთან ვაჭრობის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება: 2015 წელს ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო გერმანია, რომელზეც მოდიოდა ბრუნვის 16%. შემდეგ მოდიან ირლანდია (14.5%),ბულგარეთი (12.1%), იტალია (8.6%), რუმინეთი (7.4%), ნიდერლანდები (5.4%), საფრანგეთი (4.4%), ესპანეთი (4.2%), პოლონეთი (3.8%) და გაერთიანებული სამეფო (3.5%). ევროკავშირის წევრ დანარჩენ ქვეყნებზე მოდის სავაჭრო ბრუნვის 20.1 %.

2015 წელს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის საქართველოდან ყველაზე მეტი პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა ბულგარეთში (ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული მთლიანი ექსპორტის 33.1%), რომლის შემდეგაც მოდიან გერმანია (11.7%), იტალია (11.5%), ნიდერლანდები (6.7%), ესპანეთი (6.5%), ლიტვა (5.2%), პოლონეთი (4.4%), რუმინეთი (4.2%), გაერთიანებული სამეფო (3.3%), საფრანგეთი (3.2%), ბელგია (2,5%) და ჩეხეთი (2.1%). ევროკავშირის წევრ დანარჩენ ქვეყნებზე მოდის ექსპორტის 5.5%.





რაც შეეხება იმპორტს, 2015 წელს ყველაზე მეტი ღირებულების პროდუქცია შემოვიდა ირლანდიიდან (18,1%) და გერმანიიდან (17.1%), რომელსაც მოსდევენ რუმინეთი (8.2%), იტალია (7.8%), ბულგარეთი (6.7%), ნიდერლანდები (5.1%), საფრანგეთი (4.7%), ესპანეთი (3.6%),პოლონეთი და გაერთიანებული სამეფო (3.6%), ავსტრია (3.3%), საბერძნეთი (2.8%), ბელგია (2.7%), ჩეხეთი (2.2%) და უნგრეთი (2.0%). ევროკავშირის წევრ დანარჩენ ქვეყნებზე მოდის იმპოტის 8.5%.

2015 წელს საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლიდან ნახევარზე მეტი 2 სასაქონლო ჯგუფზე მოდის: სპილენძის მადნები და კონცენტრატები და ახალი ან გამხმარი კაკალი, ხოლო ევროკავშირიდან იმპორტირებულ მთავარ საქონელს წარმოადგენდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები.

ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებული და ინპორტირებული საქონლის უმსხვილესი ათეული 2015 წელს შემდეგნაირად გამოიყურება:



საქართველოს საგარეო ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით 2010-2015* წელი (ათასი აშშ დოლარი)

ევროკავშირის ქვეყნები	2010 წელი		2011 წელი		2012 წელი		2013 წელი		2014 წელი		2015* წელი	
	ექსპორტი (FOB)	იმპორტი (CIF)	ექსპორტი (FOB)	იმპორტი (CIF)	ექსპორტი (FOB)	იმპორტი (CIF)	ექსპორტი (FOB)	იმპორტი (CIF)	ექსპორტი (FOB)	იმპორტი (CIF)	ექსპორტი (FOB)	იმპორტი (CIF)
სულ	**309 550,1**	**1 470 643,3**	**424 347,6**	**2 052 469,4**	**352 908,8**	**2 428 557,2**	**607 113,3**	**2 263 656,6**	**624 085,6**	**2 369 695,5**	**646 426,6**	**2 518 326,2**
ავსტრია	1 028,1	51 535,7	1 433,7	77 755,2	734,4	82 773,0	579,4	61 437,0	4 836,5	72 143,9	2 355,8	83 757,7
ბელგია	22 074,6	51 420,6	33 647,9	52 057,4	60 446,5	67 250,4	61 479,8	62 288,4	41 675,4	68 583,9	16 305,4	66 836,9
ბულგარეთი	66 757,2	131 725,6	93 699,0	255 460,8	69 654,7	271 072,1	150 753,8	194 215,8	167 104,8	209 825,6	214 247,1	167 603,2
გაერთიანებული სამეფო	18 199,2	66 320,9	13 842,6	88 589,8	20 850,6	115 291,1	29 679,0	90 327,6	24 743,1	94 784,8	21 459,1	89 964,4
გერმანია	34 987,7	333 438,9	49 078,7	480 479,1	38 600,0	540 160,4	73 128,2	449 248,1	69 191,6	465 907,8	75 810,9	431 264,2
დანია	3 612,1	15 408,0	2 327,4	11 325,8	1 200,2	25 067,5	1 433,8	13 078,8	1 052,6	12 711,2	440,0	12 234,3
ესპანეთი	32 709,2	34 063,0	23 693,0	82 147,8	15 852,5	88 223,1	66 820,8	89 417,3	70 314,1	90 280,6	41 938,0	91 243,4
ესტონეთი	878,7	5 200,2	2 774,9	4 795,1	3 685,7	9 038,5	1 938,8	5 919,2	2 501,1	5 401,3	2 243,1	4 787,3
ირლანდია	313,7	7 590,0	218,9	10 421,5	91,4	10 725,4	334,0	11 105,5	155,2	9 759,0	2 195,7	456 194,7
იტალია	26 048,4	136 866,8	75 516,8	184 404,7	53 270,2	271 364,4	81 100,5	220 637,1	86 094,8	221 693,2	74 407,1	197 588,6
კვიპროსი	139,3	1 173,5	190,8	1 102,6	372,0	4 644,4	920,0	4 888,6	536,7	3 509,5	438,7	3 188,5
ლატვია	6 506,2	15 332,1	7 666,0	17 014,6	6 112,3	24 022,6	6 608,0	24 414,6	8 047,2	20 425,5	6 387,9	19 895,3
ლიტვა	11 256,1	26 131,5	18 471,9	39 502,3	19 139,9	50 635,4	21 783,6	36 839,2	31 745,6	44 623,5	33 312,5	45 209,2
ლუქსემბურგი	33,1	5 805,9	25,5	8 632,8	3,9	8 243,1	16,2	3 494,7	0,0	2 931,1	0,0	2 607,4
მალტა	17,5	550,5	0,0	140,0	0,0	121,5	798,7	975,6	53,0	1 524,1	315,0	1 894,3
ნიდერლანდები	17 833,1	105 240,7	17 997,9	133 005,9	11 608,3	142 418,7	22 499,6	124 915,5	31 168,8	148 488,2	43 626,8	128 170,1
პოლონეთი	5 288,9	55 741,9	9 214,6	63 087,8	5 310,1	85 877,2	7 372,2	88 787,5	10 082,6	93 964,8	28 671,5	91 099,8
პორტუგალია	1 914,0	3 433,3	2 812,7	4 403,5	5 152,5	7 252,7	2 295,5	23 102,7	1 816,1	36 854,1	156,6	47 800,8
რუმინეთი	29 656,8	140 801,4	19 782,5	186 209,7	3 537,6	259 185,7	5 032,9	323 155,9	4 293,9	311 457,7	26 982,9	207 162,6
საბერძნეთი	8 025,1	72 614,5	6 186,0	61 905,8	2 181,5	50 953,8	14 747,8	59 524,4	13 752,4	117 530,9	10 569,5	70 432,6
საფრანგეთი	10 923,7	75 017,7	27 754,1	96 904,6	17 159,4	106 370,8	33 849,9	164 438,7	26 813,0	130 797,7	20 996,7	117 286,5
სლოვაკეთი	1 167,7	6 605,7	4 222,1	10 739,1	3 220,2	14 516,3	6 409,1	22 047,2	11 449,2	22 096,4	6 899,2	17 403,8
სლოვენია	951,4	11 096,9	128,7	18 184,2	34,9	17 277,9	79,7	22 015,8	585,7	20 653,0	131,2	20 842,3
უნგრეთი	209,5	28 485,0	2 160,6	34 384,7	308,1	53 045,3	405,9	50 599,7	777,2	59 819,3	666,5	49 338,2
ფინეთი	876,1	16 547,4	1 605,3	16 818,0	3 625,6	20 359,7	1 881,5	15 605,0	659,2	17 357,8	412,8	15 889,7
შვედეთი	49,4	11 169,0	462,4	17 098,9	895,5	17 004,3	68,9	14 270,2	261,5	10 380,6	76,8	20 953,8
ჩეხეთი	8 056,5	57 846,1	9 428,2	91 784,7	9 853,5	82 817,5	14 697,4	75 541,6	14 183,8	67 524,0	13 369,3	56 498,4
ხორვატია	36,7	3 480,5	5,4	4 113,2	7,3	2 844,5	398,1	11 364,7	190,5	8 666,1	2 010,5	1 177,9

* ნინასწარი მონაცემები

ევროკავშირის წევრი ქვეყნების პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში 390 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია შემოვიდა და 2015 წელს განხორციელებული მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 38%-ს შეადგენს. ბოლო წლებში ევროკავშირიდან შემოსული ინვესტიციების თანაფარდობა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან შემდეგნაირად გამოიყურება:



როგორც მსოფლიოს მასშტაბით, ასევე ევროკავშირიდან ინვესტიციების განმახორციელებელ ქვეყნებს შორის, ლიდერობს ნიდერლანდების სამეფო, საიდანაც 2015 წელს (წინასწარი მონაცემებით) საქართველოში 144 717,9 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა.

საქართველოში ინვესტიციების განმახორციელებელი ევროკავშირის წევრი ქვეყნების ათეული და მათ მიერ დაბანდებული ინვესტიციების ოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:



ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა დამამუშავებელ მრეწველობაში.

აგრეთვე ისეთ დარგებში, როგორიცაა: ენერგეტიკა, საფინანსო სექტორი, მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სამთომოპოვებითი მრეწველობა, უძრავი ქონება, სოფლის მეურნეობა და თევზჭერა და ჯანმრთელობის დაცვა და სხვა.

მნიშვნელოვანი თარიღები ევროკავშირთან ურთიერთობის ისტორიაში

1992 წელს ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო და დაიწყო მასთან აქტიური თანამშრომლობა.

1994 წლიდან საქართველომ დაიწყო ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებაზე მუშაობა (PCA). ამ შეთანხმებამ, რომელიც ლუქსემბურგში 1996 წლის 22 აპრილს იქნა ხელმოწერილი, განსაზღვრა ის ძირითადი ჩარჩო, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარებულიყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები. აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1999 წელს.

1995 წლიდან საქართველო სარგებლობს ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP).

1997 წელი **1 სექტემბერი** - საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, საქართველომ დაიწყო ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

2003 წელი **7 ივლისი** - ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი სპეციალური წარმომადგენელი (EU Special Representative for the South Caucasus) დანიშნა, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამ რეგიონის ქვეყნებისადმი თავის ინტერესს.

2004 წელი **14 ივნისი** - ევროკავშირის (მინისტრთა) საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ. ამის შემდეგ საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობები ახალ ფაზაში შევიდა და კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო.

2005 წელი საქართველოს სამი წლის ვადით მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP+ სავაჭრო რეჟიმი) შეღავათები მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობისათვის.

2006 წელი

ნოემბერი - საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელებას. სამოქმედო გეგმა 2006 წლის 14 ნოემბერს იქნა მიღებული.

ევროკავშირმა ამერიკელ პარტნიორებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთ–საქართველოს ომის შეჩერებაში. ევროკავშირის შუამავლობით ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ე.წ. ექვსპუნქტიან შეთანხმებას საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებით. 2008 წლის 1 სექტემბერს საფრანგეთის ინიაციატივით გაიმართა ევროკავშირის საგანგებო სამიტი, სადაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა მკაცრად დაგმეს რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება და სხვა ქვეყნებს მოუწოდეს არ მიიღონ ანალოგიური გადაწყვეტილება.

2008 წელი

15 სექტემბერი - ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) შექმნის თაობაზე, რომლის ამოცანაა ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულების პროცესზე დაკვირვება. აღნიშნულმა მისიამ საქმიანობა 2008 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო.

25 სექტემბერი - ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოსტი.

15 ოქტომბერი - დაიწყო ე.წ. ჟენევის მოლაპარაკებები ევროკავშირის, ეუთო-ს, გაერო-ს, აშშ-ს, საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით. მოლაპარაკებების ძირითად საკითხებს წარმოადგენს სტაბილურობა და უსაფრთხოება რეგიონში, დევნილთა დაბრუნება საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე.

2008 წელი

ევროკავშირმა საქართველოს სამი წლის ვადით (2009-2011) გაუგრძელა პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემა ეფექტური მმართველობისა და მდგრადი განვითარებისათვის (GSP+).

22 ოქტომბერი - ქ. ბრიუსელში ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილმა დახმარებამ 2008-2010 წლებისთვის 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

3 დეკემბერი - გამოქვეყნდა ევროკომისიის კომუნიკე "აღმოსავლეთ პარტნიორობის" შესახებ. "აღმოსავლეთ პარტნიორობა" (Eastern Partnership) ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი) თანამშრომლობის თვისობრივად ახალი ფორმაა.

2009 წელი

7 მაისი - ქ. პრაღაში, გაიმართა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტი.

30 ნოემბერი - ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა "პარტნიორობა მობილურობისათვის" ერთობლივ დეკლარაციას.

2010 წელი

16 თებერვალი - ოფიციალურად დაიწყო „პარტნიორობა მობილურობისათვის" ფარგლებში საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობა.

10 მაისი - ბრიუსელში, ზოგად საკითხთა საბჭომ (General Affairs Council) დაამტკიცა ევროკომისიის მიერ წარდგენილი მანდატი საქართველოსთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით.

17 ივნისი - ხელი მოეწერა ,,საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ" შეთანხმებას.

15 ივლისი - დაიწყო ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები, რომლის ნაწილიცაა "ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე შეთანხმება " (DCFTA)

2010 წელი

22 ნოემბერი - ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმებას.

2 დეკემბერი - ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „საქართველოს და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ'' შეთანხმებას.

2011 წელი

1 მარტი - ძალაში შევიდა ,,საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ" და „ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმებები.

3 მაისი - ქ. ბრიუსელში გაიმართა საგანგებო სხდომა, რომელზეც ოფიციალურად დაფუძნდა „ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა".

14 ივლისი - ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის „სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული დასახელების ურთიერთდაცვისა და აღიარების შესახებ" ხელშეკრულებას, რომელიც 2012 წლის 1 აპრილიდან შევიდა ძალაში.

25 აგვისტო - ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით გაერთიანდა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლისა და საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობები და მათ ნაცვლად შეიქმნა სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანა-მდებობა. ამ პოზიციაზე დაინიშნა ფილიპ ლეფორი.

29-30სექტემბერი - ქ.ვარშავაში გაიმართა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" მეორე სამიტი.

2012 წელი

28 თებერვალი - ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე (DCFTA).

4 ივნისი - გაიხსნა საქართველო-ევროკავშირის დიალოგი უვიზო მიმოსვლის შესახებ.

23 ივლისი - "აღმოსავლეთ პარტნიორობის" მონაწილე ქვეყნების მინისტრთა შეხვედრაზე მიღებული იქნა 2012-13 წლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა საგზაო რუკა.

2013 წელი

22 ივლისი - დასრულდა მოლაპარაკებები საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტზე.

22 ნოემბერი - ევროკომისიამ და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა აღიარეს საქართველოს მეზღვაურების ტრენინგებისა და კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები. შედეგად, ქართველ მეზღვაურებს მიეცათ უფლება და შესაძლებლობა, რომ დასაქმდნენ ევროკავშირის ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებზე.

28-29 ნოემბერი - ქ. ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მესამე სამიტი გაიმართა.

29 ნოემბერი -„აღმოსავლეთ პარტნიორობის" ვილნიუსის სამიტზე ასოცირებისა და მისი კომპონენტის, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდა.

29 ნოემბერი - „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ვილნიუსის სამიტზე საქართველოს და ევროკავშირს შორის გაფორმდა შეთანხმება საქართველოს ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში ჩართვის შესახებ. შეთანხმება საქართველოს აძლევს საშუალებას წვლილი შეიტანოს მსოფლიო უსაფრთხოებაში.

26 ივნისი-ევროკავშირმა და საქართველომ დაამტკიცეს ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტულ საკითხებს 2014-2016 წლებისთვის და ემსახურება ასოცირების შეთანხმების, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის (DCFTA) ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობას. აღნიშნულმა დღის წესრიგმა ჩაანაცვლა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP).

27 ივნისი - ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას.

8 ივლისი - საქართველოს პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით.

29 ივლისი - საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის ორმოცდამეცხრე სხდომაზე დამტკიცდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა და ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა.

26 აგვისტო - საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა.

2014 წელი

1 სექტემბერი - დაიწყო ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების დროებითი ამოქმედება, რაც გულისხმობს ასოცირების შესახებ შეთანხმების დაახლოებით 80%-ის ძალაში შესვლას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით. აღნიშნული პროცესი გაგრძელდება ევროპარლამენტისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიკაციის დასრულებამდე.

19 დეკემბერი - საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საამთავრობო კომისიის ორმოცდამეთერთმეტე სხდომაზე დამტკიცდა ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა.

2015 წელი

15 იანვარი - საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა.

18 დეკემბერი - ევროკომისიამ საქართველოს მიერ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ყველა ვალდებულება პოზიტიურად შეაფასა და უვიზო მიმოსვლის ამოქმედებისთვის დადებითი ანგარიში წარადგინა. საქართველო 2016 წლის ზაფხულისთვის ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლას მიიღებს.

ევროპული საგეზობლო პოლიტიკა

2002 წლის 18 ნოემბრის ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭომ და 2002 წლის 12-13 დეკემბერს, ევროკავშირის საბჭოს კოპენჰაგენის სამიტმა გამოხატა სურვილი, რუსეთთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, ბელორუსთან და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქვეყნებთან, ევროკავშირის ურთიერთობების გაღრმავების შესახებ და მიესალმა ევროკომისიისა და ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივნის, ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის წინადადებებს აღნიშნული მიმართულებით.

2003 წლის 11 მარტს, ევროკომისიამ, ევროკავშირის «სამეზობლო ინიციატივასთან» დაკავშირებით, ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტისადმი თავისი მიმართვა (Wider Europe – Neighbourhood: A New Framework for Relations with our Eastern and Southern Neighbours) გამოაქვეყნა. ევროკომისიის ზემოთხსენებული მიმართვა აღნიშნავდა, რომ ევროკავშირმა უნდა შექმნას განვითარებისა და კეთილმეზობლობის ზონა, ე.წ. "მეგობართა სარტყელი", რომელთანაც მას მჭიდრო ურთიერთობები ექნება. აღნიშნული დოკუმენტი ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქვეყნებთან, რუსეთთან და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ევროკავშირის ურთიერთობების შემდგომი განვითარების ჩარჩოების შემუშავებას ითვალისწინებს. ამასთან, ითვალისწინებს, რა ევროკავშირის "სამეზობლო ინიციატივაში" მონაწილე ქვეყნების ევროკავშირთან ურთიერთობების სხვადასხვა დონეს, თავის ახალ სამეზობლო პოლიტიკას ევროკავშირი ხსენებულ ქვეყანათა მიმართ დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე განახორციელებს.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, ევროკავშირის გაფართოების შემდეგ, 2004 წელს შემუშავდა გაფართოებულ ევროპასა და ახალ მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების თავიდან აცილებისა და სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით.

სამეზობლო პოლიტიკა მიზნად ისახავს ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების პროცესის მხარდაჭერას. სამეზობლო პოლიტიკის საშუალებით ევროკავშირი თავისი საზღვრების გარშემო დემოკრატიის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის გავრცელებას უწყობს ხელს.

ინიციატივა თავდაპირველად გავრცელდა უკრაინაზე, მოლდოვასა და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქვეყნებზე - ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მაროკო, სირია, ტუნისი და დე ფაქტო პალესტინა.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა საქართველოზე, სომხეთსა და აზერბაიჯანზე 2004 წლის ივნისიდან საქართველოში მომხდარი ვარდების რევოლუციის შემდეგ გავრცელდა.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ჩვენს ქვეყანაზე გავრცელების შემდეგ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობამ თვისობრივად ახალი პერსპექტივები შეიძინა. ევროკავშირი მეზობლებს პრივილეგირებულ ურთიერთობებს სთავზობს, რომელიც დემოკრატიას, ადამინიას უფლებების დაცვას, კანონის უზენაესობას ეფუძნება. იგი სცილდება უბრალო თანამშრომლობის ფარგლებს და მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინტეგრირებასა და მჭიდრო პოლიტიკურ ურთიერთობებს გულისხმობს.

საყურადღებოა, რომ ევროკავშირის ახალი სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება ევროკომისიის მიერ, მის მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის გზით მომზადებული, ქვეყნის ან რეგიონის მიმართ შემუშავებული სტრატეგიული სამოქმედო გეგმების საფუძველზე მიმდინარეობს. ხსენებულ სამოქმედო გეგმებში, ევროკომისიამ განსაზღვრა ის პოლიტიკური და ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა საფუძველზეც, შემდგომში, ამა თუ იმ ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის შეფასება მოხდება.

სამოქმედო გეგმა ეყრდნობა ყველა ქვეყნისათვის საერთო პრინციპებს, მაგრამ განსხვავდება თითოეულ მათგანთან თანამშრომლობის არსებული მდგომარეობის, ქვეყნის საჭიროებებისა და საერთო ინტერესების შესაბამისად.

ევროკავშირის «სამეზობლო პოლიტიკა» ეფუძნება ისეთი ღონისძიებების რეალიზაციას, როგორებიცაა:

- სტანდარტებისა და წესების ჰარმონიზაცია;
- ევროკავშირის «სამეზობლო პოლიტიკაში» მონაწილე ქვეყნებისათვის პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების მინიჭება, ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის გაიოლების მიზნით;
- ადამიანური რესურსების თავისუფალი გადაადგილებისა და კანონიერი მიგრაციის საფუძვლების შექმნა;
- თანამშრომლობის გაძლიერება უსაფრთხოების საკითხებში, კერძოდ, ტერორიზმის, ტრანს-ნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებების, ნარკოტიკების ტრანზიტის, ტრეფიკინგის, ფულის გათეთრების და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში;
- ევროკავშირის უფრო აქტიური მონაწილეობა კონფლიქტის დარეგულირების (Conflict Resolution) და კრიზისულ სიტუაციათა მართვის (Crisis Management) საკითხებში;

- მეტი ძალისხმევის მიმართვა ადამიანის უფლებათა დაცვისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ;
- ევროკავშირის «სამეზობლო პოლიტიკაში» მონაწილე ქვეყანათა ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სატელეკომუნიკაციო ქსელებში, ასევე სამეცნიერო კვლევათა ევროპულ სივრცეში (European Research Area);
- ინვესტიციების ხელშეწყობისა და მათი დაცვის ახალი ინსტრუმენტების შექმნა;
- ევროკავშირის «სამეზობლო პოლიტიკაში» მონაწილე ქვეყნების მოთხოვნილებებზე უკეთ ორიენტირებული დახმარების უზრუნველყოფა;
- დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) სესხების ხელმისაწვდომობის ჩათვლით.

2006 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო–ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, რომელიც თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელებას უწყობს ხელს. სამოქმედო გეგმა 2006 წლის 14 ნოემბერს იქნა მიღებული.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა შედგა როგორც განახლებადი დოკუმენტი. იგი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების განვითარების კვალობაზე და საქართველოში გატარებული რეფორმების ხარისხისა და ტემპის გათვალისწინებით განიცდის ცლილებას. სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის გათვალისწინებული იყო 5 წელი.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ამზადებს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ყოველწლიურ გეგმებს ლოგიკური ჩარჩოს (მატრიცის) ფორმატში, სადაც დეტალურადაა გაწერილი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების მიღწევის ღონისძიებები. მოქმედებს გეგმის განხორციელების ელექტრონული მონიტორინგის სისტემა.

შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით, ყოველწლიურად ხორციელდება ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENP AP) განხორცილების ანგარიშის მომზადება.სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის წარმოჩენის მიზნით საქართველოს მთავრობა წელიწადში ორჯერ ატარებს საერთაშორისო კონფერენციებს, რომლებიც საქართველოსა და მის ევროპელ პარტნიორებს საშუალებას აძლევს გაზარდონ თანამშრომლობის ინტენსიობა, რათა სრულად გამოიყენონ სამეზობლო პოლიტიკის ახალი შესაძლებლობები.

აღმოსავლეთ პარტნიორობა

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის განზომილება. ამ ინიციატივის შესახებ პირველად 2009 წლის 7 მაისს, პრაღაში, ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლოს სამიტზე გაცხადდა. ჩეხეთის რესპუბლიკამ, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანამ, პრაღაში მიიწვია ლიდერები ექვსი ქვეყნიდან: აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა. მანამდე, 2008 წლის დეკემბერში, ევროკავშირის ორი წევრი ქვეყნის, პოლონეთისა და შვედეთის "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ეს ინიციატივა ევროკომისიამ გამოაქვეყნა სპეციალური კომუნიკაციის სახით, ხოლო 2009 წლის მარტში ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა.

"აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტი პრაღის (2009წ.) შემდეგ კიდევ ორჯერ გაიმართა. სწორედ უკანასკნელ სამიტზე, ვილნიუსში (2013წ.), ჩვენმა ქვეყანამ (ისე როგორც მოლდოვამ) 2012 წელს ანონსირებული პარტნიორობის საგზაო რუკის შესაბამისად, მოახდინა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება.

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ არ არის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა, არამედ ის, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით, ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას.

"აღმოსავლეთ პარტნიორობის" ინიციატივა მომწიფდა როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ესპ) განვითარება და აღმოსავლეთ ევროპაში ესპ-ს მიღწევების გაძლიერება. ესპ ინიცირებული იყო 2004 წელს და გავრცელდა ჩრდილოეთ აფრიკისა და აღმოსავლეთ ევროპის 16 ქვეყანაში. საქართველო ესპ-ს ნაწილი 2006 წელს გახდა. ინიციატივა პირველად ევროპულ საბჭოში განიხილეს 2008 წლის ივნისში, თუმცა, პროცესი დააჩქარა რუსეთის პოლიტიკამ აღმოსავლეთ ევროპაში, და კერძოდ, 2008 წელს საქართველოში შემოჭრამ. ევროკავშირში ჩათვალეს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის განვითარების პროცესი მეტ სოლიდარობას მოითხოვდა.

მიუხედავად აღმოსავლურ პარტნიორობაში საბოლოო ერთიანი პოლიტიკისა, ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანა ინიციატივას განსხვავებულად უყურებდა. გეოგრაფიული სიახლოვის გამო ინიციატივისადმი მეტ ინტერესს იჩენდნენ "აღმოსავლეთ პარტნიორობის" უშუალო მეზობლები, თუმცა რუმინეთსა და ბულგარეთში თვლიდნენ, რომ ახალ ინიციატივას შეეძლო დაესუსტებინა ადრე არსებული სხვა რეგიონული ინიციატივები: „პარტნიორობისა და დიალოგის შავი ზღვის ფორუმი" და „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია". გერმანიასა და საფრანგეთს არ სურდათ, რომ "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ინიციატივა გამოჩენილიყო როგორც ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა. ამგვარ პერსპექტივას, როგორც ესპ-ს განვითარებას, მოითხოვდა უკრაინა.

რუსეთი უარყოფითად შეხვდა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ინიციატივას. მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, პუტინმა, ინიციატივა შეაფასა როგორც ევროპელთა არამეგობრული მცდელობა ალყაში მოაქციოს რუსეთი. ეს იყო პოლიტიკის ცვლილების მნიშვნელოვანი განაცხადი რუსეთისგან, რომელიც მანამდე ნეგატიურად იყო განწყობილი აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების ნატოსთან დაახლოებისადმი, მაგრამ ლოიალობას იჩენდა ამ ქვეყნების ევროკავშირთან თანამშრომლობისადმი.

აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში თანამშრომლობა ვითარდება ორი მიმართულებით: **ორმხრივი** და **მრავალმხრივი** თანამშრომლობის ფორმატებში. ორმხრივი თანამშრომლობის საბოლოო მიზანია ფართო პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა და პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გააღრმავება, მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზანი კი ახალ ფორმატს უზრუნველყოფს, რომელიც საერთო ინტერესთა სფეროში თანამშრომლობისა და გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობას იძლევა. ასეთი ფორმატი, უსაფრთხოებიის, მიგრაციის, ვაჭრობისა, ისევე როგორც ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში, ერთობლივი პროექტების განხორცილების გზით, რეგიონში თანამშრომლობის პროცესების განვითარებას ისახავს მიზნად.

ორმხრივი თანამშრომლობა, ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის, თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ითვალისწინებს, რაც მოიცავს:

- ახალი, უფრო ფართო საკონტრაქტო ურთიერთობების ჩამოყალიბებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებასთან (PCA) შედარებით გაღრმავებული შეთანხმებების - **ასოცირების შესახებ შეთანხმებების** (Association Agreements) გაფორმების გზით, რომლებიც უპასუხებს თითოეული პარტნიორი ქვეყნის ევროკავშირთან შემდგომი დაახლოებისკენ სწრაფვას. ეს შეთანხმებები გაფორმდება იმ ქვეყნებთან, რომლებიც მზად იქნებიან საკუთარ თავზე აიღონ შესაბამისი დონის ვალდებულებები;
- ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის **თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნას**, რომლებიც დაეფუძნება თითოეულ ქვეყანასთან გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებებს (Deep and Comprehensive Free Trade Areas), როგორც ასოცირების შესახებ შეთანხმების განუყოფელი ნაწილს;
- უსაფრთხო გარემოში მოქალაქეთა **მობილურობის ხელშეწყობას.** ამ მიზნით, ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებების (Visa Facilitation and Readmission Agreements) გაფორმების შესაძლებლობებს სთავაზობს. თანმიმდევრული ნაბიჯები იქნება გადადგმული უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დამყარებისაკენ;
- **ენერგო უსაფრთხოების გაძლიერებას,** რაც ითვალისწინებს ენერგო რესურსების მიწოდებასა და ტრანზიტს, ისევე როგორც, ენერგო რესურსების ეფექტიანობის ამაღლებასა და ენერგიის განახლებადი წყაროების ფართო გამოყენებას.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ კომუნიკაცია ხაზს უსვამს ერთობლივი მფლობელობის პრინციპზე თანამშრომლობის დაფუძნების მნიშვნელობას, რაც ყველა მონაწილე მხარეზე, პასუხისმგებლობის გადანაწილებას (Joint Ownership) უწყობს ხელს.

აღნიშნული თანამშრომლობა მიიღწევა საყოველთაოდ აღიარებულ შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

- დემოკრატია და კანონის უზენაესობა;
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა;
- საბაზრო ეკონომიკის ერთგულება.

“აღმოსავლეთ პარტნიორობის” ფარგლებში საქართველო-ევროკავშირის (ეკ) ორმ-ხრივი თანამშრომლობის სპეციფიკურობა განპირობებულია ევროკავშირისათვის

სამხრეთ კავკასიის ზოგადი პოლიტიკური როლით და ასევე თავად საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესით. ეკონომიკური ასპექტით, ევროკავშირისათვის მნიშვნელოვანია წვდომა კასპიისა და ცენტრალური აზიის ენერგორესურსებზე, სამხრეთ კავკასიაზე და, კერძოდ, საქართველოზე გამავალი ენერგეტიკული კორიდორის მეშვეობით.

ამ ინიციატივით საქართველოსათვის ევროკავშირთან ორმხრივი თანამშრომლობა მოიცავდა ექვს ასპექტს:

- ახალი სახელშეკრულებო ურთიერთობა;
- ევროკავშირის ეკონომიკაში ინტეგრაცია;
- ევროკავშირში მოგზაურობის გამარტივება;
- ენერგეტიკული და სატრანსპორტო თანამშრომლობა;
- ეკონომიკური და სოციალური განვითარება;
- ფინანსური მხარდაჭერა

აღსანიშნავია, რომ საქართველოში კონფლიქტის დარეგულირების თემა, რომელიც ასახული იყო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ტექსტში, "აღმოსავლეთ პარტნიორობის" სფეროში არ შედის.

ამასთან, 2008 წლის შემდგომ თავად ევროკავშირი უფრო მეტადაა ჩართული ჩვენი ქვეყნის კონფლიქტების მოგვარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. ეს, ერთი მხრივ, ევროკავშირისათვის უპრეცედენტოდ სწრაფად გაშლილი და დღემდე მოქმედი ევროკავშირის სამონიტორინგო მისიაა, მეორე მხრივ ეკ-ს ჩართულობა ჟენევის პროცესში, რომელიც ევროკავშირის ინიციატივით შეიქმნა და მხარეთა შორის უსაფრთხოების საკითხებზე მოლაპარაკების ერთადერთი ფორმატია რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ.

აღმოსავლურ პარტნიორობაში, ევროპის სამეზობლო პოლიტიკისგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი სიახლეა სამოქალაქო საზაოგადოების ჩართულობის ფორმალიზება. ამ ჩართულობის ინსტიტუციონალიზაციაა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი, რომელიც ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების სამოქალაქო ორგანიზაციებს მჭიდრო თემატური თანამშრომლობის საშუალებას აძლევს. ფორუმი სამოქალაქო საზოგადოების თვითმართვადი სტრუქტურაა. შეხვედრა წელიწადში ერთხელ იმართება, ფორუმებს შორის საქმიანობას განაგებს მმართველი კომიტეტი სამდივნოს მხარდაჭერით.

წლის განმავლობაში მუშაობს ფორუმის ხუთი სამუშაო ჯგუფი. საქართველოში, სხვა პარტნიორი ქვეყნების მსგავსად, საქმიანობს სამოქალაქო ფორუმის ეროვნული პლატფორმა.

“აღმოსავლეთ პარტნიორობის” რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებათა წარმომადგენლების კონფერენციაზე საქართველო წარმოდგენილია ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციით. კონფერენცია ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების თანამშრომლობას რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით, “აღმოსავლეთ პარტნიორობის” ფარგლებში, ხორციელდება პარტნიორ ქვეყანათა ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი პროექტი East Invest. პროექტს საქართველოში კოორდინაციას უწევს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და საქართველოს დამსაქმებელთა ბიზნესასოციაცია.

აღმოსავლურმა პარტნიორობამ განამტკიცა პარტნიორი ქვეყნების კანონმდებელთა თანამშრომლობა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში ფუნქციონირებს **„ევრონესტი“** (Euronest) - თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც 2011 წლის 2-3 მაისს ბრიუსელში, ევროპარლამენტის წევრებისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა. საპარლამენტო ასამბლეაში ფუნქციონირებს 4 კომიტეტი: პოლიტიკურ საკითხთა, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის კომიტეტი, ეკონომიკური ინტეგრაციის, საკანონმდებლო და ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოების კომიტეტი, ენერგეტიკული უსაფრთხოების კომიტეტი, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და სამოქალაქო საზოგადოების კომიტეტი. კომიტეტის სხდომები იმართება წელიწადში მაქსიმუმ ორჯერ, აქედან 1 სხდომა იმართება ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის სესიის განმავლობაში. კომიტეტებს შეუძლიათ დანიშნონ მომხსენებელი მათი კომპეტენციის სფეროში შემავალი საკითხების გამოსაკვლევად და საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სხდომაზე ანგარიშების წარსადგენად.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

EASTERN PARTNERSHIP
Civil Society Forum

ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ინიციატივის ფარგლებში მოხდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალიზაცია ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის აქტიური თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის. ამ მიზნით, 2009 წლის 17 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი (EaP Civil Society Forum - CSF) დაფუძნდა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფარგლებში ამჟამად ხუთი სამუშაო ჯგუფი ფუნქციონირებს, მათგან 4 შინაარსობრივად „აღმოსავლეთ პარტნიორობის" მრავალმხრივი თანამშრომლობის თემატური პლატფორმების ანალოგიურია, ხოლო მე-5 თემატური ჯგუფის „სოციალური პარტნიორობა და სოლიდარობა" დაარსების შესახებ გადაწყვეტილება 2011 წლის 28-30 ნოემბერს ქ. პოზნანში, პოლონეთში გამართულ CSF-ის მესამე შეხვედრაზე იქნა მიღებული.

CSF-ის მუშაობას 18 წევრისგან შემდგარი მმართველი კომიტეტი ხელმძღვანელობს, რომლის წევრები არიან თითოეული სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები, პარტნიორი ქვეყნებიდან ეროვნული კოორდინატორები (National Facilitators), ასევე, ევროკავშირისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მმართველი კომიტეტის სამდივნო ქ. ბრიუსელში ჩამოყალიბდა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სხდომები იმართება ყოველწლიურად. ფორუმის სხდომებზე ხდება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. შეხვედრებზე, ასევე, ხდება პარტნიორი ქვეყნების კოორდინატორების (National Facilitators), სამუშაო ჯგუფების ორ-ორი კოორდინატორის (Working Group Coordinators) და ევროკავშირის სამი კოორდინატორის (EU Coordinators) განახლებული შემადგენლობის არჩევა.

CSF-ის მუშაობის წარმართვის მიზნით, თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში შექმნილია ეროვნული პლატფორმები. ამ დროისთვის საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში 126 ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული. ეროვნულ პლატფორმაში ოთხი თემატური ჯგუფი ფუნქციონირებს. ეროვნული პლატფორმის საქმიანობას საკოორდინაციო საბჭო წარმართავს, რომლის შემადგენლობაში თითოეული სამუშაო ჯგუფის 2 თანაკოორდინატორი შედის.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეექვსე ყოველწლიური შეხვედრა
2014 წლის 20-21 ნოემბერი, საქართველო, ქ. ბათუმი

„აღმოსავლეთ პარტნიორობის" საკითხების კოორდინატორი უწყება, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობს „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების საქართველოს ეროვნული პლატფორმის" წარმომადგენლებთან.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 20-21 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეექვსე ყოველწლიური შეხვედრა გაიმართა საქართველოში, ქ. ბათუმში.

დაარსებიდან ხუთ წელიწადში, პლატფორმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრიდან გარდაიქმნა ინსტიტუციონალიზირებული პოლიტიკის ფორუმად, რომელიც ევროკავშირსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნებს (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) თავიანთი იდეებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მეშვეობით აერთიანებს, რომლის საერთო მიზანს ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროინტეგრაციის პროცესის გავრცელება წარმოადგენს.

[1] მე-2 შეხვედრა - 2010 წლის 18-19 ნოემბერი, ქ. ბერლინი, გერმანია;
მე-3 შეხვედრა - 2011 წლის 28-30 ნოემბერს, ქ. პოზნანი, პოლონეთი;
მე-4 შეხვედრა - 2012 წლის 29-30 ნოემბერი, ქ. სტოკჰოლმი, შვედეთი;
მე-5 შეხვედრა - 2013 წლის 4-5 ოქტომბერი, ქ. კიშინეუ, მოლდოვა;
მე-6 შეხვედრა - 2014 წლის 20-21 ნოემბერი, ქ. ბათუმი, საქართველო;
მე-7 შეხვედრა - 2015 წლის 19-21 ნოემბერი, ქ. კიევი, უკრაინა.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“



საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ ოფიციალურად ეწოდება „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროპის კავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.“

ვინაიდან „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მოიცავს არა მხოლოდ იმ სფეროებს, რომლებშიც ევროკავშირს ექსკლუზიური კომპეტენცია აქვს, არამედ სფეროებს, რომლებშიც ევროკავშირი ინაწილებს კომპეტენციას წევრ ქვეყნებთან, შესაბამისად, შეთანხმების მხარეებად ევროკავშირთან ერთად გამოდიან მისი წევრი ქვეყნებიც. რაც შეეხება ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას (ევრატომი), მიუხედავად იმისა, რომ 1993 წელს (მაასტრიხტის ხელშეკრულებით) და 2009 წელს (ლისაბონის ხელშეკრულებით) მოხდა ევროპის გაერთიანებების (ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება - European Coal and Steel Community და ევროპის ეკონომიკური გაერთიანება - European Economic Community) ჯერ შერწყმა, ხოლო შემდგომ ერთ სამართლებრივ სუბიექტად (ევროკავშირად, EU) ჩამოყალიბება, ევროპული ატომური ენერგიის გაერთიანებამ (European Atomic Energy Community) შეინარჩუნა დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი. ვინაიდან „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მოიცავს ატომური ენერგიის გაერთიანების კომპეტენციაში შემავალ საკითხებსაც, ევრატომი წარმოადგენს შეთანხმების მხარეს.

შეთანხმების მიზანი, არსი და სტრუქტურა

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ფორმდება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შორის და მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნას. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ სამართლებრივად სავალდებულოა.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის” შეთანხმებაა, რამდენადაც,

მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

საქართველოსთვის ევროკავშირთან „ასოცირების შესახებ შეთანხმების“, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით, გაფორმების პერსპექტივა გაიხსნა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივით.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ჩაანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას“ (Partnership and Cooperation Agreement - PCA) და შექმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს. PCA-სთან შედარებით, „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ითვალისწინებს თანამშრომლობის უფრო გაღრმავებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ყველა პრიორიტეტული მიმართულებით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებები „ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე“ ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის ივლისში (ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტზე - 2011 წლის დეკემბერში). მოლაპარაკებების პროცესში გაიმართა 15 პლენარული სესია შეთანხმების პოლიტიკურ ნაწილზე, 6 რაუნდი - ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობის სივრცეზე და 100-მდე ვიდეო-კონფერენცია დარგობრივი თანამშრომლობის საკითხებსა და DCFTA-ზე. მოლაპარაკებები დასრულდა 2013 წლის ივლისში. მოლაპარაკებების პროცესში ჩართული იყო საქართველოს ყველა შესაბამისი სამინისტრო და უწყება.

შეთანხმების პარაფირება (მოლაპარაკებული ტექსტის დადასტურება მხარეთა დელეგაციების ხელმძღვანელების მიერ, შეთანხმების თითოეულ გვერდზე ინიციალების დასმით) მოხდა 2013 წლის 28-29 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის ფარგლებში. შეთანხმების ხელმოწერა განხორციელდა 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში.

შეთანხმების არსი

- **საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა.** დემოკრატიის და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა.
- **საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.** პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის შიდა-სახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონალური სტაბილურობა და სხვა.
- **მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება**, მათ შორის, საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, ფულის გათეთრების, ტერორიზმის, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის, ორგანიზებული დანაშაულისა და ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა.
- **დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა,** მაგ., ისეთ სფეროებში, როგორიც არის ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონალური განვითარება და სხვა.
- **ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები**, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) ჩამოყალიბებას.

„ასოცირების შესახებ შეთანხმებაში“ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.

შეთანხმების სტრუქტურა

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ პირობითად შეგვიძლია სამ ნაწილად დავყოთ:

- **პოლიტიკური თანამშრომლობა** (პრეამბულა; კარი I-III; VIII);
- **დარგობრივი თანამშრომლობა** (კარი V-VII);
- **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე** (DCFTA) (კარი IV).

შეთანხმება 1000-მდე გვერდს მოიცავს და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოვებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან.

შეთანხმებას აქვს შემდეგი სტრუქტურა:

პრეამბულა
კარი I: ზოგადი პრინციპები
კარი II: პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა; თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში
კარი III: მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება
კარი IV: ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები
თავი 1: ეროვნული რეჟიმი და საქონლის ბაზარზე დაშვება
თავი 2: სავაჭრო ზომები
თავი 3: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება
თავი 4: სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები
თავი 5: საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობა
თავი 6: დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია
თავი 7: მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა
თავი 8: საჯარო შესყიდვები
თავი 9: ინტელექტუალური საკუთრება
თავი 10: კონკურენცია
თავი 11: ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში
თავი 12: გამჭვირვალობა
თავი 13: ვაჭრობა და მდგრადი განვითარება
თავი 14: დავების მოგვარება
თავი 15: დაახლოვების ზოგადი დებულებები IV კარის შესაბამისად

კარი V: ეკონომიკური თანამშრომლობა
თავი 1: ეკონომიკური დიალოგი
თავი 2: საჯარო ფინანსების მართვა და ფინანსური კონტროლი
თავი 3: დაბეგვრა
თავი 4: სტატისტიკა
კარი VI: თანამშრომლობის სხვა სფეროები
თავი 1: ტრანსპორტი
თავი 2 : თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში
თავი 3: გარემოს დაცვა
თავი 4: კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები
თავი 5: სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა
თავი 6: კორპორაციული სამართალი, აღრიცხვა და აუდიტი და კორპორაციული მმართველობა
თავი 7: ფინანსური მომსახურება
თავი 8: თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში
თავი 9: ტურიზმი
თავი 10: სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება
თავი 11: მეთევზეობა და საზღვაო მმართველობა
თავი 12: თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში
თავი 13: მომხმარებელთა პოლიტიკა
თავი 14: დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები
თავი 15: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა
თავი 16: განათლება, ტრეინინგი და ახალგაზრდობა
თავი 17: კულტურის სფეროში თანამშრომლობა
თავი 18: თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში
თავი 19: თანამშრომლობა სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში
თავი 20: თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების სფეროში
თავი 21: რეგიონალური განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონალურ დონეზე
თავი 22: სამოქალაქო თავდაცვა
თავი 23: ევროკავშირის სააგენტოებსა და პროგრამებში მონაწილეობა
კარი VII: ფინანსური დახმარება და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლის შესახებ დებულებები
კარი VIII: ინსტიტუციური, ზოგადი და დასკვნითი დებულებები

- **34 დანართი**, რომელიც მოიცავს ევროკავშირის შესაბამისი სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, რომელთაც უნდა დაუახლოვდეს საქართველო კონკრეტულ ვადებში;
- **4 ოქმი** („საქონლის წარმოშობის" ცნების განსაზღვრის და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების შესახებ; საბაჟო საკითხებზე ადმინისტრაციული ურთერთდახმარების შესახებ; ევროკავშირის ფინანსური დახმარების კონტექსტში, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლის დებულებებში გამოყენებული ტერმინების დეფინიციების შესახებ; ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ძირითადი პრინციპების თაობაზე ევროკავშირსა და საქართველოს შორის ჩარჩო ხელშეკრულების შესახებ).

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ დადებითი მხარეები

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ იმპლემენტაციის შედეგად, საქართველოს მოქალაქეები კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ. მათ შორის, აღსანიშნავია, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უკეთესი შესაძლებლობების გახსნა; ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა; გაუმჯობესებული ჯანდაცვა; ენერგო ეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი ენერგო რესურსების განვითარება; უკეთესად ფუნქციონირებადი სასამართლო, გამყარებული კანონის უზენაესობა, საჯარო სამსახურის გაზრდილი ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა და სხვა.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ არ ითვალისწინებს ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა, შეთანხმება ევროკავშირთან და მის კანონმდებლობასთან (acquis)[3] დაახლოვების იმდენად მაღალ დონეს გულისხმობს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს.

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის მომავალი ურთიერთობისთვის გრძელვადიან საფუძველს ქმნის, თუმცა, არ გამორიცხავს ურთიერთობის სამომავლო განვითარებას ევროკავშირის ხელშეკრულების (Treaty on European Union)[4] შესაბამისად[5].

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ პრეამბულაში ნათქვამია, რომ მხარეთა საერთო სურვილია, შემდგომში განავითარონ, გააძლიერონ და გააღრმავონ ურთიერთობები ამბიციური და ინოვაციური გზით; „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ არ შეზღუდავს და ღიას დატოვებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების სამომავლო პროგრესული განვითარების გზას.

3 acquis communautaire - ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ერთობლიობა.

4 ევროკავშირის ხელშეკრულება (Treaty on European Union) (მაასტრიხტის ხელშეკრულება) ძალაშია 1993 წლიდან და „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებასთან“ (Treaty on the Functioning of the European Union) (რომის ხელშეკრულება) ერთად წარმოადგენს ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ სამართლებრივ საფუძველს.

5 ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას, რომელიც პატივს სცემს ევროკავშირის ფასეულობებს, შეუძლია განაცხადი გააკეთოს ევროკავშირში გაწევრიანებაზე.

შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი და აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა – ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს. ამასთან, ნათქვამია, რომ საქართველო, როგორც აღმოსავლეთ ევროპული ქვეყანა, ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ ღირებულებებით და ხელი შეუწყოს მათ დამკვიდრებას.

შეთანხმებაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ ისტორიული კავშირები და საერთო ღირებულებები.

შეთანხმების როლი კონფლიქტის მოგვარების პროცესში

შეთანხმებაში გამოხატულია სრული პატივისცემა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპების მიმართ და ასევე, აღნიშნულია ევროკავშირის ვალდებულება მხარი დაუჭიროს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.

ამასთან, მითითებულია მხარეთა ვალდებულება, ევროკავშირთან საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად მიღებული სარგებელი გაავრცელონ საქართველოს ყველა მოქალაქეზე, კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებული საზოგადოების ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თავდაპირველი პროექტი არ ითვალისწინებდა ცალკე მუხლს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე და ეს მუხლი გაჩნდა საქართველოს მხრიდან მომლაპარაკებელი დელეგაციის ძალისხმევის შედეგად. შესაბამისად, შეთანხმებაში ჯეროვანი ყურადღება დაეთმო საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს.

შეთანხმებაში მხარეები კიდევ ერთხელ აღნიშნავენ თავიანთ ვალდებულებას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების კუთხით, საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მისი ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემით. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონფლიქტის

შემდგომი რეაბილიტაციისა და შერიგებისადმი მიმართული ძალისხმევის ერთობლივ ხელშეწყობას. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება იქნება, როგორც მხარეთა შორის, ასევე, სხვა შესაბამის საერთაშორისო აქტორებთან, პოლიტიკური დიალოგის ერთ-ერთი მთავარი თემა.

მხარეები აღიარებენ 2008 წლის 12 აგვისტოს ექვს-პუნქტიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისა და მისი შემდგომი საიმპლემენტაციო ზომების[6] სრულად შესრულების, ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებული არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, ყველა იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილებზე უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების და ადგილზე ქმედითი საერთაშორისო ჩართულობის, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირის ჩართულობის მნიშვნელობას.

მხარეები ხელს შეუწყობენ ეტაპობრივ დაახლოვებას საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ჩათვლით. მხარეები აცხადებენ, რომ უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების თავიანთ ტერიტორიაზე განლაგება უნდა მოხდეს მხოლოდ მასპინძელი სახელმწიფოს მკაფიო თანხმობის საფუძველზე, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

მხარეები გააძლიერებენ პრაქტიკულ თანამშრომლობას კონფლიქტის პრევენციისა და კრიზისის მართვის კუთხით, განსაკუთრებით ევროკავშირის სამოქალაქო და სამხედრო კრიზისის მართვის ოპერაციებში, ასევე შესაბამის სწავლებებსა და წვრთნებში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის გათვალისწინებით.

მიგრაცია და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია

საქართველო-ევროკავშირს შორის სავიზო მიმოსვლის გამარტივების შესაძლებლობის თაობაზე პირველად აღნიშნული იქნა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში 2006 წელს (ENP AP).

6 ევროკავშირის განმარტებით, საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) განთავსების თაობაზე ევროკავშირის გადაწყვეტილების საფუძველს სწორედ 2008 წლის 12 აგვისტოს ექვს-პუნქტიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების 8 სექტემბრის საიმპლემენტაციო ღონისძიებები წარმოადგენდა.

ENP AP–ის შესაბამისად ჩამოყალიბდა საქართველო-ევროკავშირის სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის ქვეკომიტეტი, რომლის პირველი სხდომა 2008 წლის 30 აპრილს ბრიუსელში გაიმართა.

2008 წლის 1 სექტემბრის ევროპული საბჭოს საგანგებო სხდომის დასკვნით დოკუმენტში ხაზი გაესვა საქართველოსთან გამარტივებული სავიზო რეჟიმის თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების აუცილებლობას.

2008 წლის 27 ნოემბერს ევროკავშირის სამართლისა და საშინაო საქმეების საბჭომ დაამტკიცა ევროკომისიის მანდატი საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებების დაწყების შესახებ.

2009 წლის 2-3 აპრილს, ბრიუსელში გაიმართა ევროკავშირ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შეთანხმებებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების პირველი რაუნდი.

2010 წლის 17 ივნისს ხელი მოეწერა სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ შეთანხმებას.

2010 წლის 22 ნოემბერს ხელი მოეწერა რეადმისიის შესახებ შეთანხმებას. ორივე შეთანხმება 2011 წლის 1 მარტს შევიდა ძალაში.

2012 წლის 4 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების თაობაზე დიალოგი გაიმართა.

2013 წლის 25 თებერვალს საქართველოს ხელისუფლებას სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა გადაეცა.

2014 წლის 17 ნოემბერს გამოქვეყნდა ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებას საქართველოს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის გეგმის მეორე ფაზაზე გადაყვანის შესახებ.

2015 წლის 18 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის შესახებ ევროკომისიის მეოთხე, საბოლოო ანგარიში[7].

უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას:

7 http://ec.europa.eu/transparency/regdoc/rep/1/2015/EN/1-2015-684-EN-F1-1.PDF

წევრი ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი.

არაწევრი ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია;

კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია;

გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის 2 წევრი ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი და ირლანდია ამ ქვეყნების ვიზის მისაღებად საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ შესაბამის საკონსულო სამსახურებს.

უვიზო რეჟიმი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს ვიზის გარეშე განახორციელონ მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტები (90 დღე ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში). 90 დღის პერიოდით ყოფნის შემდეგ საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს ამ ქვეყნის ტერიტორია. მომდევნო შესვლა შესაძლებელია მომდევნო 90 დღის (ჯამში 180 დღე) პერიოდის გასვლის შემდეგ.

მოკლევადიანი ვიზიტი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით: ტურისტული, ოჯახის წევრების/ახლობლების მონახულება, ბიზნეს-შეხვედრები, მოკლევადიანი სასწავლო და გაცვლითი პროგრამები/ტრეინინგი, კურსები, კულტურულ ან სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, მკურნალობა და სხვა. ნებისმიერი ასეთი ვიზიტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს. უვიზო რეჟიმი არ შეეხება ევროკავშირის/შენგენის წევრ სახელმწიფოებში გრძელვადიან ვიზიტებს განათლების მიღების, მუშაობის ან სხვა მიზნით.

სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ ხელშეკრულება[8] ითვალისწინებს შემდეგ შეღავათებს:

- ყველა განმცხადებლისათვის განახევრდა ვიზის საფასური, რომელიც შეადგენს 35 ევროს. დაკონკრეტდა ოფიციალური მოწვევისათვის საჭირო დოკუმენტები;
- უფრო ფართოდ არის გამოყენებული ხანგრძლივ ვადიანი (1-5 წლამდე) ვიზების გაცემის პრაქტიკა;
- გარკვეულ კატეგორიებზე ვიზები გაიცემა უფასოდ, მათ შორის პენსიონერებზე, ბავშვებზე, ავადმყოფებზე, ახლო ნათესავებზე, მოსწავლეებზე, სტუდენტებზე, სპორტსმენებზე, მეცნიერებზე, კულტურის დარგის წარმომადგენლებზე და ასე შემდეგ;
- დიპლომატიური პასპორტის მფლობელები გათავისუფლებულნი არიან სავიზო ვალდებულებისაგან;
- სავიზო მოთხოვნის განხილვის მაქსიმალური ვადა განისაზღვრა 10 დღით;
- ჩამოყალიბდა საქართველო-ევროკავშირის ერთობლივი კომიტეტი, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულების შესრულებას აკონტროლებს და სადაც საქართველოს საშუალება აქვს უსამართლოდ არგაცემულ ვიზებთან დაკავშირებული საკითხები განიხილოს.

მგზავრობის მიზნის დასადასტურებლად საქართველოს მოქალაქეთა მოცემული კატეგორიებისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

- ➢ ახლო ნათესავებისათვის-მეუღლე, შვილები, აყვანილის ჩათვლით, მშობლები, მეურვეთა ჩათვლით, ბებია-ბაბუები, შვილიშვილები, რომლებიც წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს სტუმრობენ.

  - *წერილობითი თხოვნა მასპინძელი პირისაგან.*
- ➢ ოფიციალური დელეგაციის წევრებისათვის, რომლებმაც საქართველოს სახელზე გაცემული ოფიციალური მოწვევის საფუძველზე მონაწილეობა უნდა მიიღონ შეხვედრებში, კონსულტაციებში, მოლაპარაკებებსა, თუ გაცვლით პროგრამებში, ასევე, შიდასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე გამართულ ღონისძიებებში

8 ხელშეკრულება არ ვრცელდება გაერთიანებულ სამეფოზე, ირლანდიასა და დანიაზე.

- *საქართველოს ხელისუფლების მიერ გაცემული წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ აპლიკანტი არის იმ დელეგაციის წევრი, რომელიც მიემგზავრება წევრ ქვეყანაში აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. წერილს თან უნდა ახლდეს ოფიციალური მოწვევის ასლი.*

➢ მოსაწავლეების, სტუდენტების, ასპირანტების და ასევე მათი თანმხლები მასწავლებლებისათვის, რომლებიც მიემგზავრებიან წევრ ქვეყნებში სასწავლო და საგანმანათლებლო ტრენინგებში, გაცვლით პროგრამებში და სხვა სახის სასწავლო საქმიანობებში მონაწილეობის მისაღებად

- *წერილობითი თხოვნა მასპინძელი უნივერსიტეტის, კოლეჯის ან სკოლისგან, ან ჩარიცხვის დამადასტურებელი მოწმობა, ასევე დასასწრები კურსების სტუდენტური ბარათები, ან სერთიფიკატები.*

➢ სამედიცინო მიზეზებით მგზავრობის მსურველების და მათი თანმხლები პირებისათვის

- *სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სამედიცინო მომსახურების აუცილებლობას აღ-ნიშნულ დაწესებულებაში და თანმხლები პირის საჭიროებას. აღნიშნულ დოკუმენტს თან უნდა ახლდეს სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო სახსრების არსებობის დამადასტურებელი საბუთი.*

➢ ჟურნალისტებისა და პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, მათი თანმხლები, აკრედიტებული პირებისათვის

- *პროფესიული ორგანიზაციის მიერ გაცემული მოწმობა, ან სხვა სახის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ აპლიკანტი არის კვალიფიციური ჟურნალისტი, ხოლო მისი თანმხლები პირი ეხმარება მას პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში. აღნიშნულ დოკუმენტს თან უნდა ახლდეს დამქირავებლის მიერ გაცემული საბუთი, რომელიც ადასტურებს, რომ მგზავრობის მიზეზი ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება, ან დახმარებაა.*

➢ საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეებისათვის და პრო-ფესიული საქმიანობის განხორციელებისას, მათი თანმხლები პირებისათვის

- *წერილობითი თხოვნა მასპინძელი ორგანიზაციის, შესაბამისი სახელი-სუფლებო ორგანოების, სპორტის ეროვნული ფედერაციის , ან წევრი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისგან.*

- ბიზნესმენების და ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის
  - *წერილობითი თხოვნა მასპინძელი იურიდიული პირის, კომპანიის, ან მათი ფილიალებისგან, ორგანიზაციის ან ოფისისაგან; ასევე, წევრი ქვეყნების სახელმწიფო, ან ადგილობრივი ხელისუფლებისგან, ღონისძიების ორგანიზატორი კომიტეტების, წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე გამართული სავაჭრო და სამრეწველო გამოფენების, კონფერენციების და სიმპოზიუმებისგან, რომელიც დამოწმებულია საქართველოს რეგისტრაციის სახელმწიფო პალატის მიერ.*
- საერთაშორისო გამოფენებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებსა და სხვა მსგავს ღონისძებებში მონაწილე პროფესიების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც რეგულარულად მგზავრობენ წევრქვეყნებში
  - *წერილობითი თხოვნა მასპინძელი ორგანიზაციისგან, რომელიც ადასტურებს, რომ აპლიკანტი მონაწილეობას ღებულობს აღნიშნულ ღონისძებაში.*
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც წევრ ქვეყნებში მიემგზავრებიან სასწავლო ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში, ასევე გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად
  - *წერილობითი თხოვნა მასპინძელი ორგანიზაციისგან, რომელიც ადასტურებს, რომ აპლიკანტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელია. წერილობით თხოვნასთან ერთად, წარდგენილი უნდა იყოს შესაბამისი რეესტრიდან სახელმწიფო ორგანოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით გაცემული, ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობა.*
- სამეცნიერო, კულტურულ, სამხატვრო საქმიანობაში, ასევე, საუნივერსიტეტო და სხვა გაცვლითი პროგრამებში მონაწილე პირებისათვის
  - *წერილობითი მოწვევა მასპინძელი ორგანიზაციისგან, ზემოხსენებულ საქმიანობებში მონაწილეობის მისაღებად.*
- მძღოლებისათვის, რომლებიც საქართველოში რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებენ საერთაშორისო ტვირთებისა და მგზავრების ტრანსპორტირების სერვისს წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე

- *ეროვნული კომპანიის, ან საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი, საქართველოს გადამზიდავთა ასოციაციის მიერ გაცემული წერილობითი თხოვნა, რომელშიც მოცემულია მგზავრობის მიზეზი, ხანგრძლივობა და სიხშირე.*

➢ დაძმობილებული ქალაქების მიერ ორგანიზებული ოფიციალური გაცვლითი პროგრამების მონაწილეებისათვის

- *წერილობითი თხოვნა აღნიშნული ქალაქების ადმინისტრაციის უფროსისმერის, ან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისგან.*

➢ სამხედრო და სამოქალაქო სასაფლაოების მონახულებისთვის

- *ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საფლავის არსებობას და ასევე, აპლიკანტსა და გარდაცვლილს შორის ოჯახური, თუ სხვა ურთიერთობის დამადასტურებელ მოწმობა.*

რეადმისიის ხელშეკრულება ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არალეგალური მიგრაცის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერებასა და განმტკიცებას. ასევე, კანონიერ ჩარჩოებში აქცევს არალეგალი მიგრანტების დაბრუნების პროცედურას.

ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველო ვალდებულებას იღებს დაიბრუნოს ყველა ის პირი, რომელიც ევროკავშირის ტერიტორიაზე არალეგალურად იმყოფება იმ პირობით, თუ დამტკიცდა, რომ ეს პირები საქართველოს მოქალაქეები არიან.

საქართველო, ასევე, ვალდებულებას იღებს განახორციელოს ზოგიერთი მესამე ქვეყნის მოქალაქის რეადმისია, მათ შორის:

➢ მესამე ქვეყნის მოქალაქეების, რომლებიც ევროკავშირის სივრცეში პირდაპირ, უკანონოდ, საქართველოს ტერიტორიიდან მოხვდნენ;

➢ საქართველოს საელჩოსათვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის მიერ რეადმისიის შესახებ განაცხადის წარდგენის დროს ფლობდნენ საქართველოს მიერ გაცემულ მოქმედ ვიზას ან ბინადრობის ნებართვას.

რეადმისიის პროცესში ჩართულია ევროკავშირში არსებული საქართველოს ყველა საკონსულო და დეტალურად გაწერილია ყველა ფუნქცია თუ მოვალეობა, რაც ხელს უწყობს უხცოეთში თუნდაც უკანონოდ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვას.

ხელშეკრულებაში ასევე დეტალურად არის გაწერილი რეადმისიის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები და პრინციპები, კერძოდ

- მოქალაქეობის დამამტკიცებელი დოკუმენტაციის ნუსხა;
- მესამე ქვეყნის მოქალაქეობის ან მოქალაქეობის არმქონე პირებთან დაკავშირებული მტკიცებულებების ნუსხა;
- რეადმისიის პროცესის ვადები;
- რეადმისიას დაქვემდებარებული პირების გადაცემისა და ტრანსპორტირების საკითხები;

ვიზის გამარტივების ხელშეკრულებისა და რეადმისიის ხელშეკრულების ფარგლეში შეიქმნა საქართველო-ევროკავშირს შორის ერთობლივი კომიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას და ინფორმაციის რეგულარულ გაცვლას.

სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებათა წარმატებული განხორციელების და ასევე, სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში წარმატებული რეფორმების შედეგად, 2012 წლის 4 ივნისს, საქართველო-ევროკავშირს შორის სავიზო ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგი ოფიციალურად გაიხსნა.

გარდა ამისა, საქართველოს მიერ განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები და რეფორმები, რომელმაც ხელი შეუწყო ევროკავშირთან სავიზო ლიბერალიზაციის პროცესის წარმატებით წარმართვას. შედეგად, 2013 წლის 25 თებერვალს, შინაგან საქმეთა საკითხებში ევროკომისრის სესილია მალსტრომის ვიზიტის დროს საქართველოს მთავრობას გადაეცა ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია საქართველოს მიერ განსახორციელებელი შემდგომი ღონისძიებები ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მიმართულებით სტანდარტული ოთხი ბლოკის მიხედვით (დოკუმენტების უსაფრთხოება; არალეგურალური მიგრაცია; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; საგარეო ურთიერთობები და ადამიანის უფლებები), რომლის წარმატებულად აღსრულების გზით, სამომავლოდ შესაძლებელი გახდება საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე ევროკავშირთან მოლაპარაკებების დაწყება.

ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა შედგება პირველი - საკანონმდებლო და მეორე-საიმპლემენტაციო ფაზებისაგან. ამჟამად საქართველო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის დასკვნით ფაზაშია.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში დამოუკიდებელი პროცესია, რომელიც საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის ფორმატში მიმდინარეობს.

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მიღწევის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ეფექტიანი შესრულება წარმოადგენს. საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელების, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების გავლენის შეფასებისა და შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შემოღებული იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის წევრ, შენგენის სივრცის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი. საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, ხალხთა შორის კონტაქტების გააქტიურების ძირითადი ინსტრუმენტი და ევროკავშირთან შემდგომი დაახლოვების ეფექტური საშუალებაა.

დემოკრატიული რეფორმების განხორციელება

შეთანხმება ითვალისწინებს საქართველო-ევროკავშირის მჭიდრო თანამშრომლობას მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე რეფორმის კუთხით. ამ მიმართულებით განსაზღვრულია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფა, როგორც მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე თანამშრომლობის საფუძველი.

შეთანხმება ადგენს იმ კონკრეტულ სფეროებს, რომლებშიც საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს პროგრესული რეფორმები, ესენია: სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა; მიგრაციის მართვა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა; ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; უკანონო ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის პრევენცია და მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია.

შეთანხმებით ასევე გათვალისწინებულია თანამშრომლობა ორმხრივი სამართლებრივი დახმარების კუთხით. ეს, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს შესაბამის საერთაშორისო აქტებთან მიერთებასა და მათ იმპლემენტაციას, ასევე ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოსთან (EUROJUST) მჭიდრო თანამშრომლობას.

უმცირესობათა უფლებების გათვალისწინება

„ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ მხარეები ვალდებულებას იღებენ შემდგომში გააძლიერონ მხარეთა საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული ძირითადი თავისუფლებების, ადამიანის უფლებების, მათ შორის იმ პირების უფლებების, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს, დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის პატივისცემა.

ადამიანის უფლებების, მათ შორის იმ პირთა უფლებების, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს, პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის პრინციპს და ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას.

შეთანხმების გავლენა დარგობრივი პოლიტიკის სფეროებზე

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ საქართველოს ევროკავშირთან დაახლოვების სამოქმედო გეგმაა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. დარგობრივი პოლიტიკის სფეროებში თანამშრომლობა მიზნად ისახავს საქართველოს ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის სტანდარტებთან. ზოგიერთ თავს აქვს დანართი, სადაც დეტალურად არის გაწერილი კონკრეტულ სფეროში საკანონმდებლო ცვლილებებისა და ინსტიტუციური რეფორმების გატარების ვადები. შეთანხმება ითვალისწინებს თითოეულ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებასა და ევროკავშირის მხრიდან შესაბამისი რეფორმების მხარდაჭერას.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გაფორმება ხელს შეუწყობს:

ეკონომიკური რეფორმების პროცესს და ქმედითი, ფუნქციონირებადი და ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. მხარეები ვალდებულებას იღებენ ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, ექსპერტული მოსაზრებები და დანერგონ საუკეთესო პრაქტიკა ისეთ სფეროებში, როგორიცაა საჯარო ფინანსები, ფინანსური, მონეტარული და სავალუტო სექტორის პოლიტიკა და ეკონომიკური სტატისტიკა.

სახელმწიფო სექტორის შიდა ფინანსური კონტროლისა და გარე აუდიტის განვითარებას. კერძოდ, ერთობლივი პროგრამების შექმნის, ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის, ასევე, პერსონალის გაცვლისა და ტრეინინგის გზით მოხდება ფუნქციონალურად დამოუკიდებელი შიდა აუდიტის მექანიზმის შემუშავება და განვითარება.

საგადასახადო სფეროში ეფექტიანი მმართველობის გაძლიერებას, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების, ვაჭრობის განვითარებისა და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

ეროვნული სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების განვითარებას დროული, საერთაშორისო დონეზე შედარებადი და საიმედო სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის გზით.

ევროკავშირთან სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობის განვითარებას, ევროკავშირის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელებში ჩართვას, საგზაო, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტში ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების დანერგვას.

საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, მათ შორის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოვებას და თანამშრომლობის განვითარებას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი აირისა და ნავთობის მოძიება, მოპოვება და ტრანზიტი, განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტიანობა. ასევე, შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესაძლებლობას.

გარემოს დაცვის სფეროში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას, რაც მიზნად ისახავს უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას. მხარეები ვალდებულებას იღებენ, შეიმუშაონ ბუნების დაცვის ერთობლივი პროგრამები, უზრუნველყონ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და დაიცვან გარემო საწარმოო დაბინძურებისაგან. საკანონმდებლო დაახლოვება განხორციელდება გარემოს დაცვის ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ჰაერისა და წყლის ხარისხი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოს სტრატეგიული შეფასება.

კლიმატური ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თანამშრომლობის გაღრმავებას. ამ მხრივ, საქართველო და ევროკავშირი განავითარებენ ნახშირბადის დაბალი შემცველობის ტექნოლოგიებს და ხელს შეუწყობენ მათ გამოყენებასა და გავრცელებას.

მრეწველობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას, რაც გულისხმობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. შესაბამისად, ევროკავშირის ბაზარზე სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ზრდას და ამ ბაზარზე ქართული სამრეწველო პროდუქციის დამკვიდრებას;

კორპორაციული სამართალის, საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტის და კორპორაციული მმართველობის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბრუნვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ზრდას.

ფინანსური მომსახურების, საბანკო და სადაზღვევო სფეროებში თანამშრომლობის განვითარებას, რაც გულისხმობს ღია საბაზრო ეკონომიკისათვის საჭირო ფინანსური მომსახურების რეგულაციის შემუშავებას, ინვესტორების ეფექტიან და ადექვატურ დაცვას და დამოუკიდებელი და ეფექტიანი ზედამხედველობის მექანიზმის შექმნას.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, ეროვნული მარეგულირებლის დამოუკიდებლობისა და ადმინისტრაციული შესაძ-ლებლობების გაძლიერების უზრუნველსაყოფად. ამასთან, შეთანხმება ასევე ითვალისწინებს, ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პროდუქტისა და

მომსახურების ბაზრების განსაზღვრას, გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის შექმნას და პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კონფიდენციალურობის უფლების უზრუნველყოფას.

ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. დაგეგმილი ღონისძიებები მიზნად ისახავს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდასა და ტურისტული ნაკადის მატებას.

სოფლის მეურნეობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას. ასევე, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებას; სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ევროკავშირის რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად დაგეგმვას, შეფასებასა და იმპლემენტაციას. ამასთან, მოხდება წარმოების მოდერნიზაცია და სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

მეთევზეობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, არსებული რესურსების კონსერვაციის, სწორი მართვის, კონტროლის, მონაცემთა შეგროვების და უკანონო თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ასევე, მხარეები ხელს შეუწყობენ შავი ზღვის რეგიონალურ თანამშრომლობასა და თევზჭერის შესაბამის რეგიონალურ ორგანიზაციებთან ურთიერთობებს.თანამშრომლობის განვითარებას სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიების სფეროში. მხარეები ვალდებულებას იღებენ, განახორციელონ ინტელექტუალური საკუთრების უფლების სათანადო და ეფექტიანი დაცვა, შექმნან ერთობლივი კვლევითი პროგრამები, ჩაატარონ ტრენინგები და გაცვლითი პროგრამები მეცნიერების, მკვლევარებისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი პერსონალისათვის.

მომხმარებელთა უფლებების დაცვას, რაც გულისხმობს: შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწასა და ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტების დანერგვას, საქართველოსა და ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დამცველ დამოუკიდებელ ასოციაციებს შორის კონტაქტების გაღრმავებას, ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას.

დასაქმების, სოციალური დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. საქართველო მოახდენს ეტაპობრივ საკანონმდებლო დაახლოვებას ქვეყანაში ღირსეული შრომის პირობების შესაქმნელად. ამ მიზნით, შემუშავდება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა, სამუშაო უსაფრთხოების ნორმები და ანტიდისკრიმინაციული და სოციალური დაცვის მექანიზმები. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება სოციალური ჩართულობა და გენდერული თანასწორობა.

ჯანდაცვის სისტემის მოდერნიზებას და ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას. კერძოდ, ჯანდაცვის სფეროში რეფორმების გაგრძელებას, ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მაღალი ხარისხის ჯანდაცვის უზრუნველყოფას. საკანონმდებლო დაახლოვება მოხდება ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ადამიანური რესურსების განვითარება, მმართველობისა და დაფინანსების სრულყოფა, ეპიდემიოლოგიური დაკვირვება და გადამდებ დაავადებათა კონტროლი, საგანგებო სიტუაციების მიმართ მზაობა, ხელოვნურ ნივთიერებათა ხარისხი და უსაფრთხოება და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია და კონტროლი.

განათლების ხარისხის ამაღლებას და ამ მიზნით, საკანონმდებლო ჰარმონიზაციას, კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების ერთიანი ჩარჩოს შექმნას და საგანმანათლებლო კრედიტების (ქულების) ევროპული სისტემის შემოღებას.

კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც გულისხმობს კულტურის პოლიტიკის შესახებ დიალოგის წარმოებას, კულტურული მრავალფეროვნების დაცვის ხელშეწყობას, ხელოვნებისა და ხელოვანთა მობილურობის მხარდაჭერას, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და სათანადოდ დაცვას, ქვეყნის სიცოცხლისუნარიანი განვითარების უზრუნველსაყოფად.

აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას, მედიის დამოუკიდებლობის ზრდას, პროფესიონალთა ტრენინგებს,

მხარეებს შორის ინფორმაციის რეგულარულ გაცვლასა და კინოსა და ტელევიზიის სფეროებში თანაწარმოებების წახალისებას.

სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში ევროკავშირის გამოცდილების გაზიარებასა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას. ამ მიზნის განსახორციელებლად, მხარეები ხელს შეუწყობენ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტის სოციალური და საგანმანათლებლო ფასეულობების განვითარებასა და სპორტსმენთა მობილურობას. ასევე, მიიღებენ პრევენციულ ზომებს დოპინგის გამოყენების, სპორტში რასიზმისა და ძალადობის გავრცელების წინააღმდეგ.

ევროკავშირისა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავებას; მხარეები ვალდებულებას იღებენ სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ღია, გამჭირვალე და რეგულარული დიალოგის გზით უზრუნველყონ მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწ-ყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანი მონაწილეობა.

ქმედითი და ეფექტიანი რეგიონალური განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას რეგიონალური განვითარების პროცესში ჩართულ ყველა მხარეს შორის პარტნიორობის კონსოლიდაციისა და თვითმმართველობების გაძლიერების გზით. ასევე, მხარეები შეიმუშავებენ რეგიონალური განვითარების ერთობლივ პროგრამებს.

ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების მართვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. მხარეები ვალდებულებას იღებენ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში უზრუნველყონ კოორდინირებული დახმარება. ასევე, მოახდინონ ინფორმაციის რეგულარული გაცვლა, მათ შორის, საგანგებო სიტუაციების დროს მესამე ქვეყნისათვის გაწეული დახმარებების შესახებ.

საქართველოს მონაწილეობას ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებში, რაც ევროკავშირთან დარგობრივი თანამშრომლობის გაღრმავების ახალ შესაძ-ლებლობებს ქმნის. ევროკავშირის პროგრამებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას რეფორმების განხორციელების პროცესში, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოვებასა და სხვადასხვა სექტორში საუკეთესო ევროპული გამოცდილების გაზიარებას.

ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი საგანია საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემოს ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის ნორმებთან. ენერგეტიკის სექტორში, ასოცირების შეთანხმების ამ პირობის განხორციელების მთავარ მექანიზმად განიხილება საქართველოს გაწევრიანება ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში. კერძოდ, ასოცირების შეთანხმებით ყველა ძირითადი ენერგეტიკული დირექტივის განხორციელება ხდება შემდეგი პირობებით: „საქართველოს მიერ ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების (ეგხ) წევრობაზე მოლაპარაკების ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერთება ეგხ-სთან არ მოხდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის შესახებ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში“. ანუ, დირექტივების განხორციელება ხდება ენერგეტიკული გაერთიანების წევრობაზე მოლაპარაკებების ფარგლებში განსაზღვრულ ვადებში, ხოლო მოლაპარაკებების წარუმატებლობის შემთხვევაში ასოცირების საბჭოსთან შეთანხმებულ ვადებში.

ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება (EC) შეიქმნა 2005 წელს, ათენის ხელშეკრულების საფუძველზე და მიზნად ისახავს მისი წევრი ევროკავშირისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ენერგეტიკული სისტემების ურთიერთდაახლოებას, სტაბილური, ერთიანი მარეგულირებელი სივრცისა და მდგრადი საბაზრო კონიუნქტურის შექმნას ენერგეტიკის სექტორში, ასევე ევროკავშირის ენერგეტიკული, საბაზრო და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გავრცელებას მთლიანად ევროპის და კერძოდ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების ტერიტორიაზე. ამ გაერთიანების წევრები არიან ევროკავშირის და აღმოსავლეთ ევროპის არაწევრი ქვეყნები, მათ შორის, მოლდოვა და უკრაინა, დამკვირვებლები - ნორვეგია, თურქეთი და სომხეთი.

ენერგეტიკული გაერთიანება განიხილება როგორც ევროპის სამეზობლოში ერთიანი გამჭვირვალე ენერგეტიკული ბაზრის და სტაბილური საინვესტიციო გარემოს დამკვიდრების ინსტრუმენტი. საქართველოს ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა ევროკავშირის მიერ თავიდანვე განიხილება, როგორც სტრატეგიული სატრანზიტო პროექტების განხორციელების ერთ- ერთი მნიშვნელოვანი პირობა.

2007 წლიდან საქართველოს დამკვირვებლის სტატუსი აქვს ენერგეტიკულ გაერთიანებაში, 2010 წელს დაიწყო წინასწარი მოლაპარაკებები ევროკომისიასთან ენერგეტიკულ გაერთიანებაში (ეგ) გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ამავე წელს, ბრიუსელში მოეწყო სპეციალურ ენერგეტიკული კონფერენცია, სადაც მოხდა საქართველოს არაოფიციალური მიწვევა ეგ გაწევრიანებაზე. იმავე წლის, ნოემბერში კი ევროკავშირის პრეზიდენტმა მიმართა საქართველოს პრეზიდენტს წინადადებით, რომ საქართველოს ოფიციალური განაცხადი გაეკეთებინა ენერგეტიკული გაერთიანების სრულუფლებიან წევრობაზე. ასეთი განაცხადი საქართველოს მთავრობამ 2013 წლის იანვარში გააკეთა.

2014 წლის თებერვალში, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე დაიწყო მოლაპარაკებები ენერგეტიკულ თანამეგობრობასა და საქართველოს მთავრობას შორის, რომლის მიზანიც იყო 2014 წლის ოქტომბრის ბოლომდე ხელშეკრულების ხელმოწერა. მოლაპარაკებების მიზანს წარმოადგენდა სამოქმედო გეგმისა და გრაფიკის განსაზღვრა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის თვალსაზრისით ევროპულ ენერგო რეგულაციებსა და სხვა შესაბამის გარემოსდაცვით კანონდებლობასთან.

2015 წლის გაზაფხულზე ენერგეტიკის სამინისტროს განცგადებით, განახლდა მოლაპარაკებები ევროკომისიის ენერგეტიკის გენერალურ დირექტორატთან ევროპის ენერგეტიკული ხელშეკრულების ხელმოსაწერად. ევროკომისია იძლევა რეკომენდაციას, რომ ენერგოგაერთიანების ხელშეკრულების გაგრძელება მოხდეს 2016 წლის შემდეგაც.

ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანება, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს გადმოტანა და განხორციელება დააჩქარებს საქართველოში:

- თანამედროვე და კონკურენტუნარიანი ენერგეტიკის სექტორის ჩამოყალიბებას, მის ფინანსურ მდგრადობასა და მომხმარებელთა გაზრდილ უფლებებს (ძლიერი დამოუკიდებელი მარეგულირებელი, გამჭვირვალე და ხარჯზე დაფუძნებული ტარიფი, განცალკევება და ქსელზე ხელმისაწვდომობა);
- გამჭვირვალობის ზრდასა და კორუფციის შემცირებას სექტორში;
- გარე და შიდა ფაქტორების მიმართ ენერგეტიკული სისტემის მდგარდობას;
- ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასა და იმპლემენტაციას;
- მდგრადი, დაბალემისიანი მწვანე ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს მიწოდების უსაფრთხოებას - განახლებადი ენერგიის გამომუშავებისა და ენერგოეფექტურობით ენერგიის მოხმარების შემცირებას;
- ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების შემოდინებას ევროპელი და სხვა ინვესტორებისგან, მათ შორის ევროპის საინვესტიო ბანკიდან, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდას, განსაკუთრებით განახლებადი და ენერგოეფექტურობის სექტორში.
- ითამაშებს მნიშვნელოვან როლს ასოცირების ხელშეკრულების შესრულებაში და ხანგრძლივვადიანი პერსპექტივის თვალთახედვით, ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებას მომავალ პან ევროპულ ენერგობაზარში.

აღსანიშნავია, ისიც რომ „საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შედეგად, ევროკავშირი ვალდებული იქნება, სათანადო რეაგირება მოახდინოს რუსეთის ქმედებებზე ოკუპირებულ რეგიონებში. რუსეთი უკანონო ქმედებებს ახორციელებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (ცხინვალში მილსადენის მშენებლობა, აფხაზეთში კონტიტენტურ შელფზე ნავთობის მოპოვება), რაც საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა. საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შემთხვევაში, უკვე ევროკავშირის უშუალო ვალდებულება ხდება რუსეთთან აღნიშნული საკითხების დასმა და არალეგიტიმური ქმედებების აღმოფხვრა.

ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივიდან გამომდინარე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოკლევადიანი, საშუალო ვადიანი და გრძელვადიანი ენერგოპოლიტიკის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება ასოცირების ხელშეკრულებით აღებული

ვალდებულებების შესრულებისკენ. მნიშვნელოვანია ენერგეტიკის სექტორში რეფორმის თანდმიმდევრული განხორციელება, რომელიც მოიცავს რეფორმის როგორც ეკონომიკურ, ასევე გარემოსდაცვით და სოციალურ პარამეტრებს, როგორც ამას მოითხოვს ევროპის ენერგეტიკული ხელშეკრულება. თითოეული გადაწყვეტილების მიღებისას, მნიშვნელოვანია როგორც ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი თითოეული მოთხოვნისადმი, ასევე ფართო საზოგადოებრივი განხილვები, რაც საშუალებას მოგვცემს კონსენსუსის გზით მივაღწიოთ მდგრადი და უსაფრთხო ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბებას.

პერსპექტივები განათლებისა და მეცნიერების სფეროში

შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს დაახლოვებას ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან განათლებისა და მეცნიერების სფეროში, განსაკუთრებული აქცენტით უმაღლეს განათლებაზე. უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება თანხვედრაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა“ (Modernisation Agenda for Higher Education) და ბოლონიის პროცესთან.

გაძლიერდება თანამშრომლობა აკადემიურ სფეროში, რაც გულისხმობს, როგორც ინსტიტუციური თანამშრომლობის გაზრდას ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, ასევე ევროპული გამოცდილების გაზიარებას კურიკულუმების შემუშავების, უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ადმინისტრირების ახალი მეთოდებისდანერგვისადასხვასაკითხებში,ასევესტუდენტებისადაუნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამების გაზრდასა და პარტნიორი ქვეყნების სტუდენტების მონაწილეობას ერთობლივ სამაგისტრო ხარისხის პროგრამების სრულ ციკლში. შესაბამისად, გაიზრდება ხარისხიანი ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა ქართველი სტუდენტებისთვის ევროპულ სასტიპენდიო და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გზით, რაც ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებას ევროკავშირის საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში.

ამასთან, შეთანხმება ხელმისაწვდომს გახდის ქართველი მეცნიერებისთვის პარტნიორი ქვეყნების შესაბამის პროგრამებს, გაზრდის ქართველ მკვლევართა ჩართულობას ევროკავშირის ჩარჩო კვლევით პროგრამაში, ხელს შეუწყობს ერთობლივი პროექტების განხორციელებას, მკვლევარების გაცვლასა და სხვა.

შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა-სწავლების წახალისებასა და თანამშრომლობას პროფესიული განათლებისა და პროფესიული დარგების განვითარების მიზნით, რაც, ხელს შეუწყობს დასაქმებას.

პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ითვალისწინებს საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის გაღრმავებას საერთო ინტერესთა ყველა სფეროში, საგარეო და უსაფრთხოების საკითხებისა და შიდასახელმწიფოებრიფი რეფორმების ჩათვლით, რაც ხელს შეუწყობს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაძლიერებას, ამბიციური და ინოვაციური გზების მეშვეობით.

შეთანხმების განხორციელების მონიტორინგის მიზნით შეიქმნა ასოცირების საბჭო (მინისტრების დონეზე). „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გამოყენებისა და შესრულების ზედამხედველობისა და მონიტორინგის გარდა, **ასოცირების საბჭო** განიხილავს შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილ ნებისმიერ მნიშვნელოვან და საერთო ინტერესთა სფეროში შემავალ, სხვა ორმხრივ თუ მრავალმხრივ საკითხს. ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხარეებისთვის.

2014 წლის 17 ნოემბერს გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს პირველი სხდომა.

ასოცირების კომიტეტი (მინისტრის მოადგილეების დონეზე) ასოცირების საბჭოს ეხმარება თავისი მოვალეობებისა და ფუნქციების შესრულებაში. ასოცირების კომიტეტი ასევე იკრიბება სპეციალური ფორმით (ე.წ. ვაჭრობის კომიტეტი), რათა განიხილოს ყველა საკითხი, რაც უკავშირდება შეთანხმების ვაჭრობისა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს (DCFTA).

ასოცირების კომიტეტს დაეხმარება სპეციალურად შექმნილი, **თემატური ქვე-კომიტეტები**. ქვეკომიტეტები იკრიბება საჯარო მოხელეების დონეზე და განიხილავს კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თაობაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით, ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ 2015 წელს შეიქმნა **საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი.** საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი უფლებამოსილია ასოცირების საბჭოსგან მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს უფლება აქვს შექმნას საპარლამენტო ასოცირების ქვე-კომიტეტები.

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ მიხედვით, შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებისა და პროცესებში მათი ჩართულობის მიზნით, იქმნება **სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა,** რომელიც წარმოადგენს ფორუმს შეხვედრისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის და შედგება ევროკავშირის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის წევრების ჩათვლით, და საქართველოს მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის წარმომადგენელთა ჩათვლით. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმას მიეწოდება ინფორმაცია ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა უფლებამოსილია ასოცირების საბჭოს წარუდგინოს რეკომენდაციები.

ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი[9] - ევროკავშირის ერთ-ერთი დამხმარე ინსტიტუტია, იგი შედგება 350 წევრისაგან, რომლებიც ეკონომიკისა და სოციალური სფეროს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები არიან. მრავალი საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია ამ კომიტეტის აზრის მოსმენა. გარდა ამისა, კომიტეტს საკუთარი ინიციატივით შეუძლის წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები. ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მეშვეობით თანამეგობრობის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ვაჭრობას, მრეწველობას და პროფესიულ კავშირებს.

9 European Economic and Social Committee - http://www.eesc.europa.eu/

შეთანხმების ამოქმედება და გავრცელების არეალი

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ვრცელდება, ერთის მხრივ, ევროკავშირის ტერიტორიაზე და მეორეს მხრივ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

შეთანხმების გამოყენება საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთი რეგიონებთან მიმართებით, რომლებზეც საქართველოს მთავრობა ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს, დაიწყება მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე უზრუნველყოფს შეთანხმების სრულ იმპლემენტაციას. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ შეთანხმებით მონიჭებული უფლებებით სარგებლობისთვის აუცილებელია შესაბამისი ვალდებულებების შესრულება. შესაბამისად, შეთანხმება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებზე გავრცელდება მაშინ, როდესაც საქართველო შეძლებს შესაბამისი ვალდებულებების შესრულებას ამ ტერიტორიებზეც.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ პარაფირება მოხდა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე 2013 წლის 28-29 ნოემბერს. ტექსტის პარაფირებით, მხარეები შეთანხმდნენ რომ მოლაპარაკებული ტექსტი მათთვის მისაღებია და ტექსტმა აღარ უნდა განიცადოს შინაარსობრივი ცვლილებები. პარაფირების შემდეგ, შეთანხმების ხელმოწერისთვის მოსამზადებლად, შიდა პროცედურების გათვალისწინებით, ევროკავშირის მხარეს დაახლოებით 9-10 თვე დასჭირდა. შესაბამისად, შეთანხმების ხელმოწერა განხორციელდა 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში. 2015 წლის 24 დეკემბერს ბელგიის სამეფოში ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციით დასრულდა 28 წევრი ქვეყნის მიერ შეთანხმების რატიფიცირების პროცესი და ასოცირებს შესახებ შეთანხმება ძალაში შევიდა სრულად.

შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, მის ძალაში სრულად შესვლამდე, მიმდინარეობდა ევროკავშირის კომპეტენციის საკითხების დროებითი გამოყენება (provisional application). დროებითი გამოყენება შეეხება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ნაწილს (საქონლით და მომსახურებით ვაჭრობა, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ნორმები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, კონკურენციის

პოლიტიკა და სხვა) ასევე, დარგობრივი თანამშრომლობის თავების უმრავლესობას (მაგ., ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა და სხვა) და შეთანხმების რამდენიმე სხვა მუხლს (მათ შორის ინსტიტუციურ დებულებებს, რაც ითვალისწინებს საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ინსტიტუტების გაძლიერებას). საერთო ჯამში, ძალაში სრულად შესვლამდე, შეთანხმების გარკვეული ნაწილი ამოქმედდა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება, 431-ე მუხლის შესაბამისად, ძალაში სრულად შევა ბოლო რატიფიკაციის ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან მეორე თვის პირველ დღეს. რატიფიკაციის ან დამტკიცების სიგელების დეპონირება მოხდება ევროკავშირის საბჭოს გენერალურ სამდივნოში.

ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან სრულად კარგავს ძალას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება.

ასოცირების დღის წესრიგი

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის (Association Agenda) მიზანია „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ განხორციელებისთვის მომზადებისა და მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა. ასოცირების დღის წესრიგი წარმოადგენს „ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას და სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტი არ არის.

ევროკავშირმა და საქართველომ 2014 წლის 26 ივნისს ასოცირების შესახებ დღის წესრიგი მიიღეს, რომელიც 2014-2016 წლებისთვის პრიორიტეტებს ადგენს ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მომზადების თვალსაზრისით.

ასოცირების შესახებ დღის წესრიგმა, რომელიც ბრიუსელში 27 ივნისს საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის წინა დღეს იქნა მიღებული, ჩაანაცვლა 2006 წლის ევროკავშირი-საქართველოს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა; ის ქმნის განახლებულ ჩარჩოს ევროკავშირსა და საქართველოს შორის პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მისაღწევად.

ასოცირების დღის წესრიგი ძირითადად, მიჰყვება ასოცირების შეთანხმების სტრუქტურას. მასში მოცემული პრიორიტეტები შესაძლოა, პირობითად სამ ნაწილად დაიყოს:

- პოლიტიკური თანამშრომლობის პრიორიტეტები, რაც გულისხმობს პოლიტიკური დიალოგისა და დემოკრატიული რეფორმების გაგრძელებას; საგარეო და უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავებას;კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას; მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის გაგრძელებას.
- ვაჭრობისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული პრიორიტეტები, რაც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცესთან დაკავშირებულ რეფორმებს და თანამშრომლობას მთელ რიგ სფეროებში, როგორიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა.
- ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის პრიორიტეტები, რომელიც ეხება ეკონომიკისა და დარგობრივი პოლიტიკის სფეროებში საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

ასოცირების დღის წესრიგის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები მხარეთა შორის განიხილება საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ინსტიტუტებში, როგორიც არის საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭო.

ასოცირების დღის წესრიგის გასაკონტროლებლად საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭო მინიმუმ წელიწადში ერთხელ უნდა შეიკრიბოს. ევროკავშირი საქართველოში მონიტორინგის მისიებს არასამთავრობო ორგანიზაციების, ზედამხედველობის ორგანოებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით განახორციელებს.

ამ ეტაპზე ასოცირების დღის წესრიგში 2014-2016 სამოქმედო ღონისძიებებია გაწერილი. დოკუმენტში ცვლილებები შესაძლოა, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ნებისმიერ დროს შევიდეს. დოკუმენტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე გადაწყვეტილებას ასევე ასოცირების საბჭო იღებს.

ასოცირების დღის წესრიგის მოქმედების ვადა შეწყდება, მხარეთა გადაწყვეტილებით, საქართველო-ევროკავშირთან თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლის შემდგომ.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება

შეთანხმების არსი

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. DCFTA ძალაშია 2014 წლის 1 სექტემბრიდან.

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას, ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლალი კომპონენტიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს და ითვალისწინებს ამ კუთხით საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

საკანონმდებლო დაახლოების შედეგად შესაძლებელი გახდება არასატარიფო ბარიერების გადალახვა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტად ზღუდავს ვაჭრობას, ვიდრე ტარიფები. არასატარიფო ბარიერი, ძირითადად, არის პროდუქციის უვნებლობისა და უსაფრთხოების მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქტი იმისათვის, რომ შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე.

DCFTA მოიცავს შემდეგ თავებს:

- საქონლით ვაჭრობა
- ვაჭრობაში დაცვითი ზომები
- ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები
- საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა
- დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია
- მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა

- საჯარო შესყიდვები
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები
- კონკურენცია
- ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში
- გამჭვირვალობა
- ვაჭრობა და მდგრადი განვითარება
- დავების მოგვარება
- დაახლოების ზოგადი დებულებები

შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების წინა მოსამზადებელი პერიოდი

DCFTA-ის მოლაპარაკებებისათვის მომზადების პროცესი დაიწყო 2009 წელს. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყებისათვის მომზადების პროცესს საფუძველი დაუდო ევროკომისიის ფაქტების შემსწავლელი მისიის (Commission services' fact-finding trade mission) ვიზიტმა თბილისში, 2008 წლის 13-14 ოქტომბერს.

აღნიშნული ვიზიტის შედეგად, 2009 წლის მარტში ევროკომისიამ საქართველოს მთავრობას წარუდგინა რეკომენდაციები სხვადასხვა სფეროში განსახორციელებელი რეფორმების შესახებ (EU Commission's Recommendations Regarding Georgia's Preparedness for the DCFTA Negotiations).

რეკომენდაციების მიხედვით მოლაპარაკებების დაწყებისათვის ევროკომისიის მიერ პრიორიტეტულად დასახელდა შემდეგი 4 სფერო: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები (სურსათის უვნებლობა), ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და კონკურენცია.

აღნიშნულ სფეროებში (ინტელექტუალური საკუთრების ულებების გარდა), ევროკომისიის მოთხოვნის თანახმად საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ყოვლისმომცველი სტრატეგიები:

- სურსათის უვნებლობის სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა;
- სტრატეგია სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში და შესაბამისი პროგრამა;
- კონკურენციის პოლიტიკის სტრატეგია.

ინტელექტუალური საკუთრების ულებების დაცვის კუთხით გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით განხორციელებულ იქნა კვლევა ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელყოფასა და პირატულ მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოში.

მოლაპარაკებების დაწყებამდე საქართველოს მთავრობამ ასევე მიიღო სამრეწველო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგია.

DCFTA-ზე მოლაპარაკების პროცესი

DCFTA-ზე მოლაპარაკებების პროცესი ოფიციალურად გაიხსნა 2011 წლის დეკემბერში. მოლაპარაკებების ფარგლებში გაიმართა 6 რაუნდი და ათეულობით ვიდეო-კონფერენცია. მოლაპარაკებები დასრულდა 2013 წლის ივლისში. მოლაპარაკებების პროცესში ჩართული იყო საქართველოს ყველა შესაბამისი სამინისტრო და უწყება, ხელმძღვანელი პირებისა და ექსპერტების დონეზე.

ასოცირების შეთანხმების პარაფირება (მხარეთა დელეგაციების ხელმძღვანელების მიერ შეთანხმების თითოეულ გვერდზე ინიციალების დასმით, მოლაპარაკებული ტექსტის დადასტურება) მოხდა 2013 წლის 28-29 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის ფარგლებში.

2014 წლის 27 ივნისს, ქალაქ ბრიუსელში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას. ხოლო შეთანხმების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 2014 წლის 18 ივლისს.

2014 წლის 1 სექტემბრიდან, დაიწყო შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებების, მათ შორის DCFTA-ს ამოქმედება. ამასთან, ასოცირების შესახებ შეთანხმების დანარჩენი ნაწილი ევროკავშირის მხრიდან ამოქმედდება ევრო-კავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტების მიერ რატიფიცირების შემდეგ.

საქართველოს მთავრობის მიზანია ევროკავშირის ბაზარზე ინტეგრაცია, რისი წინაპირობაცაა DCFTA-ის იმპლემენტაცია. DCFTA-ის წარმატებით განხორციელების მიზნით, 2014 წლის 28 ივლისს, დამტკიცდა 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგენილია უწყებების მიერ მოწოდებული განსახორციელებელი ღონისძიებების საფუძველზე.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014 - 2017 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით მომზადდა 2014 და 2015 წლის ანგარიში.

მომზადების პროცესშია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ნაწილთან დაკავშირებულ 2016 წლის სამოქმედო გეგმას.

DCFTA-სთან დაკავშირებული საკითხები

საქონლით ვაჭრობა (ტარიფები)

შეთანხმების მიხედვით, არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, დააწესოს ან შეინარჩუნოს საბაჟო ან სხვა ეკვივალენტური გადასახადი საქონლის ექსპორტზე; ხოლო რაც შეეხება იმპორტს, განსაზღვრულია ქვემოთ მოცემული პირობები:

- **იმპორტი საქართველოში**
  შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე (2014 წლის 1 სექტემბრიდან) ევროკავშირში წარმოშობილი საქონლის იმპორტზე საქართველოში საბაჟო გადასახადი გაუქმდა.
- **იმპორტი ევროკავშირში**
  აღსანიშნავია, რომ DCFTA-ის მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (ნიორი - კვოტის ფარგლებში) გარკვეული პირობების (სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტები) დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე.

საქართველოდან ევროკავშირში იმპორტირებული პროდუქციის ნაწილზე განსაზღვრულია შემდეგი ღონისძიებები:

- **ევროკავშირში „შესვლის ფასი“**

  28 სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე (მთლიანი პროდუქციის 0.3%), იმოქმედებს ევროკავშირში „შესვლის ფასი“, რაც გულისხმობს ამ პროდუქტების იმპორტზე მინიმალური ფასის ზღვრის დადგენას. პროდუქტების ჩამონათვალი იხილეთ ცხრილში.

N	CN კოდი 2012	პროდუქციის აღწერა
1	0702 00 00	პომიდორი, ახალი ან გაცივებული
2	0707 00 05	კიტრი, ახალი ან გაცივებული
3	0709 91 00	არტიშოკი, ახალი ან გაცივებული
4	0709 93 10	ყაბაყი, ახალი ან გაცივებული
5	0805 10 20	ფორთოხალი ტკბილი, ახალი
6	0805 20 10	კლემენტინები
7	0805 20 30	მონრეალი და სატსუმა
8	0805 20 50	მანდარინები და ვილკინგები
9	0805 20 70	მანდარინები
10	0805 20 90	ტანჟელოები, ortaniques და malaquinas ციტრუსის ჰიბრიდები (გარდა კლემენტიების, მონრეალების, სატსუმების, მანდარინის, ვიკლინგებისა და ტანჟენიტებისა)
11	0805 50 10	ლიმონი (Citrus limon, Citrus limonum)
12	0806 10 10	სუფრის ჯიშების ყურძენი, ახალი
13	0808 10 80	ვაშლი, ახალი (გარდა სიდრის გადასამუშავებლად ვარგისი ვაშლის ჯიშისა, დიდი პარტიებით, 16 სექტემბრიდან 15 დეკემბრამდე)
14	0808 30 90	მსხალი, ახალი Pears, fresh (გარდა სიდრის გადასამუშავებლად ვარგისი მსხლის ჯიშისა, დიდი პარტიებით, 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე)
15	0809 10 00	გარგარი, ახალი
16	0809 21 00	მჟავე ალუბალი (Prunus cerasus), ახალი
17	0809 29 00	ბალი (ალუბლის გარდა), ახალი
18	0809 30 10	ნექტარინები, ახალი
19	0809 30 90	ატამი (ნექტარინების გარდა), ახალი
20	0809 40 05	ქლიავი, ახალი
21	2009 61 10	ყურძნის წვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის გრადუსით არაუმეტეს 30-სა 20°C-ზე, 100 კგ-ზე 18 ევროზე მეტი ღირებულებით, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა სპირტის შემცველობით)

22	2009 69 19	ყურძნის წვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის გრადუსით 67-ზე მეტი 20°C-ზე, 100 კგ-ზე 22 ევროზე მეტი ღირებულებით, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა სპირტის შემცველობით)
23	2009 69 51	ყურძნის წვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის გრადუსით 30-ზე მეტი 20°C-ზე, 100 კგ-ზე 18 ევროზე მეტი ღირებულებით, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა სპირტის შემცველობით)
24	2009 69 59	ყურძნის წვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის გრადუსით 30-ზე ნაკლები, მაგრამ არანაკლებ 67-სა 20°C-ზე, 100 კგ-ზე 18 ევროზე მეტი ღირებულებით, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებებისდამატებით ან მათ გარეშე (გარდა კონცენტრირებულისა და სპირტის შემცველობით)
25	2204 30 92	ყურძნის ტკბილი, დაუდუღებელი, კონცენტრირებული 22-ე თავის მე-7 დამატებითი შენიშვნის შესაბამისად, სიმკვრივით 1,33 გ/სმ3 ან ნაკლები 200 C ტემპერატურაზე და სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით < = 1 მოც.%-ისა, მაგრამ > 0,5% -ზე, (გარდა ყურძნის ტკბილისა, რომლის დუღილი შეჩერებულ იქნა დუღილის პროცესში სპირტის დამატებით)
26	2204 30 94	ყურძნის ტკბილი, დაუდუღებელი, არაკონცენტრირებული, სიმკვრივით 1,33 გ/სმ3 ან ნაკლები 200 C ტემპერატურაზე და სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით < = 1%-ისა, მაგრამ > 0,5მოც.%-ზე (გარდა ყურძნის ტკბილისა, რომლის დუღილი შეჩერებულ იქნა დუღილის პროცესში სპირტის დამატებით)
27	2204 30 96	ყურძნის ტკბილი, დაუდუღებელი, კონცენტრირებული 22-ე თავის მე-7 დამატებითი შენიშვნის შესაბამისად, სიმკვრივით 1,33 გ/სმ3-ზე მეტი 200 C ტემპერატურაზე და სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით < = 1მოც.%-ისა და > 0,5%-ზე (გარდა ყურძნის ტკბილისა, რომლის დუღილი შეჩერებულ იქნა დუღილის პროცესში სპირტის დამატებით)
28	2204 30 98	ყურძნის ტკბილი, დაუდუღებელი, არაკონცენტრირებული, სიმკვრივით 1,33 გ/სმ3-ზე მეტი 200 C ტემპერატურაზე და სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით <= 1მოც.%-ისა, მაგრამ > 0,5მოც.%-ზე ნაკლები (გარდა ყურძნის ტკბილისა, რომლის დუღილი შეჩერებულ იქნა დუღილის პროცესში სპირტის დამატებით)

შესვლის ფასი შედგება 2 კომპონენტისაგან: **ადვალორული (პროცენტული)** საბაჟო გადასახადი და **სპეციფიკური (ფიქსირებული)** საბაჟო გადასახადი.

შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე ადვალორული საბაჟო გადასახადი გაუქმდა და დარჩა მხოლოდ სპეციფიკური საბაჟო გადასახადი, რომელიც მიბმულია პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე განთავსების ღირებულებასთან.

თუ საქართველოში წარმოშობილი პროდუქციის ევროკავშირში ბაზარზე განთავსების ღირებულება ევროკავშირის მიერ დადგენილ ფასზე დაბალი იქნება, იმპორტიორი გადაიხდის სპეციფიკურ საბაჟო გადასახადს, ხოლო თუ თანაბარი ან უფრო მაღალი იქნება, პროდუქცია „შესვლის ფასი"-სგან გათავისუფლდება.

- **გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი**

სოფლის მეურნეობის პროდუქციის 277 სახეობა (მთლიანი პროდუქციის 3%) ექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს. ცხრილში იხილეთ პროდუქტების დეტალური სია.

N	**პროდუქციის კატეგორია**	**ზღვრული დონე ტონებში**
1	საქონლის, ღორის და ცხვრის ხორცი	4 400
2	ფრინველის ხორცი	550
3	რძის ნაწარმი	1 650
4	კვერცხი ნაჭუჭით	6 600
5	კვერცხები და ალბუმინები	330
6	სოკოები	220
7	მარცვლოვანები	200 000
8	ალაო და ხორბლის წებოვანა	330
9	სახამებლები	550
10	შაქარი	8 000
11	ანაცერი, ქატო და სხვა ნარჩენები	2 200
12	ტკბილი სიმინდი	1 500
13	შაქარი დამუშავებული	6 000
14	გადამუშავებული მარცვლეული	3 300
15	სიგარეტები	500

დანართში ჩამოთვლილ პროდუქციაზე შეთანხმებაში მოცემულია წლიური ფიქსირებული რაოდენობები. ეს არ არის კვოტა, რადგან კვოტისგან განსხვავებით, მათი გაზრდა მარტივად შეიძლება შემდეგი მექანიზმით: როდესაც კალენდარული წლის დასაწყისიდან გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს დაქვემდებარებული ერთი ან მეტი პროდუქტის იმპორტი მიაღწევს შეთანხმებაში მითითებული რაოდენობის 70%-ს, ევროკავშირი ატყობინებს საქართველოს აღნიშნულის შესახებ. საქართველოს აქვს შესაძლებლობა, ევროკავშირს წარუდგინოს (მაგ. წარმოების მოცულობის გაზრდის, უხვმოსავლიანობისა და ა.შ.) დასაბუთება, წლის განმავლობაში იმპორტის ფიქსირებული რაოდენობის შესაძლო გადაჭარბების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს შეუძლია განახორციელოს გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობის პროდუქციის იმპორტი ევროკავშირში საბაჟო გადასახადის გარეშე.

- **სატარიფო კვოტა**

  სატარიფო კვოტა (საბაჟო გადასახადის გაუქმება ფიქსირებული რაოდენობის ფარგლებში) დაწესებულია მხოლოდ ნიორზე 220 ტონის ოდენობით. კალენდარული წლის განმავლობაში აღნიშნული რაოდენობის ფარგლებში საქართველოში წარმოშობილი ნივრის იმპორტი ევროკავშირში განხორციელდება საბაჟო გადასახადის გარეშე. თუ წლის განმავლობაში ნივრის იმპორტი გადააჭარბებს 220 ტონას, გადაჭარბებული რაოდენობა დაიბეგრება საბაჟო გადასახადით.

<u>საქონლის წარმოშობის წესები</u>

იმისათვის, რომ საქონელმა ისარგებლოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით, მან უნდა დააკმაყოფილოს საქონლის წარმოშობის კრიტერიუმები, რომელიც განისაზღვრება შეთანხმებაზე თანდართული ოქმით.

ეს კრიტერიუმები მოიცავს როგორც საქონლის დამუშავების აუცილებელ მინიმალურ პირობებს, ისე საქონლის წარმოებისთვის აუცილებელი მასალის ზღვრულ რაოდენობას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საქონელი ქვეყანაში წარმოშობილი პროდუქციის სტატუსის მოსაპოვებლად. მაგალითად, თუ საქართველოში შემოვიტანთ კომპიუტერის ყველა დეტალს და ავაწყობთ კომპიუტერს, ეს კომპიუტერი არ ჩაითვლება საქართველოში წარმოებულად და, შესაბამისად, ევროკავშირში ექსპორტისას ვერ ისარგებლებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით.

საქონლის წარმოშობა დგინდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

მთლიანად ქვეყანაში წარმოებული საქონელი - მაგალითად, ქვეყანაში მოყვანილი ან შეგროვებული ბოსტნეული ან ხილი, ქვეყანაში გაჩენილი და გაზრდილი ცოცხალი ცხოველები, ქვეყანაში მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული.

სასაქონლო პოზიციის (HS Code) პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილება - ამ კრიტერიუმის თანახმად, დაუშვებელია საექსპორტო პროდუქციის წარმოებაში პირველ ოთხნიშნა დონეზე მსგავსი იმპორტირებული მასალების გამოყენება. მაგალითად, იმისათვის, რომ ქვევრმა, რომლის კოდიც არის 6909, დააკმაყოფილოს წარმოშობის კრიტერიუმი, მის წარმოებაში არ უნდა იყოს გამოყენებული 6909 კოდში შემავალი იმპორტირებული კერამიკული მასალები.

ადვალური (ღირებულებითი) წილი - ეს კრიტერიუმი განსაზღვრავს საბოლოო პროდუქციაში იმპორტირებული მასალების ხვედრით წილს. მაგალითად, იმისათვის, რომ კონდიციონერი ჩაითვალოს საქართველოში წარმოშობილად, მის წარმოებაში დასაშვებია იმპორტირებული მასალების გამოყენება, რომელთა ღირებულება არ აღემატება საბოლოო პროდუქციის ფრანკო-ქარხნის (EXW) ფასის 40%-ს.

აუცილებელი პირობები, საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციები - ამ კრიტერიუმის თანახმად, პროდუქციის წარმოების პროცესში იმპორტირებულ მასალაზე აუცილებლად უნდა განხორციელდეს გარკვეული ტექნოლოგიური ოპერაცია. მაგალითად, დახერხილი ან დაპობილი ხე-ტყის მასალა საქართველოში წარმოშობილად რომ ჩაითვალოს, მასზე უნდა განხორციელდეს შემდეგი ოპერაციები - გარანდვა, გახეხვა ან ტორსული შეერთება. აღნიშნული პირობა არ გამორიცხავს სხვა ოპერაციების შესრულებასაც. მაგალითად, ზემოთ აღწერილი ოპერაციების შესრულების შემდეგ ხე-ტყის მასალის შეღებვა არ გამოიწვევს წარმოშობის კრიტერიუმის მოთხოვნების დარღვევას.

აღსანიშნავია, რომ პროდუქციისათვის წარმოშობის სტატუსის მისანიჭებლად შესაძლებელია მოთხოვნილი იყოს ერთი ან ერთდროულად რამდენიმე კრიტერიუმის დაკმაყოფილება. თითოეულ პროდუქციაზე (სასაქონლო კოდის მიხედვით) წარმოშობის წესები აღწერილია შეთანხმების ოქმში.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ **ქვემოთ მოცემული ოპერაციები არ გაითვალისწინება საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრისას,** მიუხედავად იმისა, დაკმაყოფილებულია თუ არა საქონლის წარმოშობის კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი მაინც:

- კონსერვირების ოპერაციები ტრანსპორტირების და შენახვის დროს;
- ფუთების დაშლა და აწყობა;
- რეცხვა, წმენდა; მტვრის, მუავის, ზეთის, საღებავის მოცილება;
- ქსოვილის უთოობა ან პრესვა;
- ღებვისა და გაპრიალების მარტივი ოპერაციები;
- მარცვლეულისა და ბრინჯის გარჩევა, გაუფერულება, გაპრიალება;
- შაქრის ღებვის ან შაქრის ნატეხების დამზადების ოპერაციები;
- ხილის, თხილის და ბოსტნეულის თლა, კურკის გამოცლა და ნაჭუჭის მოცილება;
- თლა, მარტივი ფქვა ან მარტივი ჭრა;
- ცრა, გაცხრილვა, გადარჩევა, კლასიფიცირება, დაჯგუფება, მისადაგება;
- შეფუთვის მარტივი ოპერაციები;
- შტამპების, იარლიყების, ლოგოების მიმაგრება ან ბეჭდვა პროდუქციაზე;
- პროდუქციის მარტივი შერევა;
- შაქრის შერევა ნებისმიერ მასალასთან;
- ნაკეთობის აწყობა ან პროდუქციის დაშლა ნაწილებად;
- ზემოთ მოცემული ორი ან მეტი ოპერაციის კომბინირება;
- ცხოველების დაკვლა.

ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში

შეთანხმების ეს ნაწილი ითვალისწინებს საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, მეტროლოგიის, ბაზრის ზედამხედველობის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სისტემების დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის სისტემებთან, რაც თავის მხრივ, გულისხმობს როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციონალურ დაახლოებას.

შეთანხმებაში მოცემულია კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოების როგორც ჰორიზონტალური, ასევე სექტორული პრიორიტეტები. ჰორიზონტალურ კანონმდებლობასთან დაახლოება მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილი სფეროების მოწყობის, ფუნქციონირების ზოგადი პრინციპების მიახლოებას საქართველოს

კანონმდებლობასთან, ხოლო სექტორულ კანონმდებლობასთან დაახლოება გულისხმობს ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების დაახლოებას საქართველოს კანონმდებლობასთან. აღნიშნული დირექტივები ეხება სამრეწველო პროდუქციას და მოიცავს 21 ევროპულ დირექტივას.

ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის შეტანისათვის მეწარმემ უნდა გამოიყენოს ევროპული ან/და საერთაშორისო სტანდარტი, რაც არის ნებაყოფლობითი და უზრუნველყოფს მისი პროდუქტის ან მომსახურების უსაფრთხოებას, ხარისხს და შესაბამისად, კონკურენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ მეწარმეებმა პროდუქტის ან სერვისის წარმოებაში გამოიყენონ მეტროლოგია, რაც უზრუნ-ველყოფს პროდუქტის შექმნის პროცესში გამოსაყენებელი მანქანა-დანადგარებისა და სხვა ხელსაწყოების დაკალიბრებასა და დამოწმებას.

მას მერე, რაც მეწარმე მეტროლოგიურად დაკალიბრებული ან დამოწმებული ხელსაწყოებით და საერთაშორისო ან ევროპული სტანდარტის შესაბამისად აწარმოებს პროდუქტს ევროპის ბაზარისათვის, მას დასჭირდება შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ წარმოებული პროდუქტი შეესაბამება მეწარმის მიერ გამოყენებულ სტანდარტს.

მნიშვნელოვანია, რომ სერტიფიკაციის ორგანო, რომელიც გასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს, აკრედიტირებული იყოს ევროკავშირის რომელიმე წევრი ქვეყნის ან საერთაშორისოდ აღიარებული აკრედიტაციის ორგანოს მიერ, რათა ეს სერიფიკატი აღიარებულ იქნას ევროკავშირის ნებისმიერი წევრი ქვეყნის მიერ.

იმისათვის, რომ ქართველი მეწარმეებისათვის ევროკავშირის ქვეყნებში პროდუქტის ან და მომსახურების ექსპორტი კიდევ უფრო გამარტივდეს, საჭიროა საქართველოს აკრედიტაციის სისტემის აღიარება ევროკავშირის მიერ.

აღნიშნული მნიშვნელოვნად გააიაფებს ისეთი სერტიფიკატის გაცემას საქართველოში, რომელიც აღიარებული იქნება ევროკავშირის მიერ.

საქართველოს აკრედიტაციის სისტემის ევროკავშირის მიერ აღიარებისათვის განსაზღვრულია გარკვეული ევროპული დირექტივების დანერგვა, რაც ხორციელდება ეტაპობრივად.

სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები (სურსათის უვნებლობა)

შეთანხმება გულისხმობს სანიტარიულ და ფიტოსანიტარულ ღონისძიებებს დაქვემდებარებული პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობას. იმისათვის, რომ ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე, მან უნდა დააკმაყოფილოს სურსათის უვნებლობის შესაბამისი მოთხოვნები. დაბალი რისკის სურსათი (მაგალითად, სხვადასხვა სახის ხილი და ბოსტნეული) შედარებით უფრო მარტივად შევა ევროკავშირის ბაზარზე, ვიდრე მაღალი რისკის (მაგალითად, ხორცისა და რძის პროდუქტები) სურსათი.

გადამუშავებული და მაღალი რისკის სურსათის ევროკავშირის ბაზარზე გატანისათვის უნდა დაკმაყოფილდეს სამი მთავარი მოთხოვნა:

- პროდუქტის შიგთავსი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მოთხოვნებს;
- ექსპორტის მსურველს აწყობილი უნდა ჰქონდეს პროდუქტის შესახებ ინფორმაციათა მთელი ჯაჭვი და აწარმოებდეს შესაბამის ლაბორატორიულ ანალიზებს საკუთარი პროდუქტის უვნებლობის დასადგენად;
- საქართველოში უნდა არსებობდეს ევროკავშირში არსებული კონტროლის მექანიზმის (ინსპექტირება, ზედამხედველობა, მონიტორინგი და ა.შ) მსგავსი სისტემა.

აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ქვეყანამ განახორციელოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირთან, რასაც ითვალისწინებს DCFTA.

შეთანხმების თანახმად, ევროკავშირში ექსპორტის მიზნით შესაძლებელია განხორციელდეს ცალკეული სექტორის, ქვესექტორის, საქონლის ან საქონლის ჯგუფისათვის ინდივიდუალური ღონისძიების ან ღონისძიებების ჯგუფის ეკვივალენტობის დადგენა.

აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია საწარმოებმა ინდივიდუალურად მოიპოვონ (და არ დაელოდონ მთლიანი სექტორის ეკვივალენტობის აღიარებას) ევროკავშირში მაღალი რისკის სურსათის ექსპორტის უფლება.

მნიშვნელოვანია, რომ ეკვივალენტობის აღიარების შედეგად, მეწარმე არა მხოლოდ შეიტანს გარკვეულ პროდუქტს ევროკავშირის ბაზარზე, არამედ ეს გამოიწვევს ფიზიკური შემოწმების შემცირებას საზღვარზე, ასევე პროდუქტის გაყიდვამდე განსაზღვრული პროცედურების გამარტივებას.

საბაჟო ადმინისტრირება და ვაჭრობის ხელშეწყობა

შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს საბაჟო რეგულაციების დაახლოებას ევროკავშირის პროგრესულ რეგულაციებთან. განხორციელდება მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის, რაც ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირს შორის ექსპორტ/იმპორტის პროცედურების გამარტივებას.

საკანონმდებლო დაახლოების პროცესი კერძო სექტორს მისცემს საშუალებას, მინიმუმამდე შეამციროს საქართველოსა და ევროკავშირის სხვადასხვა სამართლებრივი ვალდებულებების შესრულების შედეგად დანახარჯების ოდენობა საქონლის იმპორტ-ექსპორტისას.

დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია

შეთანხმების მიხედვით, საქართველო ღებულობს ევროკავშირის ბაზარზე იმაზე უკეთეს დაშვებას, ვიდრე განსაზღვრულია ევროკავშირის ვალდებულებებით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (WTO+).

შედეგად, შეთანხმების ამოქმედების შემდეგ მნიშვნელოვნად გამარტივდება საქართველოდან მომსახურების ექსპორტი ევროკავშირში. მომსახურების სფეროს ქართულ კომპანიებს მიეცემათ საშუალება:

- დააფუძნონ ფილიალები ევროკავშირის ქვეყნებში და მათი საშუალებით მიაწოდონ მომსახურება ევროპელ მომხმარებელს;
- თავიანთ ევროპულ ფილიალებში დაასაქმონ ქართველი მენეჯერები, სპეციალისტები თუ გაატარონ პრაქტიკა თავიანთ თანამშრომლებს;
- გაუშვან თავიანთი გაყიდვების წარმომადგენლები ევროკავშირში, პროდუქციის გაყიდვის მიზნით მოლაპარაკებების საწარმოებლად;
- მიაწოდონ მომსახურება ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან, ევროკავშირში ფილიალების გახსნის გარეშე.

ქართველ სპეციალისტებს, ინდივიდუალურად თუ კომპანიებს შორის გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე, მიეცემათ საშუალება გასწიონ მომსახურება ევროკავშირში.

შეთანხმება ასევე მოიცავს პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმებს. ამის შემდეგ მნიშვნელოვნად გაადვილდება ქართველი სპეციალისტების მიერ მომსახურების გაწევა ევროკავშირის ქვეყნებში.

მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა

მოცემული შეთანხმებით მხარეები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება, მათ შორის მოგების რეპატრიაცია და პირდაპირი ინვესტიციები. შეთანხმება ასევე ითვალისწინებს მხარეების მიერ დაცვითი ზომების გამოყენებას, იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა საფრთხეს უქმნის ქვეყნის საგადასახდელო ბალანსს.

საჯარო შესყიდვები

შეთანხმება ითვალისწინებს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების ბაზრების ორმხრივ და თანმიმდევრულ გახსნას. დღეისათვის ქართულ კომპანიებს არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერებში. ევროკავშირის შესაბამისი ბაზრის გახსნა ქართული კომპანიებისათვის მოხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიის შემდეგ ეტაპობრივად და თანმიმდევრულად.

ბაზრის ეტაპობრივი და თანმიმდევრული გახსნა დაკავშირებულია საკანონმდებლო დაახლოებასთან. სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმება მოიცავს დანართს, სადაც გაწერილია კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოებისა და, შესაბამისად, ბაზრის გახსნის ეტაპები და ვადები.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

შეთანხმება ადგენს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში იმ საერთაშორისო შეთანხმებების ადეკვატური და ეფექტიანი განხორციელების ვალდებულებას, რომლის ხელმომწერებიც არიან საქართველო და ევროკავშირი, რაც მოიცავს ვმო-ს შეთანხმებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS).

იგი ასევე არეგულირებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებულ პროცედურულ ნორმებს და განსაზღვრავს ამ მიმართულებით სასამართლო ორგანოების უფლებამოსილებებსა და მათ მიერ განსახორციელებელ უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

შეთანხმების სრულფასოვანი განხორციელების შედეგად საქართველოს კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რაც გულისხმობს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მფლობელთათვის მაღალი ხარისხის დაცვის უზრუნველყოფას. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების ეფექტური სისტემის არსებობა ხელს შეუწყობს ინოვაციური და შემოქმედებითი პროდუქტების წარმოებასა და კომერციალიზაციას.

კონკურენცია

შეთანხმება ითვალისწინებს მხარეების ვალდებულებას, გააჩნდეთ კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო. იგი არ ზღუდავს მხარეებს, შექმნან ან შეინარჩუნონ სახელმწიფო მონოპოლიები, სახელმწიფო საწარმოები, ან მიანიჭონ საწარმოს სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებები ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი ქართული კანონმდებლობის აღსრულება საშუალებას მისცემს საქართველოს, ჩამოაყალიბოს თავისუფალი, კონკურენტული და ევროკავშირის მოთხოვნებთან თავსებადი ბაზარი.

ენერგეტიკა

შეთანხმებამოიცავსროგორცენერგორესურსებით თავისუფალი ვაჭრობის, ასევე, მხარეებს შორის თავისუფალი ტრანზიტის უზრუნველყოფის ვალდებულებებს. იმ მიზნით, რომ ენერგიის გადაცემის (ტრანზიტი) საქმიანობა იყოს გამჭირვალე და არადისკრიმინაციული და ყველა მსურველს შეეძლოს აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა, კონკურენციის პირობებში, მოცემული შეთანხმება ავალდებულებს მხარეებს, დაიცვან და უზრუნველყონ ენერგოპროდუქტების თავისუფალი გატარება თავიანთ ტერიტორიებზე; მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ტრანზიტის პროცესში ენერგოპროდუქტების ნებისმიერი სახით უკანონო მითვისების თავიდან აცილების მიზნით; გააძლიერონ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს როლი, რომელიც უზრუნველყოფს

აღნიშნული, ბუნებრივად მონოპოლიური, საქმიანობის რეგულირებას სერვისის განხორციელებისათვის საჭირო გამჭირვალე სატარიფო მეთოდოლოგიის შექმნით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს შეუწყობს მომსახურების ხარისხის გაზრდას, კონკურენციას ბაზარზე და შედეგად, მიწოდების უსაფრთხოებას შეთანხმების მხარეთათვის.

ვაჭრობა და მდგრადი განვითარება

შეთანხმების მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება იმგვარად, რომ მოხდეს მდგრადი განვითარების ძირითადი ამოცანების განხორციელება. დაცული უნდა იქნას შრომის ძირითადი პრინციპები და უფლებები.

მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპებიდან (ეკონომიკური განვითარება, სოციალური განვითარება და გარემოს დაცვა) გამომდინარე, ვაჭრობის წახალისება ან ქვეყნის შიგნით ინვესტიციების მოზიდვა არ უნდა მოხდეს ადგილობრივი შრომითი ან გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესუსტების ხარჯზე.

გამჭვირვალობა

შეთანხმება უზრუნველყოფს სავაჭრო საკითხების მარეგულირებელი სისტემის გამჭვირვალობას, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებისა და მათი პროექტების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით. ასევე, ადგენს მხარეებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფის მექანიზმს.

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია საქართველოს მთავრობის N76 განკარგულებით 2004 წლის 10 ივლისს შეიქმნა[10].

კომისიის სტრუქტურა

კომისიის თავმჯდომარე:

საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

- ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

კომისიის მდივანი: ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროინტეგრაციის საკითხთა კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი.

კომისიის წევრები:

- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი;

10 ცვლილებები განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 აგვისტოს N1488 განკარგულებით

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრი;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი;
- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;
- ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე.

დებულების თანახმად კომისიის ძირითადი ამოცანებია:

- საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესისა და ამ მიზნით საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებული მოქმედების ხელეშეწყობა;
- საქართველოს მთავრობისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს ევროკავშირთან და მის წევრ სახელმწიფოებთან კონკრეტულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საგანმანათლებლო, კულტურულ, სამართლებრივ და სხვა საკითხებთან დაკავშირებული თანამშრომლობის ეფექტიანობის ზრდას;
- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს სამოქ-მედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა და ამ მიზნით გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა და განხილვა;
- საქართველო-ევროკავშირის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების შესრულების ხელშეწყობა და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;
- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს, კომიტეტისა და ქვეკომიტეტების რეკომენდაციათა შესრულების შესახებ ინფორმაციის მოსმენა და განხილვა;
- ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

აღნიშნული ფუნქციების განხორციელების მიზნით, 2015 წლამდე კომისიის 54 სხდომა გაიმართა.

მითები და ფაქტები

მითები და ფაქტები ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან (DCFTA) დაკავშირებით.

მითი 1: ,,ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა ქართულ კულტურასა და ტრადიციულ ფასეულობებს საფრთხეს უქმნის".

ფაქტი: ნამდვილად არ არის ასე. ევროკავშირი რომელიმე ქვეყნის კულტურის შეცვლას კი არ ცდილობს, არამედ იღვწის ევროპის კულტურათა მრავალფეროვნების დაცვისათვის. ევროკავშირი ის ორგანიზაციაა, რომელიც ყველანაირად მხარს უჭერს და ხოტბას ასხამს მრავალფეროვნებას; ბოლოს და ბოლოს, ჩვენი დევიზია ,,ერთიანობა მრავალფეროვნებაში". ევროკავშირი პატივს სცემს საქართველოს კულტურულ ფასეულობებს. და ჩვენ გვჯერა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება ხელს შეუწყობს ამ ფასეულობათა დაცვას.

მითი 2: ევროკავშირთან ასოცირება გულისხმობს ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანთა ქორწინების დაკანონებას

ფაქტი: საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში არ არსებობს ჩანაწერი ქორწინების შესახებ, რომელიც მხარეებს მოუწოდებს ან ავალდებულებს ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანთა ქორწინების დაკანონებას. უფრო მეტიც, ევროკავშირს თავადაც არ გააჩნია კანონმდებლობა, რომელიც მის წევრებს აკისრებს ასეთ ვალდებულებას. ქორწინების საკითხები წესრიგდება ქვეყნების საკუთარი, ეროვნული კანონმდებლობით. მაგალითისთვის, ესტონეთში, კვიპროსში, მალტაში, რუმინეთში, საბერძნეთში და სლოვაკეთში ერთი და იმავე

სქესის მქონე ადამიანთა ქორწინება ნებადართული არ არის, ხოლო ბულგარეთმა, ლატვიამ, პოლონეთმა, უნგრეთმა და ხორვატიამ ასეთი ქორწინებები კონსტიტუციით აკრძალეს. ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნიდან ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანთა ქორწინება დაკანონებულია 9 ქვეყანაში.

მითი 3: „ევროკავშირი აიძულებს საქართველოს, შემოიღოს დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობა, რომელიც გზას გაუკაფავს ჰომოსექსუალთა შორის ქორწინებას."

ფაქტი: სულაც არა! საქართველო ახორციელებს ისეთ კანონმდებლობას, რომელიც მის მოქალაქეებს დისკრიმინაციისგან დაიცავს. ევროკავშირი მიესალმება ამ ინიციატივას, რომელიც ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ მოთხოვნას ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის თანახმად. დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობა უბრალოდ უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის მიმართ თანასწორ მოპყრობას, მათ შორის იმ მოქალაქეების მიმართაც, რომლებიც უმცირესობებს განეკუთვნებიან. ასეთი კანონმდებლობა იცავს მოქალაქეთა არსებულ უფლებებს, მაგალითად, მოქალაქეთა უფლებას, მათ მიმართ არ იქნეს გამოყენებული დისკრიმინაცია სამუშაო ადგილებზე.

მითი 4: „ასოცირების შესახებ შეთანხმება კიდევ უფრო გაართულებს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობას და შესაძლოა მეტი დაძაბულობა გამოიწვიოს სეპარატისტულ რეგიონებში."

ფაქტი: შეთანხმება არანაირად არ აქეზებს საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ. პირიქით, ის მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სტაბილურობას და თანამშრომლობას რეგიონში. საქართველო, სადაც მშვიდობა და კეთილდღეობა იქნება გამეფებული, რუსეთის ინტერესებშიც არის. ასოცირების შესახებ შეთანხმებამ შეიძლება ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დროთა განმავლობაში ყველა ის ადამიანი, რომელიც ცხოვრობს საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში, ისარგებლებს იმ უპირატესობებით, რომლებსაც მოიტანს ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის წყალობით ამაღლებული ცხოვრების დონე.

მითი 5: „ასოცირების შესახებ შეთანხმებამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების - მათ შორის სომხური და აზერბაიჯანული წარმომავლობის უმცირესობების - იზოლირება და მიგვიყვანოს სეპარატიზმისკენ მიმართულ მცდელობებთან."

ფაქტი: შეთანხმება აქტიურად უჭერს მხარს დისკრიმინაციის არარსებობას და მაქსიმალურად უწყობს ხელს უმცირესობათა დაცვას. იგი აღიარებს უმცირესობების მნიშვნელოვან როლს ეროვნული ერთიანობის გრძნობის გაღრმავების საქმეში. საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის ცხოვრების დონის ამაღლების წყალობით ასოცირების შესახებ შეთანხმება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეროვნულ ერთიანობაში.

მითი 6: ,,ასოცირების შესახებ შეთანხმება ხელყოფს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტს".

ფაქტი: ევროკავშირი ღრმა პატივისცემით არის განმსჭვალული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და საქართველოს ეროვნულ ცხოვრებაში მისი მნიშვნელოვანი როლისადმი, რამეთუ აღმსარებლობის თავისუფლების და რელიგიური შემწყნარებლობის თვალსაზრისით ევროკავშირი მსოფლიოში წამყვან პოზიციებზეა. ევროკავშირში არიან ისეთი ქვეყნებიც, სადაც მართლმადიდებლობა ტრადიციულად უმრავლესობის რელიგიაა. 2014 წლის მარტში ევროკომისარი შტეფან ფულე შეხვდა პატრიარქ ილია II-ს და მათ ისაუბრეს ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ. პატრიარქმა გამოხატა საქართველოს ევროპული არჩევანისადმი თავისი უპირობო მხარდაჭერა. ილია მეორის სიტყვებით: „ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ იმით, რომ საქართველო, რომელმაც გამოიარა მძიმე პერიოდი კომუნისტური რეჟიმის, დღეს მიემართება ევროპის სტრუქტურებში. ევროკავშირი არის ის ორგანიზაცია, რომელსაც კარგად იცნობს ქართველი ხალხი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველო გახდეს სრულუფლებიანი წევრი ამ დიდი ორგანიზაციის".

მითი 7: ,,შეთანხმება საქართველოს მცირედ სარგებელს მოუტანს, მაშინ, როცა დამატებით ვალდებულებებს დააკისრებს".

ფაქტი: ნამდვილად არა; შეთანხმება საქართველოს ბევრ საგრძნობ სარგებელს მოუტანს. დროთა განმავლობაში ასოცირების შესახებ შეთანხმება შედეგად მოიტანს ქართველთა ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, განსაკუთრებით დემოკრატიის გაძლიერების, პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური სტაბილურობის გაზრდის, ასევე უფრო ძლიერი და აყვავებული ეკონომიკის მეშვეობით. ეკონომიკის პროგნოზირებული ზრდა წელიწადში 4.3%-ის ტოლი უნდა იყოს.

მითი 8: „შეთანხმების ხელმოწერა ზიანს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას".

ფაქტი: პირიქით, საქართველო რეალურ სარგებელს მიიღებს ვაჭრობის სფეროში წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობების და ევროკავშირის ბაზრის - მსოფლიოში უდიდესი ბაზრის - მისაწვდომობის გაადვილების შედეგად. შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას მისცემს შესაძლებლობას, წამოეწიოს ევროკავშირს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით და ამის შედეგად დროთა განმავლობაში დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში. ეს შექმნის ახალ შესაძლებლობებს არა მარტო ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობაში, არამედ, ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების მსოფლიო მასშტაბით აღიარების წყალობით, საქართველოს მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაშიც. აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილება ქართველ მომხმარებლებს ბევრად დიდი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს, უზრუნველყოფს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციას და საქართველოს უცხოელი ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველ ადგილად აქცევს. ყველაზე სენსიტიური სექტორები სარგებელს ნახავენ ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდების წყალობით, რომლებიც შესაძლებელს გახდის საქართველოს ეკონომიკის დაუბრკოლებელ ადაპტაციას.

მითი 9: „ევროკავშირი ჩაბმულია გეოპოლიტიკურ კონკურენციაში რუსეთის ფედერაციასთან".

ფაქტი: არა. ეს შეხედულება არის მედიაში ზოგიერთი ელემენტის მიერ გავრცელებული მითი, მაგრამ ის არ ასახავს რეალობას ან ევროკავშირის განზრახვებს. საქართველო ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორი არა რაღაც გამოგონილი გეოპოლიტიკური მეტოქეობის გამოა, არამედ იმიტომ, რომ საქართველო წარმოადგენს მნიშვნელოვან პარტნიორს აღმოსავლეთ ევროპაში სტაბილურობისა და კეთილდღეობის მისაღწევად. სწორედ ამიტომ მოახდინა ევროკავშირმა სერიოზული პოლიტიკური კაპიტალის, ფინანსური დახმარებისა და ტექნიკური გამოცდილების ინვესტირება საქართველოსთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მისაღწევად.

მითი 10: „ასოცირების შესახებ შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოს ხელ-ფეხს უბოჭავს და ზღუდავს მის სუვერენულობას".

ფაქტი: ასოცირების შესახებ შეთანხმება/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე გულისხმობს სრულ პატივისცემას საქართველოს სუვერენიტეტის და მისი პოლიტიკური არჩევანის მიმართ, მათ შორის სხვა ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერის უფლების მიმართ. გარდა ამისა,

ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ტერიტორიული მთლიანობის, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საზღვრების დაურღვევლობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობას, როგორც ეს განსაზღვრულია გაერო-ს 1945 წლის ქარტიაში და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ კონფერენციის 1975 წლის ჰელსინკის საბოლოო აქტში.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში საქართველოს რჩება თავისუფალი არჩევანი - მიიღოს სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, განსხვავებით საქართველოს მონაწილეობისგან ნებისმიერ საბაჟო კავშირში. რაც შეეხება საქართველოს მონაწილეობას საბაჟო კავშირში, ეს შეამცირებს საქართველოს სუვერენიტეტს, ვინაიდან გამოიწვევს საქართველოს მიერ საკუთარი სავაჭრო პოლიტიკის გადაცემას გარეშე, ზესახელმწიფოებრივი უწყებისათვის.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოს ინტერესებშია - ამჟამად ევროკავშირი, მსოფლიოში უდიდესი ბაზარი, საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორია და საქართველოს მთელი ვაჭრობის 26% ევროკავშირთან ვაჭრობაზე მოდის. საქართველო დაინტერესებულია ვაჭრობის ხარჯების შემცირებით და მისი გაფართოებით. ევროკავშირში ექსპორტის მოცულობის გაზრდა ნიშნავს მეტი შემოსავლის მიღებას და, შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკის ზრდას.

მითი 11: „საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ რამდენიმე შეთანხმება აქვს გაფორმებული დსთ-ის წევრებთან, რომლებიც ევროკავშირს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან შეუთავსებლად მიაჩნია".

ფაქტი: ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე არ აწესებს რაიმე შეზღუდვას საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებზე. პირიქით, თავისუფალი ვაჭრობის სივრცეები, მაგალითად, ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არის თურქეთი, ხელს უწყობს ვაჭრობის გაფართოებას, ვინაიდან კომპანიებს ექმნებათ შესაძლებლობა ნაკლებ ფასად მოახდინოს საწარმოო პროცესებისა და იმპორტის კომპონენტების გაერთიანება. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის ზრდას, შესაბამისად, ის არ წარმოადგენს საფრთხეს მისთვის ან სხვა ქვეყნებთან მისი ურთიერთობებისთვის. საქართველოს შეუძლია საკუთარი ნებასურვილის მიხედვით აწარმოოს სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ან სხვა ახლანდელ თუ მომავალ პარტნიორთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში.

მითი 12: ,,საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ვაჭრობის სფეროში სავარაუდოდ გაუარესდება მას შემდეგ, რაც საქართველოსთვის მისაწვდომი გახდება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე".

ფაქტი: ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველო და ევროკავშირი ერთმანეთს უხსნიან საკუთარ ეკონომიკურ სივრცეებს. შეთანხმების არცერთი ნაწილი ითვალისწინებს სხვა ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან, ვაჭრობის შეზღუდვას. ევროკავშირის და რუსეთის ბაზრები სხვადასხვაა, ევროკავშირთან ვაჭრობა არ ხდება რუსეთთან ვაჭრობის ხარჯზე. ბიზნესკავშირები ყველაზე კარგად სტაბილურ და პროგნოზირებად სამართლებრივ გარემოში ვითარდება და სწორედ ეს არის განმსაზღვრელი ფაქტორი საწარმოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას იმასთან დაკავშირებით, თუ სად აწარმოოს ვაჭრობა. არ არსებობს სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზი, როდესაც დაცულია შესაბამისი წესები.

მითი 13: ,,ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემთხვევაში საქართველოს ტრადიციულ ექსპორტს რუსეთში ძირი გამოეთხრება ევროპული სტანდარტების მიღების გამო".

ფაქტი: ევროკავშირის სტანდარტები არასოდეს ყოფილა რუსეთში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ექსპორტის წარმოების ხელისშემშლელი ფაქტორი, როგორც ამას საკმარისად ადასტურებს ევროკავშირის კომპანიების და იმ სხვა მწარმოებლების გამოცდილება, რომლებიც ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებს იცავენ. ამიტომ არ არსებობს ობიექტური მიზეზი იმისა, რომ ევროკავშირის სტანდარტებმა ქართული კომპანიებისთვის წარმოქმნას პრობლემები. იმ ქართულ კომპანიებს, რომლებიც უკვე ახდენენ პროდუქციის ექსპორტირებას რუსულ ბაზარზე, შეუძლიათ განაგრძონ ეს საქმიანობა, მას შემდეგაც კი, რაც განხორციელდება ასოცირების შესახებ შეთანხმება - თუ მათ ამაში პოლიტიკურად მოტივირებული აკრძალვები და შეზღუდვები არ შეუშლის ხელს.

მითი 14: ,,ევროკავშირი მეტ სარგებელს ნახავს საბაჟო გადასახადების გაუქმების შედეგად, ვიდრე საქართველო".

ფაქტი: არ არის ასე. საქართველო მეტად არის დამოკიდებული ევროკავშირთან ვაჭრობაზე, ვიდრე პირიქით, ასერომ ტარიფების გაუქმების შედეგად საქონელბრუნვის გაზრდის შედეგად უპირველეს ყოვლისა საქართველო ნახავს სარგებელს. რაც შეეხება საქონელს, იმპორტზე გადასახადი ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტირებულ ყველა საქონელზე ან პირიქით დაუყოვნებლივ იქნება გაუქმებული. შედეგად მოსალოდნელია საქართველოში ვაჭრობის 12%-ით ზრდა ექსპორტის კუთხით და 7.5%-ით იმპორტის კუთხით. ეს მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ქვეყნის ეკონომიკისთვის და კომპანიებისთვის. გარდა ამისა, ევროპელი იმპორტიორები

დაზოგავენ 10.8 მილიონ ევროს გადასახადების შემცირების შედეგად, მაშინ, როცა ქართველი იმპორტიორები ყოველწლიურად დამატებით 84.2 მილიონ ევროს დაზოგავენ საბაჟო გადასახადის გაუქმების შედეგად.

მითი 15: „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ეკონომიკური სარგებელი უმნიშვნელოა, მაშინ, როცა რეფორმის გატარებას სერიოზული ხარჯები სჭირდება".

ფაქტი: მოსალოდნელია, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე გაზრდის ვაჭრობას ევროკავშირსა და საქართველოს შორის 12%-ით საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის კუთხით და 7.5%-ით ევროკავშირიდან იმპორტის კუთხით. პროგნოზირებულია, რომ ამ სივრცის წყალობით მშპ ყოველწლიურად 4.3%-ით გაიზრდება (292 მილიონი ევრო ქვეყნის შემოსავლის სახით), იმ პირობით, თუ რეფორმების განხორციელება დასრულდება. ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს და მის ეკონომიკურ აგენტებს აღნიშნული რეფორმების შემუშავებაში და განხორციელებაში გარდამავალ პერიოდებში, რომლებიც ასოცირების შესახებ შეთანხმებაშია გათვალისწინებული. ზემოთ მოცემული ციფრები არ მოიცავს ინვესტიციების ზრდას, რაც სავარაუდოდ მნიშვნელოვნად მოიმატებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის მეშვეობით ბაზრების გახსნის შედეგად.

მითი 16: „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შედეგად მხოლოდ ევროკავშირი მიიღებს სარგებელს. საქართველო დაკარგავს სამუშაო ადგილებს, კომპანიებსა და ნიჭიერ ადამიანებს, რომლებიც სამუშაოდ ევროპაში წავლენ".

ფაქტი: არ არის ასე. შეთანხმება უზრუნველყოფს ფართო ჩარჩოს საქართველოს წარმოების სტიმულირებისთვის, ბიზნესის გაძლიერებისთვის და დასაქმების ზრდისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში. შეთანხმება ითვალისწინებს რიგ დაუყოვნებელ სარგებელს საქართველოსთვის, რაიმე რეფორმების პროცესის გარეშე: 1) ევროკავშირი გააუქმებს ყველა საიმპორტო მოსაკრებელს ქართულ იმპორტზე იმ დღიდან, როდესაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ძალაში შევა. ამ გადაწყვეტილების წყალობით საქართველოს ექსპორტი დაუყოვნებელ სარგებელს მიიღებს. 2) ასევე დაუყოვნებელი სარგებელი შეიძლება მიიღონ კომპანიებმაც ევროკავშირში ან საქართველოში დაფუძნების უფრო მარტივი პირობების შემოღების წყალობით. ეს გაზრდის ინვესტიციებს და შექმნის სამუშაო ადგილებს საქართველოში. 3) კომპანიები შეძლებენ მომსახურების უფრო ფართო მასშტაბით გაწევას, ვიდრე ადრე, რაც ასევე გააფართოებს მათ საქმიანობას და შექმნის სამუშაო ადგილებს.

მითი 17: ,,ახლა არ არის ხელსაყრელი დრო რეფორმების წამოსაწყებად. საქართველოს ეკონომიკის ზრდა აღარ მიმდინარეობს სწრაფი ტემპით, ჩვენ ახლა არა გვაქვს ამის საშუალება. ბიზნესებს გაკოტრება ემუქრებათ, ვინაიდან ისინი უკვე კრიზისის წინაშე დგანან."

ფაქტი: მართალია, რომ 2012 წელს საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში შეფერხება აღინიშნა. ეს შეფერხება სხვადასხვა ბიზნესმა ნამდვილად იგრძნო. მაგრამ მსოფლიო ბანკის პროგნოზებით, ეს დროებითი ვარდნა იყო და მომდევნო წლებში საქართველოს ეკონომიკა ისევ დაიწყებს ზრდას და მოსალოდნელია, რომ 2014 და 2015 წლებში მშპ-ის ზრდა 6.3%-ის ტოლი იქნება, ხოლო 2016 წელს 6.5%-ისა. ამგვარი ზრდა უკავშირდება სიტუაციის გაუმჯობესებას ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მომავალ წლებში ამ პროგნოზის გამართლებასთან ერთად რეფორმებიც თანდათანობით წინ წავა. ქართულ ბიზნესს არ უნდა ეშინოდეს ამ თვალსაზრისით რაიმე მოულოდნელი ნეგატიური შედეგებისა. გარდა ამისა, რეფორმები განამტკიცებს დემოკრატიას და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ სტაბილურობას საქართველოში და ქვეყანას ინვესტორებისთვის უფრო პროგნოზირებად და მიმზიდველ ადგილად აქცევს.

მითი 18: ,,ქართველი ფერმერები დაზარალდებიან რეფორმების შედეგად".

ფაქტი: საქართველოს სოფლის მეურნეობას უზარმაზარი პოტენციალი აქვს, მაგრამ საჭიროა მისი მოდერნიზება. საჭიროა მისი უფრო ეფექტიანად წარმოება, მას ესაჭიროება ინვესტიციები და სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანების მეტი პროფესიონალიზმი და თანამედროვე უნარები. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ხელს შეუწყობს ამ მიზნების მიღწევას. მაგრამ ნებისმიერი რესტრუქტურიზაცია გულისხმობს, რომ ზოგიერთი ფერმერისთვის შეიძლება აღარ იყოს მომგებიანი ფერმერული საქმიანობა და მათთვის შესაძლოა უმჯობესი იყოს გადამზადება და სამუშაოს შეცვლა. ასეთ მოქალაქეებს დასჭირდებათ ახალი უნარ-ჩვევების შეძენა და ევროკავშირი ეხმარება საქართველოს ამ თვალსაზრისით შესატყვისი პროექტების შემუშავებაში. ასე მოხდა ბევრ ქვეყანაში, რომელთაც გადაწყვიტეს, გაეუმჯობესებინათ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო სექტორი, რათა მას მეტი წვლილი შეეტანა ქვეყნის ეკონომიკაში.

მითი 19: ,,რეფორმები ძირს გამოუთხრის იმ სექტორებს, რომლებიც საქართველოში დღემდე ახერხებენ არსებობას".

ფაქტი: საქართველო დაადგა განვითარებული საბაზრო ეკონომიკისკენ მიმავალ გზას. რეფორმები მიზნად ისახავს ქვეყნის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორების, ასევე მომსახურებათა ბაზრის უფრო ეფექტიანად და უფრო თანამედროვედ ქცევას, ასევე ევროკავშირის სტანდარტებთან უფრო მეტად დაახლოებას. რეფორმები მხოლოდ იმ სფეროებზე ვრცელდება, რომელთაც რეგულირება სჭირდება, მაგალითად, მომხმარებელთა დაცვის და უსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტების კუთხით. ეს რეფორმები მიზნად ისახავს შესაბამისი სექტორების უფრო კონკურენტუნარიანად ქცევას. ეს ნიშნავს, რომ კონკურენტუნარიანი კომპანიები უკვე ეყრდნობიან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს და არაფერი აქვთ საწუხარი რეფორმების პროცესთან დაკავშირებით.

მითი 20: „ევროპული იმპორტირებული სურსათი ძირს გამოუთხრის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ქართველ მწარმოებლებს".

ფაქტი: სოფლის მეურნეობის სექტორში ევროკავშირი უკვე აწარმოებს ექსპორტს საქართველოში და ეს არ ცვლის ადგილობრივი წარმოების პროდუქციას, როგორიც არის ქართული ღვინო, ყველი, ხილი ან ბოსტნეული. გარდა იმისა, რომ მომხმარებლების სხვადასხვა სახის პრეფერენციები აქვთ (როგორიც არის, მაგალითად, გემოვნება), ევროკავშირში საკვები პროდუქტების წარმოება მაღალი ღირებულებისაა, ამიტომ საქართველო არ არის მაინცდამაინც დიდი ინტერესის ბაზარი. მით უმეტეს, თუ იმპორტირებულმა საქონელმა კონკურენცია უნდა გაუწიოს ადგილობრივად წარმოებულ უფრო იაფ პროდუქციას, რომელიც უფრო მეტად შეესატყვისება ადგილობრივი ადამიანების გემოვნებას. ასე რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობის დაწყება ავტომატურად არ მოიტანს ევროპიდან იმპორტირებული საქონლის შემოდინების რისკს.

ამჟამად ექსპორტი ევროკავშირიდან საქართველოში მოიცავს უმნიშვნელო ოდენობის ბოსტნეულს, ხილს, ყავას და მარცვლეულს. ევროკავშირს საქართველოში შემოაქვს მინიმალური რაოდენობით ხორცი და ცოცხალი ცხოველები, ასევე წარმოებული პროდუქტები, როგორიც არის კაკაო, და შაქარი და დამუშავებული მარცვლეულიდან

წარმოებული საკვები (სულ დაახლოებით 22 მილიონი ევროს ოდენობის) ან ღვინო და სპირტიანი სასმელები (36 მილიონი ევრო).

მითი 21: „ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეში შესვლის შედეგად საკვები გაძვირდება".

ფაქტი: არ არსებობს პირდაპირი კავშირი ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესა და საკვების ფასების ზრდას შორის - ეს ფასები შეიძლება გაიზარდოს სხვადასხვა მიზეზით, როგორიც არის მარცვლეულის ცუდი მოსავალი უამინდობის ან დაავადების გამო რომელიმე კონკრეტულ წელს. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში აუცილებელი რეფორმები, განსაკუთრებით კი რეფორმები სურსათის უვნებლობის სფეროში, მიზნად ისახავს უპირველეს ყოვლისა მომხმარებლებისათვის საკვები პროდუქტების აუცილებელი უსაფრთხოების უზრუნველყოფას და მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეს ნიშნავს, რომ ზოგადად უნდა გაუმჯობესდეს ის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული პირობები, რომლებშიც საკვები მზადდება. ამან შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული ხარჯები, რომლებიც მწარმოებლებმა შეიძლება მომხმარებლებს დააკისრონ; თუმცა ეს შედეგად მოიტანს მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და ნაკლებ ხარჯებს ჯანდაცვაზე. გარდა ამისა, დამოუკიდებელი კვლევის შედეგების თანახმად, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს ხელფასებზე.

მითი 22: „ბევრ მცირე ფერმერს მოუწევს ბიზნესიდან გასვლა სურსათის უსაფრთხოების სტანდარტების იძულებით გაზრდის შედეგად".

ფაქტი: მცირე ფერმერებს, რომლებიც არ არიან ჩართულნი ვაჭრობაში ან სხვა კომერციულ საქმიანობაში, არ უნდა ეშინოდეთ რეფორმების. მათ კი, ვინც ფერმერულ საქმიანობას ეწევა იმისათვის, რომ გაყიდოს საკუთარი პროდუქცია საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, მოუწევთ თვალის გასწორება იმ ფაქტისთვის, რომ მათ კონკრეტულ სექტორში თანდათანობით გაიზრდება ფერმერული საქმიანობის ხარისხთან დაკავშირებული მოლოდინი. საქართველოში დროთა განმავლობაში, თანდათანობით შემოღებული იქნება საკვების წარმოების, ისევე, როგორც მეცხოველეობის წარმოების წესები. ეს მიზნად ისახავს მომხმარებლებისთვის საკვების უვნებლობისა და ხარისხის გაზრდას და ჯანმრთელობისთვის არსებული რისკების შემცირებას. საკვების მწარმოებლების წინაშე მდგომი ამოცანაა საკუთარი შემოსავლის გაზრდა ფერმერული საქმიანობის პროდუქტიულობის გაუმჯობესების მეშვეობით.

მითი 23: "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში მოხდება პამიდვრის ზომებისა და გარეგანი სახის რეგულირება, ხოლო ქათმების ზრდა სპეციალურ გალიებში მოხდება."

ფაქტი: ასეთი წესები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში არ არსებობს. სოფლის მეურნეობისა და სანიტარულ/ფიტოსანიტარულ სფეროებში განსახორციელებელი შეთანხმებული რეფორმების ფარგლებში არსებული წესები პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლადაა შემოღებული და არ არეგულირებს იმაზე მეტს, რაც ხარისხის გასაუმჯობესებლადაა საჭირო. ევროკავშირში არ არსებობს პამიდრვის ზომებისა და გარეგანი სახის რეგულირების წესები. რაც შეეხება ფერმაში გაზრდილ ფრინველსა თუ ცხოველებს, ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია მათი ჯანდაცვა. ამ მიზნით შემოღებულია გარკვეული კანონმდებლობა, რომელიც აწესებს ფერმაში გაზრდილ ფრინველთა და ცხოველთა ჯანდაცვის მინიმალურ კრიტერიუმებს. თუმცა, ევროკავშირი და საქართველო უნდა შეთანხმდნენ, თუ რა სახის კანონმდებლობას მიიღებს საქართველო ფერმაში გაზრდილ ფრინველებთან თუ ცხოველებთან მიმართებაში. დღეისათვის, ასეთი წესები არ არსებობს, ხოლო გადაწყვეტილება რეფორმის მასშტაბის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი თვის განმავლობაში იქნება მიღებული.

მითი 24: ევროკავშირი გააგრძელებს თავისი სასოფლო-სამეურნეო ბაზრის დაცვას, მაშინ როდესაც საქართველო სრულად გახსნის თავისას.

ფაქტი: ევროკავშირი და საქართველო ერთდროულად და სრულად გახსნიან თავიანთ ბაზრებს. ევროკავშირი არ დააწესებს საქართველოსთვის არავითარ რაოდენობრივ შეზღუდვას სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის ექსპორტზე. ერთადერთი მექანიზმი, რომელიც ძალაში დარჩება ვაჭრობის მოცულობის მონიტორინგი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ევროკავშირში ექსპორტირებული საქონელი მართლაც საქართველოშია ნაწარმოები და არ არის იმის რისკი, რომ სხვა ქვეყნის პროდუქცია ევროკავშირში ისე შეაღწევს, თითქოს საქართველოშია ნაწარმოები.

მითი 25: რეფორმები ქართველ მწარმოებლებს დააზარალებს.

ფაქტი: მოლაპარაკებების პროცესში სხვადასხვა სფეროში განსახორციელებელი რეფორმები სიღრმისეულად იყო განხილული. ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში – განსაკუთრებით ტექნიკური სტანდარტებისა და რეგულაციების კუთხით – საქართველომ ძალზე ფრთხილი და თანდათანობითი მიდგომა აირჩია.

ქვეყანამ გაითვალისწინა რომ ცვლილებები აუცილებელია, თუმცა არსებობს გამოწვევებიც, რაც ნიშნავს, რომ რეფორმები ქვეყნის საჭიროებებს მოერგება, თანდათანობით, დროთა განმავლობაში განხორციელდება და, ძირითადად, ბაზარზე არსებული საქონლისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფაზე იქნება ორიენტირებული. ქართველ მწარმოებლებს მოუწევთ გარკვეული, სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა, მაგრამ, რეალურად ეს იქნება ინვესტიცია, რომელიც, გრძელვადიან პერსპექტივაში, ხელს შეუწყობს მათი ბიზნესის განვითარებას. ევროკავშირი საქართველოს ამ რეფორმების პროცესში დაეხმარება და განაგრძობს თანამშრომლობას ბიზნესთან.

მითი 26: "ევროკავშირიდან შემოსული იმპორტი ქართულ კომპანიებს ბაზრიდან გააძევებს."

ფაქტი: მას, ვინც ამას აბმობს, ავიწყდება, რომ ხშირად, წარმოების გასაგრძელებლად ბიზნესს დახმარება უცხოეთიდან სჭირდება და რომ ევროკავშირიდან საქართველოში შემოსული საქონლის ნაირსახეობა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებულისა. მაგალითად, დღეისათვის, მანქანა–დანადგარებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების ევროკავშირიდან იმპორტი უკვე წელიწადში €346 მლნ–ს შეადგენს (2012 წლის მონაცემებით). ეს ტენდენცია, სავარაუდოდ, განმტიცდება, რადგან საქართველოს თანამედროვე ტექნიკა ესაჭიროება (არამარტო ევროკავშირიდან) იმისთვის, რომ მოხდეს მისი სოფლის მეურნეობისა და წარმოების მოდერნიზება. ასე რომ, გლობალიზებულ ეკონომიკაში, რომლის ნაწილი, რასაკვირველია, საქართველოც არის, არ არის ასეთი მკაცრი, შავ–თეთრი დაყოფა იმპორტსა და ექსპორტს შორის.

მითი 27: "საქართველომ გადაწყვიტა, სრულად გაუხსნას ბაზარი ევროპიდან იმპორტს და ამიტომ ვერ დაიცავს ბაზარს ევროპული საქონლის შემოდინებიდან."

ფაქტი: აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნების მთავრობებმა თავიანთი ბაზრების გახსნის შესახებ გააზრებული გადაწყვეტილება მიიღეს. საქართველომ, რომლის ბაზარი საკმაოდ გახსინილია, მიიღო გადაწყვეტილება, შეთანხმების ძალაში შესვლისას სრულად გახსნას თავისი ბაზარი. ლიბერალიზებით გამოწვეული პრობლემების გაჩენის შემთხვევაში ევროკავშირი მზადაა განხორციელების ეტაპზე საქართველოსთან ერთად განიხილოს ისინი.

მითი 28: "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებიდან სარგებელს მხოლოდ ბიზნესი მიიღებს და არა საქართველოს მოსახლეობა."

ფაქტი: შეთანხმებიდან უშუალო სარგებელს მართლაც ექსპორტიორები მიიღებენ, თუმცა შეთანხმებით მოსახლეობის ფართო ფენებიც ისარგებლებენ, რადგან ევროკავშირიდან იმპორტირებული საქონელი უფრო იაფი იქნება. საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია, რომ შეთანხმება გაზრდის ინვესტიციებს, ხელს შეუწყობს ახალი კომპანიების შექმნას და ეკონომიკის რამდენიმე სექტორის მოდერნიზებას რეფორმების საშუალებით, რაშიც საქართველოს ევროკავშირიც დაეხმარება.სურსათის უვნებლობის სტანდარტები და სამომხმარებლო საქონელი უსაფრთხო იქნება. ინვეტიციების მოსალოდნელი ზრდის ხარჯზე შეიქმნება სამუშაო ადგილები, რაც დადებითად აისახება ხელფასების ზრდაზე. დაბოლოს, წესების შემუშავება მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის მეტად გამჭვირვალე გახდება და უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია საქართველოს მთავრობიდან.

მითი 29: "საქართველომ უნდა წამოიწყოს სრულმასშტაბიანი რეფორმები, ისეთივე, როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, მაგრამ მას არ აქვს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა."

ფაქტი: ევროკავშირი და საქართველო განახორციელებენ რეფორმებს იმისთვის, რომ ქვეყნის მმართველობის სტანდარტები ევროკავშირის სტანდარტებს დაუახლოვდეს. თუმცა, ეს არ არის გაწევრიანების პროცესი, ხოლო შეთანხმებული რეფორმები არ არის იგივე მასშტაბისა, რაც სხვა ქვეყნებში გაწევრიანების წინა პროცესი, თვით ასოცირების შესახებ შეთანხმება ,,ღიად ტოვებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების პროგრესულ განვითარებას მომავალში."

მითი 30: საქართველომ ყველა რეფორმა უფრო ნაკლები დროის განმავლობაში უნდა განახორციელოს, ვიდრე ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა.

ფაქტი: ეს არ არის მართალი და ამგვარი მოლოდინი არარეალური იქნებოდა. რეფორმები დროში უნდა იყოს გაწერილი, რადგან ისინი ეკონომიკური ცხოვრებისა სხვადასხვა ასპექტს შეეხება; გარდამავალი პერიოდი საუკეთესო საშუალებაა მათ თანდათანობით განსახორციელებლად. ამ თანდათანობით მიდგომას ევროკავშირი მაშინაც იყენებს, როდესაც წევრ ქვეყნებში ახალი კანონმდებლობაა შემოსატანი. საქართველოს შემთხვევაში ასეთი მიდგომა ლოგიკურია; საქართველომ თვითონ

გადაწყვიტა, თუ რა დრო დასჭირდება ქვეყანას პროცესის დასასრულებლად. საქართველომ გამართა მოლაპარაკებები რამდენიმე გარდამავალი პერიოდის შესახებ, რომელიც სხვადასხვა სფეროში სხვადასხვაა. ეს დამოკიდებულია ეროვნულ კანონმდებლობაზე, მის შინაარსე და ბაზრის განვითარებაზე. კერძოდ, რეფორმები საწარმოო პროდუქტების, საჯარო შესყიდვების და მომსახურების რეგულირების სფეროში შეთანხმების ძალაში შესვლიდან 8 წლის შემდეგ, რამდენიმე ეტაპად უნდა განხორციელდეს. სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სფეროში რეფორმების ზუსტი მასშტაბი და ვადები შეთანხმების ძალაში შესვლიდან 6 თვის განმავლობაში დადგინდება.

მითი 31: რეფორმების ხარჯი შეადგენს [ნებისმიერი ციფრი], რაც ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება.

ფაქტი: არ არსებობს ე.წ. ‹ხარჯი› – ეს არის ინვესტირება ქვეყნის მომავალში. ამ მიზნით ევროკავშირმა უკვე გამოყო მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება , რაც რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში განსახორციელებელ რეფორმების პროცესს დაეხმარება. მხოლოდ 2011-13 წლებში ეს დახმარება მოიცავს 180 მლნ ევროს, რაც საქართველოს მშპ-ს 1.5%-ს შეადგენს. მომდევნო წლების განმავლობაში ეს ოდენობა არ შეიცვლება და შესაძლოა გაიზარდოს კიდეც.

მითი 32: «ევროკავშირის დახმარება არ არის საკმარისი რეფორმებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გასატარებლად.»

ფაქტი: ევროკავშირი უკვე რამდენიმე წელია ეხმარება საქართველოს რეფორმების პროცესში. ვაჭრობის სფეროს რეფორმირება ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყებიდან დიდი ხნით ადრე დაიწყო. ვაჭრობის სფეროში რეფორმები 31 მლნ ევროს (2011–2013) ღირებულების სპეციალური ,,ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური მშენებლობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა. ეს დახმარება არის ნაწილი ,,ევროპის სამეზობლოდ პარტნიორობის ინსტრუმენტის“ სახელწოდებით ცნობილი დახმარების დიდი პაკეტისა, რომელიც 180 მლნ ევროს შეადგენს (2011–2013). ეს დახმარება მოიცავს როგორც ფინანსურ, ისე ტრეინინგებითა და კონსულტირებით დახმარებას (დაძმობილება Twinning, TAIEX და ა.შ.). წევრი ქვეყნების ორმხრივი დახმარება კოორდინირებულია ევროკავშირის მიერ გაწეულ სხვა დახმარებასთან. ახალი ,,ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის“ (2014–20) ფარგლებში მნიშვნელოვანი დახმარებაა გათვალისწინებული სამომავლოდაც, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის განხორციელებაში.

მითი 33: "რა სახის დახმარება გაუწია ევროკავშირმა საქართველოს რეფორმების პროცესში? "

ფაქტი: ევროკავშირმა საქართველოს სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია, ესაა: კონსულტირება კანონმდებლობის მომზადებასა და შემუშავებაში, ტექნიკური რჩევები კანონის აღსრულებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების ზრდის საკითხებში, ტრეინინგი სამთავრობო სტრუქტურებში, რეფორმების პროცესის სტრატეგიული დაგეგმვა და შედეგების შეფასება. ამ მიზნების მიღწევის მთავარი ინსტრუმენტი არის ,,დაძმობილება" (Twinning - წევრი ქვეყნების

ექსპერტების დახმარება უფრო ხანგრძლივვადიანი პროგრამების ფარგლებში) და TAIEX (მოკლევადიანი საკონსულტაციო და ვერიფიკაციის მისიები). გათვალისწინებულია, ასევე პირდაპირი საბიუჯეტო დახმარება 2015–17 წლებში. ამასთან, TAIEX ინსტრუმენტის ფარგლებში რეგულარულად ეწყობა სხვადასხვა სემინარე ბი, მრგვალი მაგიდები, სასწავლო ვიზიტები და ა.შ. დაბოლოს, სპეციალური მრჩევლის ტომას ჰამარბერგის წყალობით ევროკავშირი დახმრებას უწევს საქართველოს ადამიანის უფლებების, სამართლისა და სხვადასხვა სფეროებში.

მითი 34: "შეთანხმებიდან სარგებელს მხოლოდ ევროკავშირი მიიღებს, რადგან ქართულ ბაზარზე შესასვლელად მას ძვირადღირებული რეფორმების განხორციელება არ დასჭირდება."

ფაქტი: ევროკავშირი შეთანხმებას დებს საქართველოსთან, რადგან მიაჩინა, რომ საქართველო ადგას ევროპულ გზას და მისი სურვილი ევროპული მართვის მოდელის დამკვიდრებაა. საქართველო ევროკავშირისთვის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პარტნიორია, თუმცა ეკონომიკურად ნაკლებ მნიშვნელოვანი. სწორედ ამიტომ ამბობს დამოუკიდებელი კვლევა, რომ შეთანხმების საერთო გავლენა ევროკავშირზე – საქართველოს სიდიდისა და დანარჩენ მსოფლიოსთან ევროკავშირის ვაჭრობაში საქართველოს წილის (0.1%) გათვალისწინებით – უმნიშვნელო იქნება. ამის საპირისპიროდ მოსალოდნელია, რომ ყოველწლიურად საქართველო დამატებითი შემოსავლის სახით თითქმის 300 მლნ ევროს, ანუ მშპ–ს 4.3% მიიღებს, თუკი რეფორმები განხორციელდება. ასე რომ, საქართველოს მიერ შეთანხმებიდან მიღებული სარგებელი რეფორმების პროცესზეა დამოკიდებული.

მითი 35: "ევროკავშირი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივციდან სარგებელს დაუყოვნებლივ მიიღებს, მაშინ როდესაც საქართველოს ამისთვის რეფორმების განხორციელება დასჭირდება."

ფაქტი: არ არის ასე. სავაჭრო პირობები საქონლისა და მომსახურებისთვის, ისევე როგორც კომპანიის დაფუძნების პირობები შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე როგორც საქარველოსთვის, ისე ევროკავშირისთვის გაუმჯობესდება. ეს კი დაეხმარება ვაჭრობასა და ინვესტირებას, რაც საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეკონომიკური ზრდის მისაღწევად ქვეყანას მეტი საგარეო ინვესტიციები ესაჭიროება. ქართულ საწარმოებს ევროკავშირის ბაზარზე შესვლა გარდამავალი პერიოდის დაწესების გარეშე შეეძლებათ. თუმცა, ისიც მართალია, რომ დამატებითი სარგებლის გარკვეული სახეობები,რომელსაც საქართველო შეთანხმებიდან მიიღებს, რეფორმების დასრულებაზეა დამოკიდებული.

მითი 36: "გაუგებარია, რისი რეფორმირება უნდა მოახდინოს საქართველომ."

ფაქტი: ყველა ის სფერო, რომელიც არეგულირებს ვაჭრობას ან შეეხება ქვეყნის უნარს აწარმოოს ვაჭრობა გარკვეულ რეფორმირებას საჭიროებს. რეფორმები განსაზღვრულია ასოცირების შესახებ შეთანმხების დანართებში; მათი შემუშავება მოხდა საქართველოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და მოიცავს რეფორმებს შემდეგ სფეროებში: სახელმწიფო შესყიდვები (საჯარო ხელისუფლების მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, საზღვარგარეთიდან შესყიდვის ჩათვლით), სურსათის უვნებლობა/სანიტარული და ფიტოსანიტარული რეჟიმები (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის), საბაჟო და სავაჭრო რეჟიმების გამარტივება, საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების წესების შესრულების ჩათვლით (ვაჭრობაში საქონლის იმპორტის და ექსპორტის პროცედურები); მომსახურების, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების/საწარმოო სტანდარტების (დამზადებული საქონლის შემთხვევაში) მარეგულირებელი ჩარჩოები, ასევე, გამჭვირვალობა (შესაბამისი კანონებისა და წესებისა იმისთვის, რომ ისინი ხელმისაწვდომი იყოს ბიზნესისთვის) . ევროკავშირის ბაზარზე დამატებითი ან/და უკეთესი წვდომა მჭიდროდაა დაკავშირებული ამ რეფორმების დასრულებაზე.

უფრო მეტიც, შეთანხმების თავებში პოლიტიკური და სამართლებრივი, თავი-სუფლების, მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების შესახებ განსაზღვრულია კონკრეტული პოლიტიკური და რეფორმის მიზნები. მე-4 თავი დეტალურად შეეხება შიდა რეფორმების მოთხოვნებს და ადგენს, რომ საქართველო და ევროკავშირმა უნდა ითანამშრომლონ შემდეგ სფეროებში:

- დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის განვითარება, განმტკიცება, სტაბილურობისა და ეფექტიანობის გაზრდა.
- ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა.
- შემდგომი წინსვლა სამართლებრივი და მართლმსაჯულების რეფორმირების პროცესში იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა.
- სამართალდამცავი ორგანოების ადმინისტრაციული შესაძლებლობების განმტკიცება, მათი მიუკერძოებულობისა და ეფექტიანობის გარანტირება.
- სახელმწიფო ადმინისტრაციის სფეროს შემდგომი რეფორმირება.
- ანგარიშვალდებულების მქონე, ეფექტური, ეფექტიანი, გამჭვირვალე და პროფესიული სახელმწიფო სამსახურის მშენებლობა.
- კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება.

მითი 37: "თუკი საქართველო რეფორმების ვადებს არ დაიცავს, მას სანქციები დაემუქრება, ხოლო ქართული პროდუქტები აიკრძალება."

ფაქტი: რეფორმების განხორციელება და მათთან დაკავშირებული ვადები რეგულარულად იქნება განხილული ასოცირების შესახებ შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში შექმნილ სხვადასხვა ორგანობთან. ვადების დარღვევებთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემებიც სწორედ ამ ფორმატში იქნება განხილული და მოიძებნება შესაფერისი გადაწყვეტილება. თუმცა, მოლაპარაკებების პროცესში ვადები ქართული მხარის მიერ გულდასმით იყო განხილული და, სხვადასხვა შიდა სირთულეების გათვალისწინებით, რეალისტურად იყო მიჩნეული.

მითი 38: "ევროკავშირმა რამე უნდა იღონოს მცირე და საშუალო საწარმოების დასახმარებლად, რადგან რეფორმების პროცესში ყველაზე მეტად სწორედ მცირე ბიზნესი დაზარალდება."

ფაქტი: ევროკავშირი სულ უფრო მზარდ ინტრესს იჩენს მცირე და საშუალო საწარმოების და საერთოდ ბიზნესის მიმართ, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი რეფორმებით დაინტერესება და მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შესაძლო უარყოფითი შედეგის შემსუბუქება. ეს მიდგომა ასახულია პროექტში, რომელიც აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტულობის გაზრდაზეა მიმართული. პროექტი ,,East Invest" უშუალოდ მცირე ბიზნესის ხელშემწყობ

ორგანიზაციებსა და უშუალოდ მცირე და საშუალო ბიზნესისთვისაა გამიზნული; სწორედ მათ აქვთ ევროკავშირის ბიზნეს წრეებთან თანამშრომლობისა და საინვესტიციო ურთიერთობების განვითარების პოტენციალი. სულ მალე დაიწყება პროექტის მეორე ფაზა. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებას ასევე ახორციელებს მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსირების მექანიზმი, რომელიც გასცემს სესხებს ისეთი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებსაც თავისი საქმიანობისთვის კომერციული ბანკებიდან დაფინანსების მიღება გაუჭირდებოდათ.

მითი 39: "ის, რომ შეთანხმების განხორციელება შეუძლებელი იქნება სეპარატისტულ რეგიონებში ნიშნავს, რომ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიასა და სეპარატისტულ ტერიტორიებს შორის ეკონომიკური უთანაბრობა კიდევ უფრო გაიზრდება. ამ გზით ევროკავშირი პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებას შეუწყობს ხელს."

ფაქტი: ევროკავშირის მიზანია, მოხდეს საქართველოსთან დადებული შეთანმხების განხორციელება საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში. ევროკავშირი მზადაა, განიხილოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის განხორციელება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, როგორც კი სათანადო პირობები შეიქმნება. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივცის მიზანი ისეთი ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობაა, რომელიც საქართველოს მთელს ტერიტორიას მოუტანს სარგებელს.

მითი 40: "საქართველოსთვის საბაჟო კავშირის წევრობა სჯობს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივცეს."

ფაქტი: ეს ასე არ არის ორი ძირითადი მიზეზის გამო: პირველ რიგში, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე თავისუფალია, რაც ნიშნავს, რომ საქართველო და ევროკავშირი ერთმანეთში უფრო იოლად ვაჭრობენ (ტარიფების გაუქმებისა და შესაბამისი კანონმდებლობის დაახლოების წყალობით). საბაჟო კავშირის საპირისპიროდ, თავისუფალი სავაჭრო სივრცე არ ითხოვს პარტნიორებისგან თავიანთი საიმპორტო და საექსპორტო მოსაკრებელი სხვა სავაჭრო პარტნიორების ასეთივე მოსაკრებელს გაუთანაბრონ, ასევე, არ ავალდებულებს მათ, იქონიონ ასეთივე სავაჭრო პოლიტიკა მთელი მსოფლიოს მიმართ. თავისუფალი სავაჭრო სივრცის შემთხვევაში საქართველო და ევროკავშირი სხვა სავაჭრო პოლიტიკასთან მიმართებაში თავიანთ (სუვერენულ არჩევანს ინარჩუნებენ. საბაჟო კავშირის შემთხვევაში კი ეს სუვერენული უფლება გადაეცემა საბაჟო კავშირის ორგანოს, რომელიც საბაჟო კავშირის შესახებ შეთანხმებას ახორციელებს. ამ შემთხვევაში კავშირის ცალკეულ წევრს აღარ აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს გადაწყვეტილება მესამე ქვეყნებთან ვაჭრობის შესახებ.

მეორე ის არის, რომ ეკონომიკური სუვერენობის შენარჩუნებასთან ერთად მსოფლიოს ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ანალიზი ადასტურებს, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივციდან საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს, ვიდრე რუსეთ-ბელარუს-ყაზახეთის საბაჟო კავშირიდან.

მითი 41: საქართველოს მოუწევს დათმოს ეროვნული ვალუტა ევროკავშირთან ასოცირება არ გულისხმობს საქართველოს მიერ ლარის დათმობას რაიმე ფორმით.

ფაქტი: ევროზონაში გაწევრიანება და შესაბამისად საკუთარი ვალუტის ევროთი ჩანაცვლება მხოლოდ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ არის შესაძლებელი (რასაც ასოცირება არ გულისხმობს). საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ამ ეტაპზე საერთოდ არ განიხილება, თუმცა ეროვნული ვალუტის დათმობა არც ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ არის სავალდებულო. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი და პოლონეთი ევროკავშირის წევრები არიან, მაგრამ დღემდე საკუთარ ვალუტას იყენებენ და არა ევროს.

მითი 42: ევროკავშირთან ასოცირების შედეგად საქართველოს მოუწევს დათმოს საკუთარი ოკუპირებული რეგიონები

ფაქტი: ევროკავშირი არ მოითხოვს საქართველოსგან საკუთარ ტერიტორიაზე უარის თქმას რაიმე ფორმით რომელიმე ეტაპზე. პირიქით, ასოცირების შეთანხმება აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს განიხილავს, როგორც საქართველოს განუყოფელ ნაწილს. შეთანხმება ხაზგასმით ამბობს, რომ იგი ემყარება მხარეთა ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვევობის პრინციპებს. გარდა ამისა, შეთანხმება გულისხმობს საქართველოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენისთანავე მათ ავტომატურად მოქცევას ასოცირების შეთანხმების ფარგლებში.

მითი 43: თავისუფალი მიმოსვლა გამოიწვევს ქართველი ახალგაზრდების გადინებას

ფაქტი: აღსანიშნავია, რომ ასოცირება უვიზო მიმოსვლას ავტომატურად არ ნიშნავს. გამარტივებული ან საერთოდ უვიზო მიმოსვლა ამ საკითხზე მხარეთა შეთანხმებას შეიძლება დაეფუძნოს. მიმოსვლის გამარტივება დადებით გავლენას იქონიებს ახალგაზრდებისთვის განათლების და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების მისაწვდომობის თვალსაზრისით. კვლევების თანახმად (ECORYS/CASE) ასოცირება დადებით გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე, მმართველობის სისტემაზე და საქართველოს მოქალაქეთა მსყიდველობით უნარიანობაზე, რაც ემიგრაციის შეკავების უმთავრესი წინაპირობაა.

ბიბლიოგრაფია

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.
2. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი
3. მიხეილ მირზიაშვილი, ივანე ჩხიკვაძე - გზამკვლევი 2014
4. საქართველო და ევროკავშირი - 2014 წლის ეკონომიკური ტენდენციები და თანამშრომლობა - საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი 2015 წელი
5. 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ - პასკალ ფონტენი 2014 წელი

ინტერნეტ რესურსები

1. http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu
2. http://www.economy.ge/ge/dcfta
3. http://www.dadalos-europe.org/int/
4. https://en.wikipedia.org/wiki/EU
5. http://europa.eu
6. http://geostat.ge